78
976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1976 4

172
1976
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 4

1976 წელი

ივლისი-აგვისტო

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 3
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგები
და ჩვენი ამოცანები 9
ა. შუშანაშვილი — სკკპ XXV ყრილობა და იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების
ამოცანები 14
ო. კიბორძალიძე — მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საერთო და სპე-
ციალური კომპეტენცია 26
რ. ცინცაძე — სამეურნეო ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობის ეფექტიანობის
საკითხისათვის 34
ზ. წულაია — სოციალისტური ქონების გატაცების ცნების. საკითხისათვის 50
თ. დავიდოვი, ნ. ფუტკარაძე — სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვა, როგორც კრი-
მინოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდი 61
ჩვენი ინტერვიუ
დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში 72
ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი 77
თ. გუგუშვილი — ომგადახდილი 81
ჟურნალისტი-იურისტი 83
ინფორმაცია 84
მოკლე ცნობები 92
ნეკროლოგი 95

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

В ЦЕНТРАЛЬНОМ КОМИТЕТЕ КП ГРУЗИИ 8

ИТОГИ III ПЛЕНУМА ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ И НАШИ ЗАДАЧИ 9

А. Шушанашвили — XXV съезд КПСС и задачи органов юстиции и суда 14
О. Кибордзалидзе — Общая и специальная компетенция местных органов управления 26
Р. Цинцадзе — К вопросу эффективности хозяйственно-договорной ответственности 34
З. Цулаиа — К вопросу о понятии хищения социалистической собственности 50
Т. Давидов, Н. Путкарадзе — Опрос экспертов-специалистов как метод сбора криминологической информации 61

НАШИ ИНТЕРВЬЮ

В лаборатории социологии преступности 72

С. Высоцкий — Пропавшие среди живых 77
Т. Гугушвили — Ветеран войны — председатель народного суда . . 81

Журналист-юрист 83

Информация 84

Краткие сообщения 92

Некролог 95

სარედაქციო კოლეგია

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, ა. კარანაძე, მ. ლომიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ყვანია, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

შეკვ. № 4115
ტირაჟი 22.150
უე 04421

© „საბჭოთა სამართალი“, 1976 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 10/XII-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დრმა შესწავლისა და ფართო პროპაგანდის საქმეში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" უთვალსაჩინოესი ზოგად-პარტიული, პოლიტიკური დოკუმენტია, რომელმაც საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. დადგენილება ახალი მკაფიო გამოვლინებაა იმისა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მთელ რესპუბლიკას. დადგენილებაში მეცნიერული სიღრმით არის განზოგადებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელი ოთხი წლის საქმიანობა, განსაზღვრულია გზები, თუ როგორ შევასრულოთ ხორცი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორ სრულვყოთ კიდევ უფრო მეტად რესპუბლიკის სამეურნეო განვითარების პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, საბოლოოდ დავძლიოთ ეკონომიკაში არსებული ჩამორჩენა, ავამაღლოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონე, გავაუმჯობესოთ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები რესპუბლიკის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გამოიტანეს რა სწორი და პრინციპული დასკვნები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების კრიტიკიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და განუხრელი დახმარებით შეიმუშავეს და ახორციელებდნენ იმ ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელთა მიზანი იყო უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის მკვეთრი აღმავლობა, აგვემაღლებინა მშრომელთა ცხოვრების დონე, აღგვედგინა და დაგვემკვიდრებინა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, გაგვეჯანსაღებინა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ნათლად აქვს შეგნებული, რომ მაღალი შეფასება, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა თავის დადგენილებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობას, ყველა პარტიული კომიტეტისაგან, პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან, თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკულობით, პარტიული და მოქალაქეობრივი დაინტერესებით შეაფასოს მიღწეული დადებითი ძვრები, მიიჩნიონ ისინი დასაწყისად, პირველ ნაბიჯებად რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გაღრმავებისა და გაფართოების გზაზე, დაუთმონ მთავარი ყურადღება გადაუჭრელ პრობლემებსა და სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გვხვდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყველა საოლქო, საქალაქო, რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთავარ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, გააცნონ მისი იდეები და დებულებანი თვითეულ კომუნისტს, ყოველ მშრომელს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, მეცნიერებათა აკადემია და სხვა იდეოლოგიური დაწესებულებანი, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ოპერატიულად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და სულ უფრო აძლიერებენ მუშაობას ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის პროპაგანდისა და განმარტებისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის მიერ მისი ღრმად შესწავლის უზრუნველყოფისათვის. მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პოლიტინფორმატორების, ლექტორების, მომხსენებლების, პრესის მუშაკების პირველი თათბირები, სემინარები და მეცადინეობანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დებულებებისა და დასკვნების განმარტების ამოცანებს მიეძღვნა. გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი რეგულარულად ქვეყნდება და გადაიცემა მშრომელთა ფართო მასების გამოხმაურება, რეპორტაჟები საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან. აქტიურად ირაზმება საზოგადოებრივი აზრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად; დადგენილების განმარტებას სპეციალურ გადაცემებს უძღვნიან საქართველოს ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველნი.

საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე, ყველა შრომითს კოლექტივში პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების წევრთა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატთა მონაწილეობით განიხილავენ და აცნობენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას რაც მათ უღვივებს სურვილს იმუშაონ კიდევ უფრო უკეთ, განსაზღვრონ თავიანთი ადგილი, შეიგნონ პირადი მონაწილეობის აუცილებლობა და პასუხისმგებლობა ყველა მისი მოთხოვნის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სამინისტროთა, უწყებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ აპარატში, შემოქმედებითს კავშირებში, განმარტებითი მუშაობის ოპერატიულობას, სიღრმესა და შინაარსს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა:

პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს — საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ფართოდ გაშალონ აქტიური და გეგმაზომიერი მუშაობა შრომითს კოლექტივებში მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა შრომითს რაზმებში, პიონერთა ბანაკებში, იმისათვის, რომ უზრუნველყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდა და ღრმა შესწავლა, გააცნონ იგი თვითეულ მშრომელს: აწარმოონ ეს მუშაობა სანამ პლენუმებზე განიხილებოდეს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დაგენილებასთან დაკავშირებით.

ხიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, სააგიტაციო მასობრივი მუშაობა, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემები დაუქვემდებარონ იმ ამოცანას, რომ თვითეულ მშრომელს გააცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მნიშვნელობა, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

აქტიურად ჩააბან ამ მუშაობაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ყველგან მოაწყონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემებზე.

ფართოდ გამოიყენონ გამოცდილება, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისა და შესწავლის პროცესში.

ყოველნაირად გამოიყენონ ახლანდელი სასიკეთო პირობები, რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო ჯანსაღი განწყობილება, გაზრდილი პოლიტიკური აქტივობა და პატრიოტული აღმავლობა საქართველოს მშრომელთა შემდგომი დარაზმვისათვის, რათა უთუოდ შესრულდეს 1976 წლის გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი, და მთელი მეათე ხუთწლედი, დაამკვიდრონ და ამრავლონ მიღწეული წარმატებანი, კიდევ უფრო აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გააუმჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები საქმიანობის ყველა სფეროში; გააღრმაონ მშრომელთა ზნეობრივი, შრომითი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მიმდინარე მუშაობა.

ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, საზოგადოებრივ ადგილებსა და დაწესებულებებში, ქუჩებში და მოედნებზე განაახლონ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელების, თვითეული შრომითი კოლექტივის წინაშე დგას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი მუშაობა დაუქვემდებარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდას და განმარტებას. კულტურის სახლებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებში მოაწყონ თემატიკური, კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებიც მიეძღვნება დადგენილების განმარტებასა და შემოქმედებითს შესწავლას.

პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა ზაფხულის პერიოდში მოიშველიონ პროპაგანდისტები, კონსულტანტები, კომუნისტური შრომის სკოლების, სემინარების, წრეების, ეკონომიური სკოლების ხელმძღვანელები, აგრეთვე კველაზე მომზადებული მსმენელები, რათა შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაშალონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისა და განმარტების მუშაობა.

ახალ სასწავლო წელს პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების და ეკონომიური განათლების სისტემაში სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლა დაუკავშირონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს პარტორგანიზაციის თაობაზე მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს, ამასთან უზრუნველყონ, რომ იგი გადაიქცეს რესპუბლიკის თვითეული მშრომელის მოქმედების სახელმძღვანელოდ, და მისი დებულებანი მშრომელთა აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებით, კვალიფიციური ლექტორებით, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებით, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებით, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებით დაკომპლექტდეს და გაიგზავნოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში პროპაგანდისტთა ჯგუფები, რომლებიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ ადგილობრივ მოსახლეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებისა და პროპაგანდის საქმეში.

გამსვლელი ლექტორიუმების თემატიკა. რომლებიც ეწყობა დევიზით „გავაცნოთ XXV ყრილობის იდეები თვითეულ კომუნისტს, ყოველ საბჭოთა ადამიანს" — შეავსონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე საკითხებით.

შეიმუშაონ და დაგზავნონ ლექტორებისა და პარტიული კომიტეტების მომხსენებლების დასახმარებლად ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების თემატიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" და ხალხთა მეგობრობის მუზეუმმა ერთად მოაწყონ ადგილებზე მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პოლიტიკური, შრომითი, სამართლებრივი, ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემათა ლექტორიუმები.

მოამზადონ და გამოსცენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე პრობლემებისადმი მიძღვნილი ბროშურების სერია.

რესპუბლიკის ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა შეიმუშაონ იმ საქმიანობის კომპლექსური გეგმები, რომლის მიზანია სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალურ-ეკონომიური განვითარების აქტუალური პრობლემების, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში საბჭოთა საზოგადოების წინსვლის აქტუალური პრობლემების, ისტორიულ-პატრიოტული მეცნიერების პრობლემების, საბჭოთა ადამიანის უფლება-მოვალეობათა, დემოკრატიზმისა და პიროვნების თავისუფლების საკითხთა შესწავლა, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის, ჩვენი ადამიანების საერთო-ეროვნული სიამაყის — საბჭოთა ცხოვრების წესისა და სხვა საკითხების გაშუქება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის საბჭომ სისტემატურად შეისწავლოს შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისა და ჯგუფების აზრი იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღების მიზნით.

საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფკავშირების აქტიურ მონაწილეობას ფართო განმარტებითს მუშაობაში, წარმართონ იგი იმ გზით, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეისწავლოს რესპუბლიკის ყველა კომკავშირელმა, მთელმა ახალგაზრდობამ, წარმართოს ეს მუშაობა კომუნისტურ მშენებლობაში კომკავშირულ ორგანიზაციათა როლის შემდგომი ამაღლებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდისათვის პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, გამოინახოს ახალი საინტერესო ფორმები, თუ როგორ განუმარტონ პიონერებსა და უმცროსკლასელებს დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახკინომ, საქართველოს მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, ჟურნალისტთა კავშირებმა, რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ უზრუნველყონ, რომ შემოქმედი ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობდეს მშრომელებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსამარტავად მიმდინარე მუშაობაში. ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში აწარმოონ გეგმაზომიერი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისათვის; შეადგინონ ამ მიზნით კომპლექსური აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც გამოვლენ საველე ბანაკებში, საძოვრებზე, მეცხოველეობის ფერმებში.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა აქტიურად გაშალონ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსამარტავად, უნარიანად გამოიყენონ ამ მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტური ჟანრების მთელი მრავალფეროვნება, ფართოდ მოიზიდონ ავტორთა აქტივი, განაზოგადონ და პროპაგანდა გაუწიონ შეძენილ დადებითს გამოცდილებას, დარაზმონ შრომითი კოლექტივები და თვითეული მშრომელი პარტიის მიერ დასახული ამოცანების უთუოდ გადაწყვეტისათვის; შეიმუშაონ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებისა და შესწავლის მიმდინარეობის გაშუქების კომპლექსური გეგმები, დანერგონ შეხვედრები, „მრგვალ მაგიდასთან" რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. კვალიფიციურად გააშუქონ და განმარტონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა დახმარებით აქტუალური პრობლემები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის ახალი სტიმული გახდება და გააძლიერებენ ბრძოლას, რათა ხორცი შეასხან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დაამყარონ რესპუბლიკაში სანიმუშო წესრიგი, კიდევ უფრო განამტკიცონ პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინა, ამასთან დარაზმავს მათ ახალი შრომითი გამარჯვებისათვის.

საქართველოს პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა მშრომელი თვითდამშვიდების გარეშე, სალად, ჭიდწეულის გაუზვიადებლად გაანალიზებენ გაწეულ მუშაობას, ძირითად ყურადღებას მიაპყრობენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და გადაუჭრელ პრობლემებს, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი ზრუნვის ახალ გამოვლინებას უპასუხებენ თავდადებული შრომით, კიდევ უფრო მეტად გაირჯებიან დიდი ლენინური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიული კომიტეტების პლენუმები, კერძოდ კი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფორუმები, როგორიცაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმები, სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ხალხი ამაღლებული განწყობილებით მოელის ცენტრალური კომიტეტის ყოველ მორიგ პლენუმს. ახლებური და თავისებურია თვით პლენუმისათვის მზადების პროცედურაც. ყველა, დაწყებული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკიდან რიგით კომუნისტამდე, აქტიურად იღწვის, რათა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი საფუძვლიანად და ყოველმხრივ მომზადდეს. სწორედ ამის შედეგია, რომ პლენუმების პოლიტიკურ-ორგანიზაციული დონე მეტად მაღალია, დღის წესრიგში დასმული საკითხები მთელი სიგრძე სიგანით, კომპეტენტურად განიხილება. პლენუმებზე ისეთი ატმოსფერო იქმნება, რაც უზრუნველყოფს შემორჩენილ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის გაჩაღების, ყოველივე პროგრესულის მხარდაჭერისა და დამკვიდრების საშუალებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი, რომელიც მ. წ. ივლისში გაიმართა, ამ დებულების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. პლენუმმა განიხილა საკითხი —„თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა“. მომხსენებელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, ღრმად გააანალიზა ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელსაც საერთო-საკავშირო ზოგადპარტიული მნიშვნელობა აქვს. ხაზგასმით ითქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი ზრუნვა რესპუბლიკისადმი ბოლო ხანს იმაშიც გამოიხატა, რომ მან შეიმუშავა და მიიღო კიდევ ერთი მასშტაბური, მეცნიერულად დასაბუთებული დადგენილება, რომელსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო დადგენილებიდან გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და მორალურ-სამართლებრივ ასპექტებს, აგრეთვე იმ პრაქტიკულ და თეორიულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც საქართველოს კომპარტიის გადაუდებელ ამოცანად არის მიჩნეული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება იმისი მაჩვენებელია, რომ წლების მანძილზე გამეფებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თანმიმდევრულმა და გეგმაზომიერმა ბრძოლამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ამჟამად ყველაფერი კეთდება წარმატებათა განსამტკიცებლად, რათა პარტიულ, საბჭოთა და სამეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო ორგანოებში უახლოეს პერიოდშივე ბოლომდე იქნას აღდგენილი და დამკვიდრებული მუშაობის ლენინური სტილი და მეთოდები.

მაგრამ შეცდომა იქნება მიღწეულმა შედეგებმა თავბრუ დაგვასხას და მის ფონზე ვერ შევამჩნიოთ სერიოზული ნაკლოვანებანი მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდაში, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფაში, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებაში.

ღრმა თვისებრივი ცვლილებები, რაც მოხდა რესპუბლიკის მშრომელთა ფსიქიკაში, თანდათანობითი დაძლევა უპასუხისმგებლობისა, უკანონობისა, უკონტროლობისა, კერძო მესაკუთრული ტენდენციებისა, პროტექციონიზმისა, დამნაშავეობისა, განსაკუთრებით კი სოციალისტური საზოგადოებისათვის ისეთი უცხო ანტიპოდისა როგორიცაა მექრთამეობა, არავითარ უფლებას არ გვაძლევს თვითდამშვიდებისათვის, ვინაიდან მათ რეციდივს სამწუხაროდ არც თუ იშვიათად ვხვდებით.

ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, არსებულ ნაკლოვანებებსა და მათი აღმოფხვრის საჭიროებაზე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შემდგომი გააქტიურების აუცილებლობაზე.

ახალი დადგენილებით დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოების წინაშე, რომლებიც მოვალენი არიან უფრო აქტიურად იბრძოლონ მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცებისათვის. „ახლა-აღნიშნა თავის მოხსენებაში III პლენუმზე ე. ა. შევარდნაძემ, — მთავარი ის არის, რომ შევქმნათ და განვამტკიცოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი, რადგან ამ ბრძოლაში ჯერჯერობით სტაბილურობას ვერ მივაღწიეთ. დღეს ჩვენს პლენუმზე პარტიული აქტივის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ამ პრობლემებს, რადგან ჩვენი აზრით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში უნდა მოხდეს სრული გარდატეხა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში. ამას ახლა ჩვენი საზოგადოებრიობა პირდაპირ მოითხოვს.“ [1]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების დროულად და სრულყოფილად განხორციელება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ჩვენს კადრებზე, რომელთა სწორად შერჩევამ, განაწილებამ და აღზრდამ, ავრეთვე მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებამ მაქსიმალური ეფექტი უნდა მოვცეს, საგრძნობლად გააჯანსაღოს საზოგადოებრივი ცხოვრების მორალური-ფსიქოლოგიური კლიმატი, უზრუნველყოს ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღკვეთა, დამნაშავეობის მკვეთრად შემცირება.

ცნობილია, რომ სკკპ XXV ყრილობამ მეტად მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის მუშაკთა ფართო ხალხისათვის გაწეულ თავდადებულ შრომას. ასეთივე შეფასება მიეცა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას საგარეოვნელოს კომპარტიის ცენტ-

1 გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წლის 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური კომიტეტის III პლენუმზეც, მაგრამ ამასთან ერთად ისიც ითქვა, რომ ამ ორგანოების საკადრო პოლიტიკაში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. „თუ ბოლო წლების მანძილზე — აღნიშნა ე. ი. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის მიერ გაწეული დიდი მუშაობა მნიშვნელოვანწილად მიზნად ისახავდა სამართლის სოციალურ ღირებულებათა აღდგენას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფასა და განმტკიცებაში, მისი როლისა და ქმედითობის ამაღლებას, ახლა ბუნებრივია საზოგადოებრივი აზრი სვამს კითხვას: ვის აქვს მინდობილი კანონის დაცვა, მშრომელთა უფლებებისა და მონაპოვრების დაცვა? ეს კითხვაც ასევე ბუნებრივია: ხალხს სურს დარწმუნებული იყოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს არა მარტო კანონიერი, არამედ მორალური უფლებაც აქვთ კანონმორჩილება მოსთხოვონ სხვებს, დასაჯონ დამნაშავენი. ამრიგად, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ზნეობრივი სიწმინდის პრობლემა ახლა წინა პლანზე დადგა. ამ მხრივ ოგრეთვე ბოლო დროს შესამჩნევი ძვრები მოხდა. დღეს სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ბევრი მუშაკი პატიოსანი, პარტიისა და ხალხის ერთგული ადამიანებია. მათ გულწრფელად სურთ და შეუძლიათ კიდეც ძირითადად დაამყარონ წესრიგი. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც საკმარისად აქვთ განვითარებული თვითკრიტიკის გრძნობა და ნამდვილად აწუხებთ და გულის სიღრმემდე აღაშფოთებთ ის, რომ ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოში ჯერ კიდევ არის მექრთამეობის, მომხვეჭელობის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტები, და რომ კომუნისტები ყოველთვის არ გვიჩვენებენ მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირად მაგალითს“.[2]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება წარმოუდგენელია მასების მაქსიმალური მობილიზაციის გარეშე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში რკინისებური დისციპლინის დამყარების გარეშე ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული დადგენილების მიღებიდან სულ ათიოდე დღის შემდეგ საქართველოს მეტალურგთა და ქიმიკოსთა სახელოვან ქალაქში — ინდუსტრიულ რუსთავში დაიბადა ახალი თაოსნობა დევიზით: — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია“! „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ ამ თაოსნობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სრული მხარდაჭერა ჰპოვა.

დისციპლინა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი განძია. ყველა მოვალეა, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკები, ყოველმხრივ იბრძოლონ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ამ ღირებულების მაქსიმალურად დამკვიდრებისათვის. შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის დაცვა-განმტკიცება თვითმიზანი როდია. „დისციპლინა და ორგანიზებულობა ხელს უწყობს საქონლის სიუხვის შექმნასა და გაიაფებას, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის ზრდას, ოჯახის ბიუჯეტის სტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდებასა და სულიერი დოვლათით მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ოპტიმალურ უზრუნველყოფას.

---

2 გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წლის 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი რატომ არიან დაინტერესებული მუშათა კლასი და მთელი საზოგადოებრიობა წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებით"[3].

უზრუნველვყოთ შრომის დისციპლინის დაცვა, ეს ნიშნავს გადავწყვიტოთ საკითხთა საკითხი — გამოშვებული პროდუქციის ხარისხის პრობლემა. მხოლოდ შეგნებული და მკაცრი დისციპლინის და წესრიგის პირობებშია შესაძლებელი შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მასალების, ნედლეულის ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერება, სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცება. ამის მოწესრიგება კი არის პროკურატურის ორგანოების ფუნქცია საერთო ზედამხედველობის ხაზით წარმოებულ მუშაობაში.

მშრომელთა დისციპლინის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უდიდესი როლი აკისრიათ მართლმსაჯულების ორგანოებსაც. ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა... სასამართლო არის დისციპლინის აღზრდის იარაღი" [4].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე მწვავედ და სერიოზულად იმსჯელეს დამნაშავეობის წინააღმდეგ პრძოლის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე. აღინიშნა, რომ კვლავ ვხვდებით მომხმარებელთა მოტყუების, ყოველგვარი მაქინაციის, გადიდებული მოთხოვნის საქონლით სპეკულაციის ფაქტებს, აგრეთვე სხვა დარღვევებსა და ბოროტმოქმედებებს. ჩვენში ჯერ კიდევ არიან თაღლითები, ბოროტი ხულიგნები, წამგლეჯები და გამომძალველები. არასაკმარისად უნდა იქნას მიჩნეული ღონისძიებანიც, რომლებიც ხორციელდება სოციალისტური ქონების გატაცების, მკვლელობის, მექრთამეობისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა შესამცირებლად.

დიდია ადმინისტრაციული ორგანოების როლი ბუნებისა და გარემოს დაცვის, მდინარეების, წყალსატევების, ატმოსფეროს გაბინძურების თავიდან აცილების საქმეში, აგრეთვე იმაში, რომ დამნაშავე პირებმა ვერ ხელყონ საქართველოს მდიდარი ფლორა და ფაუნა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რომ ეს სიმდიდრე მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის, იგი მომავალი თაობების კუთვნილებაცაა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საქმიანობა, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანოები ეწევიან ბუნების დაცვის კანონმდებლობის ნორმების დაცვისათვის. ბევრი ბრაკონიერი და ბუნების სხვა მტერი ამით თავგასულია და უშიშრად ჩადის თავის ბინძურ საქმეს.

პლენუმების გადაწყვეტილებები დიდ ამოცანებს აყენებს იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე. გაფრთხილებად გაისმის ის სიტყვები, რაც ითქვა პლენუმზე წარმოთქმულ მოხსენებაში: „ჩვენს გარშემო ჯერ კიდევ მრავლად არიან მოშურნენი, რომლებიც სიამოვნებით აზვიადებენ ჩვენს უმცირეს ხარვეზებსა და შეცდომებს

---

3 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვა — ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. გაზ. „კომუნისტი" 1976 წ. 9 აგვისტო.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 252, 315.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ კი მტრულად ხვდებიან ყველაზე თავაზიან კრიტიკას და არ მალავენ ღვარძლს... დღეს ლაპარაკი იმის ვამოც გვინდება, რომ ასეთი ადამიანები ზოგიერთ ადმინისტრაციულ ორგანოშიც კი გამოჩდნენ. ეს ფაქტები ამ ორგანოების გარკვეული ნაწილის იდეურ აღზრდაში ჩასებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწმობს. აქედან შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ".

ასეთ მახინჯ მოვლენათა დაძლევა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოების საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთად გააუმჯობესებენ მუშაკთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ მათ პროფესიულ დაოსტატებას, ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს კრიტიკისა და თვითკრიტიკის დანერგვას, გააჯანსაღებენ კოლექტივს, შექმნიან იქ ნამდვილად შემოქმედებითი შრომის ატმოსფეროს.

დიდი ამოცანები დგას ქართველი სწავლული იურისტების წინაშე, რომლებიც მოვალენი არიან საფუძვლიანად შეისწავლონ და დაამუშაონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებიდან. გამომდინარე თეორიული საკითხები, მისი სამართლებრივ-ეთიკური ასპექტები. ასევე მნიშვნელოვანია ის ამოცანები, რაც ჩვენი ჟურნალის წინაშე დგას ამ ისტორიული დოკუმენტის ყოველმხრივი პროპაგანდის დარგში.

დღეს ჩვენ შეიარაღებული ვართ დიდებული საბრძოლო პროგრამით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული დადგენილებით, რომელმაც კიდევ უფრო დაკონკრეტებული სახე მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებში. „ამიტომ გვაქვს რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, ყველა მშრომელს დარაზმავს ყველა ნეგატიურ მოვლენის წინააღმდეგ კიდევ უფრო ეფექტიანი ბრძოლისათვის, ხელს შეუწყობს საგრძნობი შედეგების მიღწევას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში".

---

5 გაზეთი „კომუნისტი", 1976 წლის 25 ივლისი.

6 გაზეთი „კომუნისტი" 1976 წლის 25 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკკპ XXV ყრილობა და იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ამოცანები

ა. ფუფანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სკკპ XXV ყრილობამ შეაჯამა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პარტიის მიერ გაწეული საქმიანობა და ხანგრძლივი დროისათვის განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ძირითადი მიმართულებები. ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების, საბჭოთა დემოკრატიის განვითარების, საბჭოთა კანონებისა და კომუნისტური მორალის ნორმათა განუხრელი დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის საკითხებს. „ვზრუნავთ რა მოქალაქეთა პიროვნების, უფლებების ყოველმხრივ განვითარებისათვის, — თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა,— ამასთან ჯეროვან ყურადღებას ვუთმობთ საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრობლემებს, იმას, რომ ყველა მოქალაქე იხდიდეს თავის ვალს საზოგადოების წინაშე, რადგან დისციპლინისა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის გარეშე დემოკრატია შეუძლებელია"[1].

„პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ბირეული გაუმჯობესების მოთხოვნები ჩვენს რესპუბლიკაში წინა პლანზეა წამოწეული.

დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პრინციპული ღონისძიებები, რომლებმაც არსებითად შეცვალა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების კლიმატი, გააჯანსაღა სამართლებრივი ფსიქოლოგია, ჩაუნერგა მშრომელებს კანონიერებისა და სამართლიანობის გარდუვალი გამარჯვების რწმენა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა, რომელიც ივლისში გაიმართა, დასახა კონკრეტული გეგმები ამ დადგენილების შესასრულებლად. მიღებულ გადაწყვეტილებაში ცენტრალურმა კომიტეტებმა მაღალი პასუხისმგებლობისა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობით აღნიშნა, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პლენუმზე ითქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მიღებით რესპუბლიკაში იწყება დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი და რომ იგი უფრო მიზან-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1976 წლის 26 თებერვალი, № 47, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფული და პრინციპული იქნება. „ახალი დადგენილება გვავალებს,— თქვა პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, — კიდევ უფრო აქტიურად ვეწეოდეთ მუშაობას მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მივიჩნიოთ ეს საყოველთაო-სახალხო ამოცანად. ახლა მთავარი ის არის, რომ შევქმნათ და განვამტკიცოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი... სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში უნდა მოხდეს სრული გარდატეხა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში“[2].

პარტია ყველა ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის სრულ გარდატეხას მოითხოვს. ეს მოთხოვნა კი, უპირველესად ჩვენ, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებს გვეხება, რადგან საქართველოს კპ XXV ყრილობამ ჩვენი მუშაობა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ყოველივე ზემოთქმული გვავალებს ღრმად და ყოველმხრივ გავაანალიზოთ ჩვენი ნაკლოვანებანი და ხარვეზები, შეულამაზებლად გამოვავლინოთ მათი მიზეზები და დავსახოთ მუშაობის გარდამქმნელი ძირითადი მიმართულებანი.

სადავო არ არის, რომ თუ არ გვექნა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სწორად ამსახველი კანონები, კანონიერებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ XXV ყრილობაზე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი საბჭოთა საკანონმდებლო ორგანოების სამართალშემოქმედების სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია კანონმდებლობის სისტემატიზაციის და საკოდიფიკაციო სამუშაოთა გაუმჯობესება. სამინისტრო ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებად ვზრუნავთ კანონებში რესპუბლიკის თავისებურებათა ასახვისათვის. იშვიათად ვაყენებთ საკითხს კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ, ხოლო სხვა ორგანოებისა თუ კერძო პირების წინადადებებს დაუსაბუთებელ დასკვნებს ვაძლევთ.

რესპუბლიკაში უამრავი საკანონმდებლო მასალა დაგროვდა. ბევრი მათგანი არავის ახსოვს და ამიტომ ერთსა და იმავე საკითხზე ხშირად ათეულობით ნორმატიული აქტია მიღებული. იშვიათად როდი ვხვდებით ახალ ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობასაც. სამინისტრო ამჟამად მთავარ ყურადღებას უთმობს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის საქმეს. ეს არის მეტად შრომატევადი და პასუხსაგები სამუშაო. კრებული, რომელიც წინასწარი მონაცემებით 35 ტომს შეადგენს, არსებითად მოქმედი კანონმდებლობის პირველი სისტემატიზებული გამოცემა იქნება. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, სამინისტრომ გამომცემლობას უკვე ჩააბარა კრებულის 12 ტომი.

დიდი სამუშაო მოგველის, რათა მოვაწესრიგოთ კანონმდებლობის და სასამართლო-სანოტარო პრაქტიკის აღრიცხვა და ამით პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ იუსტიციის ადგილობრივ და სასამართლო ორგანოებს. სამწუხაროდ ამ უბანზე საქმიანობა ბოლო დრომდე თვითდინებაზე იყო მიშვებული.

---

[2] გაზ. „კომუნისტი“; 1976 წლის 25 ივლისი, № 173, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ხაზით სამინისტრომ მთავარი ყურადღება მიაქცია სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებასა და ახალ არჩეულ მოსამართლეებისადმი პრაქტიკულ დახმარებას. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაისახა სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ძირითადი მიმართულებანი. რამდენადაც სასამართლოების ძირითადი ამოცანა მართლმსაჯულების სწორი განხორციელებაა, სამინისტროს ყურადღება სასამართლოებში საქმეთა განხილვის ხარისხის არსებით გაუმჯობესებისადმი იყო მიმართული.

სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები წლეულს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ცუდი არ არის, მაგრამ ხალხი ჩვენს მუშაობას აფასებს არა სტატისტიკის, არამედ კონკრეტულად გადაწყვეტილი საქმეების მიხედვით. ამიტომ განსაგებია, თუ რა წარმოდგენა ექნებათ ქ. ტყიბულის, ზესტაფონის, გორის, თიანეთის, ცხაკაიას და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელებს სახალხო სასამართლოების მუშაობაზე, როცა მათ მიერ გამოტანილი განაჩენებიდან და გადაწყვეტილებიდან ყოველ მეოთხეს ცვლიან ან აუქმებენ ზემდგომი სასამართლოები.

სასამართლო ორგანოების სამმართველომ სერიოზულად უნდა გადახედოს სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს, ხელი აიღოს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, საოლქო სასამართლოს, აგრეთვე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ერთგვარი თვითჩამოცილების პოზიციისაგან, რაც ზიანს აყენებს აღნიშნულ სასამართლოებში საქმის წარმოების ორგანიზაციასა და საშემსრულებლო დისციპლინას.

მოსამართლის თანამდებობა მეტისმეტად პასუხსაგებია. სახალხო მოსამართლის კანდიდატად წამოყენების დროს უცოდინარობას და უუნარობას არავინ უჩიოდა, ახლა კი ბევრი უპასუხისმგებლობას იჩენს და ამას გამოუცდელობას აბრალებს. დროა გაბედულად გამოვავლინოთ და სამოსამართლო საქმეს ჩამოვაშოროთ ყველა ის, ვისაც უნარი არ შესწევს სწორად განახორციელოს საბჭოთა მართლმსაჯულება.

მართლმსაჯულების ეფექტიანობა დასჯითი პოლიტიკის სისწორეზეა დამოკიდებული. სასამართლო პროცესების მაღალი კულტურაც კი არაფერს იძლევა, თუ განაჩენი არ შეესაბამება დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს.

დასჯითი პოლიტიკის შესახებ საკმაო მონაცემები გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ პროკენტების მიღმა უკანონობის აღმაშფოთებელი ფაქტები იმალება. საშიშ დამნაშავეთა მიმართ გამოჩენილი დიდსულოვნების საკომპენსაციოდ ზოგიერთი სასამართლო განსაკუთრებით მკაცრად სჯის იმ პირებს, რომლებიც დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით არ ხასიათდებიან. სამწუხაროდ, იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ ერთი და იგივე სასამართლო ერთიან დასჯითს პოლიტიკას ახორციელებდეს. ერთი და იგივე დანაშაულისათვის თანაბარ პირობებში ერთი და იგივე სასამართლო სასჯელის სრულიად განსხვავებულ ზომასა და სახეს იყენებს.

საბჭოთა დასჯითი პოლიტიკის სწორად განხორციელება ნიშნავს სისხლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლებრივი სასჯელებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გონივრულ შერწყმას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე ამის შესახებ ბევრი ითქვა, მაგრამ მისი შესრულებისათვის ჩვენი სასამართლოები თითქმის არაფერს აკეთებენ. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იმ მსჯავრდებულებიდან, ვისაც გამასწორებელი სამუშაოები და პირობითი მსჯავრი შეეფარდა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კოლექტივებს აღსაზრდელად გადაეცა მხოლოდ 3 პროცენტი.

სასამართლოებში ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები. საქართველოს კპ XXV ყრილობაზე მოიტანეს მაგალითი, როცა ერთ სამოქალაქო სამართლის საქმეს ექვსი წელი იხილავდნენ, ხოლო საქმის მოსმენა 65-ჯერ გადაიდო. ამ ფაქტიდან ზოგიერთი სასამართლო ჯეროვან დასკვნებს არ აკეთებს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახალქალაქის სახალხო სასამართლოში ვადის დარღვევით განხილულია სისხლის სამართლის საქმეთა 87 პროცენტი, ბოლნისში — 37 პროცენტი, ცხაკაიას სასამართლოში 28 პროცენტი, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში 65 პროცენტი და ა. შ.

სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველო უკვე იღებს ზომებს სასამართლოებში საქმის განხილვის ვადებისადმი ერთიანი ცენტრალიზებული კონტროლის შესამუშავებლად. ამ კონტროლს მკაცრად განვახორციელებთ და არ დავუშვებთ, რომ საქმის გაჭიანურების ფაქტს ვგებულობდეთ მხოლოდ მაღალი ტრიბუნებიდან თუ პრესის ფურცლებიდან.

ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლია ის, რომ დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ არის საკმარისი. ადგილებზე წინასწარმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აღმასრულებლები სააღსრულებლო ფურცელს მსჯავრდებულთა ქონების შეუმოწმებლად გზავნიან, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სასამართლოები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას გამოძიების ორგანოების მხრივ სამოქალაქო სარჩელთა უგულვებელყოფის ფაქტებზე. ასეთ ვითარებას ვეღარ შევურიგდებით. დანაშაულით მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურება მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ნაწილია. გარდა ამისა, ეს ჩვენი კონსტიტუციური, პარტიული, მოქალაქეობრივი მოვალეობაა. განზრახული გვაქვს ეს საკითხი უახლოეს ხანში ვაქციოთ სამინისტროს კოლეგიის მსჯელობის საგნად.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოების პროფილაქტიკური მუშაობის ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა გამსვლელ სესიებზე საქმეთა განხილვა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმა მართლმსაჯულების განხორციელებაში, კერძო განჩინებათა გამოტანა და ა. შ.

საკმარისია ითქვას, რომ ასეთ ღონისძიებათა რიცხვი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ორჯერ შემცირდა. გამსვლელ სესიაზე არც ერთი საქმე არ გაურჩევიათ ასპინძის, დუშეთის, ქარელის, ყაზბეგის და ხობის რაიონების სახალხო სასამართლოებს. არც ერთი საქმის განხილვაში არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ქ. ტყიბულისა და ზუგდიდის, გურჯაანის, დმანისის, ახალქალაქის, მახარაძის, მესტიის რაიონების სახალხო სასამართლოებში. საერთოდ არ გამოიტანეს ან გამოიტანეს მხოლოდ ერთეული კერძო განჩინება ქ. ტყიბულის, ბოლნისის, ასპინძის, ხობის, სიღნაღის, მესტიის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებმა.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. უფრო მნიშვნელოვანია პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხი. ბევრგან ასეთ ღონისძიებათა პროცენტი იზრდება, მაგრამ დამნაშავეობა არ მცირდება. რა თქმა უნდა, მარტოოდენ მათ არ შეუძლიათ შეამცირონ დამნაშავეობა, მაგრამ ამ ინსტიტუტების გონივრულ გამოყენებას პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების სხვა ღონისძიებებთან ერთად უეჭველად შეიძლება მოჰყვეს და მოჰყვება კიდეც დადებითი ეფექტი.

მაგრამ საქმე ისაა, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებანი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესების საქმეს ემსახურება. მაგალითად, ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ 14 სისხლის სამართლის საქმე განიხილა კინოთეატრ „რუსთაველის" დარბაზში, ხოლო ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 22 სისხლის სამართლის საქმე განიხილა № 67 სახლმმართველობის შენობაში, რომელიც სასამართლოს შენობას მხოლოდ რამდენიმე ათეული მეტრით არის დაშორებული.

ასეთივე ფორმალიზმი შეინიშნება საქმეში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის მხრივაც. ამ მოვალეობას ზოგჯერ შემთხვევითი ადამიანები ასრულებენ, ხოლო ზოგიერთ სასამართლოს საზოგადოებრიობის მუდმივი წარმომადგენელიც კი ჰყავს.

კერძო განჩინებათა ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია. მათი უმრავლესობა მხოლოდ შეტყობინებაა იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ კოლექტივის წევრმა დანაშაული ჩაიდინა, რაც ისედაც ცნობილია. გასაგებია, რომ ამგვარ ღონისძიებებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. პირიქით, ეს ფორმალიზმი ამ უაღრესად საჭირო ინსტიტუტების დისკრედიტაციას ახდენს. იუსტიციის სამინისტრო მკაცრად მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესდეს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარისხი და სასამართლოთა მუშაობასაც მომავალში შეაფასებს მიღებული შედეგების მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო პროცესების კულტურის ამაღლებას, ამის შესახებ ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ, მაგრამ პრაქტიკაში ცოტა როდია შემთხვევა, როცა მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები უხეშობენ, ერთმანეთს შეურაცხყოფენ და დაუშვებელი ეპითეტებით ამკობენ. ასევე ცუდად არის პროცესუალური დოკუმენტების წიგნიერების საქმეც. აი რას წერს ერთ-ერთი გამომძიებელი საბრალდებო დასკვნაში: „მიუხედავად ამისა, რომ არ შეწყვიტა მთვრალი ა/მანქანის მართვა და კვლავ განმეორებით იქნა მთვრალ მდგომარეობაში დაკავებული ავტოინსპექტორის მიერ 1976 წლის 20 თებერვალს დიღმის მასივში, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა თავის მამის კუთვნილ ავტომანქანას მინდობილობის გარეშე". გაუგებარია ვინ იყო მთვრალი: ინსპექტორი, დიღმის მასივი თუ ავტომანქანა?

თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო მოსამართლე კ.-ს ბრალდების საქმეზე გამოტანილ განაჩენში წერს: „მოითხოვა პატიება იმ მოტივით, რომ სამი თვის ბავშვი უპატრონოთა სახლიდან უცხო პირს გაუზრდია და თვითონ ეწეოდა სპორტულ მუშაობას მოტოციკლეტით".

სასამართლო პროცესების მაღალი კულტურა შეუძლებელია, თუ არ გვექნა კეთილმოწყობილი დარბაზები. ბოლო წლებში ამ მხრივ ბევრი რამ კეთდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, აშენდა 30 ახალი და შეკეთდა 18 სასამართლოს შენობა. სამწუხაროდ, ზოგიერთი მოსამართლე არ უვლის სასამართლოს შენობას.

მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქმის ხარისხიანი გამოძიება და დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია. ამ მხრივ აუცილებელია პროკურორთა და გამომძიებელთა პასუხისმგებლობის ამაღლება, რადგან ისინი ყოველთვის როდი ითვალისწინებენ, რომ უხარისხოდ გამოძიებული საქმის მოსმენა სასამართლოს ღია სამსჯავრო სხდომაზე დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ავტორიტეტს. ხელახალი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნება ხშირად ხდება საპროცესო ნორმის დარღვევის გამო, რასაც პროკურორი საბრალდებო დასკვნის დამტკიცებისას ადვილად შეამჩნევს, საქმეს რომ რიგიანად გადაფურცლავდეს.

ზოგიერთი გამომძიებელი და პროკურორი საქმის დამატებითი გამოძიებისათვის შესაძლო დაბრუნებისაგან თავის დაზღვევის მიზნით დანაშაულს აკვალიფიცირებს უფრო მძიმე მუხლით, ვიდრე ეს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს. ასეთი პრაქტიკა სასამართლოებს უკიდურესად უხერხულ ვითარებაში აყენებს და დაინტერესებულ პირთა საჩივრებისა და მრავალი საეჭვო მითქმა-მოთქმის საბაბს იძლევა.

სახალხო მეურნეობის სამართლებრივი მომსახურების ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ ითქვა სკკპ XXV ყრილობაზე. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იუსტიციის სამინისტრომ მნიშვნელოვნად გააძლიერა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივ მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობა. მიმდინარე წელს შესწავლილ იქნა მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა და შედეგები განხილულ იქნა კოლეგიის სხდომებზე და თათბირებზე. შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებოდნენ ამ საკითხებისადმი მიძღვნილ კოლეგიებს და თათბირებს, მიეცეთ სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი მეთოდური მითითებანი და რეკომენდაციები.

სამინისტროს მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე საღირექტივო ორგანოებმა იმსჯელეს სახალხო მეურნეობაში შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესების შესახებ. მიმდინარე წელს შემუშავდა და შესასრულებლად დაიგზავნა მეთოდური რეკომენდაციები სამერთლებრივი მუშაობის ორგანიზაციის, სამართლებრივი საშუალებებით პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის მუშაობის დაგეგმვის თაობაზე.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახური რიცხობრივად გაიზარდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა. ამჟამად სახალხო მეურნეობაში 900-ზე მეტი იურისკონსულტი მუშაობს. რაც მთავარია, სამინისტროებისა და უწყებების მრავალი ხელმძღვანელი დარწმუნდა, რომ სახალხო მეურნეობაში იურიდიულ სამსახურს დიდი ეკონომიური ეფექტი მოაქვს. ასე მაგალითად, ავტოსატრანსპორტო სამინისტროში იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძებათა შედეგად დებიტორული დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიანება 14 მილიონი მანეთიდან 1976 წელს ოთხ მილიონამდე შემცირდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული სამსახურის მეშვეობით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდა 800 ჰექტარი მიტაცებული მიწა.

ამასთან ერთად სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციაში არსებითი ნაკლოვანებებია.

საშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებში იურიდიული სამსახური ჯერ კიდევ არ შექმნილა. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთავარ სამმართველოში. იურისკონსულტის შტატი დაშვებულია მხოლოდ 22 რაიაღმასკომში, ხოლო იურიდიული განყოფილება მხოლოდ ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომშია შექმნილი.

იურიდიული სამსახურის მუშაკებს ზოგჯერ დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, არ უქმნიან ნორმალურ სამუშაო პირობებს. სამართლებრივ საშუალებებს ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ სოციალისტური საკუთრების გატაცებისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების, შრომის დისციპლინის დარღვევისა და მუშაკთა უკანონოდ გათავისუფლების წინააღმდეგ.

სერიოზული ნაკლოვანებებია იურიდიული სამსახურისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის საქმეშიც. ამ საკითხის შესწავლისას ყოველთვის არ არკვევენ კანონიერების გავლენას ეკონომიურ მაჩვენებლებზე, შემუშავებული რეკომენდაციები ყოვლთვის კონკრეტული არ არის და ამიტომ ვერ ახდენს სამართლებრივ მუშაობის გაუმჯობესებაზე საჭირო ზეგავლენას. იმ საწარმოებში, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული სამსახური, სამართლებრივი მუშაობის შესწავლა საერთოდ არ ხდება.

ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, იურიდიული სამსახურის სრულყოფამ ჩვენი სახელმწიფოს შემდგომ განვითარებასა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაში არსებითი როლი უნდა შეასრულოს.

სკკპ XXV ყრილობამ ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მეათე ხუთწლედის მთავარ ამოცანად გამოაცხადა. საბჭოთა ადამიანების მომსახურების სფეროს ძირეულად გაუმჯობესების შესახებ ბევრი ითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე. აქედან გამომდინარე სახელმწიფო ნოტარიატის ,ადვოკატურისა და მმაჩის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, რომლებიც ეწევიან მოსახლეობის სამართლებრივ მომსახურებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად ერთ მილიონამდე სანოტარო მოქმედება სრულდება, ხდება თითქმის ამდენივე სამოქალაქო მდგომარეობის აქტის რეგისტრაცია, ადვოკატები იურიდიულ დახმარებას უწევენ 15 ათას კაცს. მათი მონაწილეობით იხილება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა უმრავლესობა. მაშასადამე, ამ ორგანოებს ხალხის მართლშეგნებაზე ზემოქმედების უდიდესი შესაძლებლობები აქვთ, თუ ისინი თავიანთ მოვალეობას ჯეროვნად შეასრულებენ.

სანოტარო კანტორების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებებია. რესპუბლიკის შვიდ რაიონში სანოტარო კანტორა ჯერაც არ შეუქმნიათ. გარდა იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნოტარიუსთა საქმიანობის ძირითად მიმართულებად სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა ჯერაც არ ქცეულა, სანოტარო მოქმედება ზოგჯერ კანონის დარღვევით სრულდება. ეს განსაკუთრებით ხშირია სამემკვიდრეო უფლებისა და ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების დროს, სანოტარო კანტორებში მოსახლეობის მომსახურების კულტურა უკიდურესად დაბალ დონეზე დგას. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნოტარიუსთა უხეშობის შემთხვევები.

ეს ნაკლოვანებები და დარღვევები მომდინარეობენ იქიდანაც, რომ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და მისი შესაბამისი სამმართველო, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული განყოფილება ღრმად არ წვდებიან სახელმწიფო ნოტარიუსების მუშაობის ორგანიზაციას და არ იღებენ მათი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნოტარიუსებს ნორმალური სამუშაო პირობები არა აქვთ. ნოტარიუსთა უმრავლესობა მუშაობს 30-40 წლის წინანდელ ტექნიკურ პირობებში. იუსტიციის სამინისტრო იზრუნებს, რათა ნოტარიუსებს მინიმალური სამუშაო პირობები მაინც ჰქონდეთ, რადგან სანოტარო კანტორების გამართული საქმიანობა ნიშნავს საბჭოთა ადამიანების მომსახურების გაუმჯობესებასაც.

ჩვენს განკარგულებაში არსებული არასრული და უხარისხო მონაცემებიც კი ცხადჰყოფს, რომ მმაჩის ორგანოთა საქმიანობაში ყველაფერი რიგზე არ არის. აქ ყოველთვის არ იცავენ კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნებს. ამა თუ იმ აქტის რეგისტრაციის დროს იშვიათად არკვევენ მხარეთა ნამდვილ მიზნებს, თითქმის არაფერი კეთდება მოუფიქრებელი ქორწინებისა და განქორწინების თავიდან ასაცილებლად.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ადვოკატთა პრეზიდიუმი და იურიდიული კონსულტაციები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. არა ერთი ფაქტია ცნობილი ადვოკატის მიერ მოვალეობის არაკეთილსინდისიერი შესრულებისა, შრომის დისციპლინის დარღვევისა და სახელის გამტეხი მოქმედების ჩადენისა.

ზოგიერთი ადვოკატი პატივს არ სცემს თავის პროფესიას და სასამართლო პროცესზე მოუმზადებელი მიდის ან სულაც არ ცხადდება დანიშნულ დროს, რის გამოც სასამართლო იძულებულია გადადოს საქმის მოსმენა. საკმაოდ გავრცელებულია ზემდგომ ინსტანციებში დაუსაბუთებელი საჩივრების შეტანის პრაქტიკა.

ბევრი იურიდიული კონსულტაცია სუსტად ემსახურება საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი და იურიდიულ კონსულტაციათა ხელმძღვანელები პრინციპულად არ ებრძვიან უდისციპლინობას, ხოლო ადვოკატურისადმი სამინისტროს ხელმძღვანელობა მოუფიქრებლად ხორციელდება. სათანადო ყურადღება არ ექცევა კადრების შეცვლას ამ უბანზე, ადვოკატთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციას.

სერიოზულ და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს კრიმინალისტიკური ლაბორატორიის მუშაობა. ჩვენ გავერკვევით იქ შექმნილ არაჯანსაღ ვითარებაში და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებაში ნამდვილი სახელმწიფო დისციპლინა, შემოქმედებითი მეცნიერული შრომის ატმოსფერო სუფევდეს.

პარტია კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლებრივ პროპაგანდას. მოქალაქეთა მხრივ კანონების დარღვევა ხშირად ხდება არა ბოროტი განზრახვით, არამედ თავისი უფლება-მოვალეობათა არასწორი წარმოდგენის გამო. მაგრამ მთავარია არა მარტო კანონების ცოდნა, არამედ კანონების დაცვის აუცილებლობის შეგნების განმტკიცება. ამ მხრივ სამართლის პროპაგანდას ქმედითი როლი შეუძლია შეასრულოს.

რესპუბლიკაში სამართლებრივი პროპაგანდის საქმე თითქოს ცუდად არ არის. სამართლებრივ საკითხებზე ყოველწლიურად 20.000 ლექცია იკითხება. რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე ათასზე მეტი წერილი და მასალა ქვეყნდება, რადიოთი და ტელევიზიით 250-ზე მეტი საუბარია გადაცემული. ქალაქებსა და რაიონებში სისტემატიურად ტარდება სამართლებრივ თემებზე ხუთდღიურები, დეკადები, კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა. შ.

ეს ღონისძიებები რაღაც შედეგებს იძლევა, მაგრამ თუ რა შედეგებია ისინი, ეს არ ვიცით, რაც იმიტომ ხდება, რომ ამა თუ იმ ღონისძიებას არა აქვს მტკიცედ განსაზღვრული, კონკრეტული მიზანი. ლექტორმა მოამზადა ლექცია და იგი მას ერთნაირად უკითხავს ვაჭრობის მუშაკებსა და ავტომძღოლებს, მოსწავლეებსა და პიონერებს. განა შეიძლება სერიოზული სამართლებრივი პროპაგანდა გავწიოთ, თუ არ გავითვალისწინებთ აუდიტორიის თავისებურებებსა და ინტერესებს, არ გამოვიყენებთ მეცნიერულ-მეთოდურ საფუძვლებს?

უკეთესი მდგომარეობა როდია სამართლებრივ თემებზე რადიო და სატელევიზიო გადაცემის ორგანიზაციაშიც. განა ვინმემ იცის, თუ ვისზეა გამიზნული ესა თუ ის ღონისძიება და რა კონკრეტულ შედეგებს იძლევა იგი — ადამიანებს ზრდის, აშინებს თუ მათში მიმბაძველობის გრძნობას აღვიძებს?

აი რა საკითხები და პრობლემები დგას იუსტიციის სამინისტროსა და სამართლებრივი პროპაგანდის სამმართველოს წინაშე. ეს სამმართველო სიამოვნებით აწყობს ვიქტორინებსა და დეკადებს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ უფრო სოლიდურად შეისწავლოს სამართლებრივი პროპაგანდის მდგომარეობა, მჭიდროდ დაუკავშიროს იგი რესპუბლიკაში სათანადო მართლწესრიგის დასამყარებლად პარტიის მიერ დასახულ სოციალურ-პოლიტიკურ ამოცანებს. დროა, ამ სამმართველომ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი იმ საკითხების გადაჭრას მაინც, რომლებიც ღრმა სოციოლოგიურ გამოკვლევას არ მოითხოვენ. განა ცოტაა გასაკეთებელი, რათა შესწავლილ იქნეს პრესაში გამოქვეყნებული წერილებისა და მასალების ხარისხი, დროულად მოხდეს რეაგირება კანონის უწიგნურ და არაზუსტ ახსნა-განმარტებებზე? მარტო მ. წ. აგვისტოში გამოქვეყნებული მასალების გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ისინი, როგორც წესი, წარმოადგენენ საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან აღებული მაგალითების კომპილაციას, რომელსაც თან ახლავს ცინიკური, არაკვალიფიციური, დეზინფორმაციული ხასიათის კომენტარები. მაგალითად, 11 აგვისტოს გაზეთ „ზარია ვოსტოკამ" გამოაქვეყნა სახალხო მოსამართლის ნ. ანდღულაძის სტატია, რომელშიც სამი თაღლითის მსჯავრდების ისტორიაა მოთხრობილი. ავტორის მთელი სიმპათია დამნაშავეთა მხარეზეა. იგი აშკარა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ თაღლითებმა აღიარეს თავიანთი ბრალი. შეეძლოთ კი საერთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ეგოთ პასუხი მტკიცებულებათა უკმარისობის გამო. 3 აგვისტოს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ი. ბახტურიძის სტატია „საერთო საქმის ინტერესებისათვის“, რომელშიც ავტორი განმარტავს, რომ მთვრალი მძღოლის მიერ ავტომანქანის დიდი სიჩქარის განვითარება მძიმე კატეგორიის დანაშაულია. გაზეთ „ახალი სვანეთის“ ფურცლებზე კორესპონდენტი ამტკიცებს რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან იწყება, ხოლო მცირეწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს მათი მშობლები აგებენ.

სამართლებრივი პროპაგანდა შიშისა და არაჯანსაღი ინსტიქტების დამკვიდრებას კი არ უნდა უწყობდეს ხელს, არამედ მართლწესრიგისადმი ხალხის შეგნებული დამოკიდებულების განმტკიცებას.

შესრულების შემოწმებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია, მაგრამ შესრულების დისციპლინა კვლავ არასახარბიელოა. სამინისტრომ მიმდინარე წლის 17 მაისს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს დაავალა ეცნობებინათ არქივის მდგომარეობის შესახებ. ეს დავალება არ შეუსრულებიათ ქ. ქუთაისის, გარდაბნის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მცხეთის და მთელ რიგ სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებს. ხოლო მოქალაქე მანუკიანის საჩივარზე ჩვენს დავალებას გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ მხოლოდ ხუთგზის შეხსენების შემდეგ უპასუხა.

სამინისტროს სამმართველოებმა და განყოფილებებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მდგომარეობა, რადგან მტკიცე საშემსრულებლო დისციპლინის გარეშე ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია.

რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური ძვრების შედეგად მოქალაქეთა სოციალური აქტივობა მნიშვნელოვნად ამაღლდა, ადამიანებმა თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლის კანონიერი გზები აირჩიეს. ჩვენთან უამრავი წერილი, საჩივარი და განცხადება შემოდის. ეს გვავალებს გულდასმით მოვეკიდოთ და დასაბუთებული პასუხი გავცეთ მათ. ძირშივე უნდა აღიკვეთოს მოქალაქეთა საჩივრებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ყოველი შემთხვევა.

როგორი საუკეთესო გეგმები და ღონისძიებანიც არ უნდა დავსახოთ, რა ბევრი და ლამაზადაც არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენი მუშაობის გარდაქმნის შესახებ, ყველაფერი ქაღალდზე დარჩება და ჰაერში გამოეკიდება, თუ სწორად და სისტემატიურად არ ვიმუშავებთ კადრებთან.

კადრებთან მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ ბევრი ითქვა პარტიულ ყრილობებზე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე. რესპუბლიკაში სამართლის სოციალური ღირებულების აღდგენის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მორალური სიწმინდის საკითხი წინა პლანზეა წამოწეული. პარტიულ ფორუმებზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ამ ორგანოების მუშაკთა უმრავლესობა პატიოსანი, პარტიისა და ხალხის ერთგულია. ეს მაღალი შეფასება გვავალებს დაუნდობლად ვებრძოლოთ შემთხვევით, უპრინციპო და უპატიოსნო მუშაკებს.

ჩვენ დიდად აღგვაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ქრთამის მიღების დროს დააკავეს მცხეთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე ბ. ინასარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და საბოლოოდ დადგინდება ჭეშმარიტება. მაგრამ აქ სხვა საკითხია საგულისხმო. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმზე ამ ფაქტის განხილვისას გამოირკვა, რომ თურმე მისმა კოლეგებმა ადრეც იცოდნენ, რომ ინასარიძე ნაკლებად კვალიფიციური იურისტია და აშკარად უკანონო სახსრებით ცხოვრობს, მაგრამ მისი პირადი საქმე, სამსახურებრივი დახასიათებები და ატესტაციები ამ ადვოკატს ციურ ანგელოზად, პატიოსან და წესიერ კაცად წარმოგვიდგენს. არიან თუ არა ჩვენს შორის ინასარიძის მსგავსი მუშაკები? ვფიქრობთ, რომ არც თუ ისე ცოტანი არიან. და როცა საკითხი ისმის მათი წახალისების თუ დაწინაურების შესახებ, ჩვენ ყველანი რატომღაც ვდუმვართ, გვეშინია ვთქვათ სიმართლე. მექრთამეს კი არ ეშინია და ჩვენი დუმილისა და თანხმობის პირობებში ძალიან კარგად ცხოვრობს.

რა თქმა უნდა, კადრებთან მუშაობა ნდობადაკარგულ მუშაკთა მოხსნით არ ამოიწურება. მთავარია კადრების სწორად შერჩევა და განაწილება, მათი იდეურ-თეორიული და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება. მართალია, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებში ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება, მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ მიგვითითა, კადრებთან ჩვენი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ჯერ კიდევ არ დგას.

იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს კადრებთან მუშაობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებებს, მაგრამ თვითონ კადრებიც სისტემატურად უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას. ხშირად ჩვენი მუშაკები ელემენტარული საკითხების უცოდინარობას ავლენენ. მაგალითად, ბოლნისის რაიონის სახალხო მოსამართლემ საექსპერტო ბიუროს სთხოვა, რომ ამ უკანასკნელს ექსპერტიზა მოწმეთა თანდასწრებით ჩაეტარებინა. ცხაკაიას რაიონის სახალხო მოსამართლემ ერთობიროვნულად გამოიტანა დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ქ. თბილისის ერთ-ერთი ნოტარიუსი ძალიან გაოცდა, როცა გაიგო, რომ უკვე მესამე წელია, რაც სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ ახალი კანონი მოქმედებს.

კადრებთან მუშაობა მათს პირადს და საზოგადოებრივ ავტორიტეტზე ზრუნვასაც გულისხმობს. მართალია, ავტორიტეტი თვით ჩვენი კადრების საქმიანობაზეა დამოკიდებული, მაგრამ მხედველობაშია მისაღები მუშაობის თავისებურება და სპეციფიკაც, დამნაშავის ყველაზე სამართლიანი დასჯაც კი მის ახლობლებს აღტაცებაში ვერ მოიყვანს.

ჩვენი პატიოსანი მუშაკების შესახებ ჭორების გამავრცელებელი ადამიანები ჯერ კიდევ ბევრნი არიან. საკვირველია, რომ მითქმა-მოთქმისა და ჭორების გავრცელებას პრესის ზოგიერთი ორგანოც უწყობს ხელს. მაგალითად, მიმდინარე წლის 29 ივლისს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა ბეჟან სვანიძის სტატია „მსაჯულთა 14-წლიანი ბჭობა“, რომელშიც ძმებს შორის საბინაო დავის ამბავია მოთხრობილი. როგორც ჩანს, ამ დავის ერთ-ერთი ეპიზოდი შარშან ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს გაურჩევია და საქმე ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც არასრულყოფილად გარკვეულ მასალებზე დამყარებული, გაუუქმებია უმაღლეს სასამართლოს. კორესპონდენტი წერს, რომ საქმე გაარჩია მოსამართლე ცხელაშვილმა და, მისი სიტყვებით, გამოიტანა „საოცარი გადაწყვეტილება“. შემდეგ იგი სვამს კითხვას: რატომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიტანა მოსამართლე ცხელაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება? ვითომ არცოდნით მოუვიდა? და თვითონვე უპასუხებს: „ვაი, რომ ეს ისეთი არცოდნაა, რომელშიც საკმაოდ დიდი ცოდვა ურევია, თანაც ისეთი ცოდვა, რასაც წლების მანძილზე განუკითხავად სჩადიოდნენ ყოვლისშემძლე „მარიფათიანი ბიჭები“ და, სამწუხაროდ, ზოგიერთები დღესაც სჩადიან“.

ვფიქრობთ, რომ მოსამართლის შესახებ ასე წერა არ შეიძლება. მართალია, სასამართლოს საქმიანობაც, როცა ეს საჭიროა, არ უნდა დარჩეს გაუკრიტიკებელი, მაგრამ ეს ისეთი ფორმით უნდა გაკეთდეს, რომ არ შელახოს მისი ავტორიტეტი. დაუსაბუთებელი კრიტიკა კი ყოვლად დაუშვებელია.

იუსტიციის სამინისტრო კვლავაც იზრუნებს, რათა საქმიანი, პრინციპული, კეთილმოსურნე დამოკიდებულება ჰქონდეს პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ,უმაღლეს სასამართლოსთან და რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან. ვეცდებით სამუდამოდ აღმოვფხვრათ თვითდაზღვევის, პასუხისმგებლობის ურთიერთგადაკისრების, ცოდვათა ურთიერთშენდობის ატმოსფერო, რადგან სოციალისტური კანონიერება თავისი შინაარსით ერთიანია და ბრძოლა მისი შემდგომი განმტკიცებისათვის ერთიანი მიზნით უნდა წარიმართოს.

სკკპ XXV ყრილობაზე ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების რთულსა და საპატიო საქმიანობას. ეს გვავალებს ვიმუშაოთ უფრო ენერგიულად და ეფექტურად, რათა ყოველთვის ვიდგეთ ამ დიდი შეფასებისა და დაფასების დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საერთო და სპეციალური კომპეტენცია

რ. კიბორძალიძე

სკკპ XXV ყრილობა უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. მან გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საბჭოთა ხალხს. ეს ამოცანები განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში", ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში „სსრკ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1976—1980 წლებში", აგრეთვე ყრილობის მიერ მიღებულ ისტორიულ დოკუმენტებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმულია თუ რა დიდი როლი აკისრიათ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან ერთად მეათე ხუთწლედით გათვალისწინებულ ამოცანების გადაწყვეტაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს. ადგილობრივი საბჭოები წარმოადგენენ მშრომელთა შემოქმედებით, მასებთან ყველაზე ახლოს მდგომ ორგანოებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ საბჭოები არ შეექმნა, პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, რადგან ძველი აპარატით პროლეტარიატი, უეჭველად ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია"[1].

ადგილობრივმა საბჭოებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. ისინი თავიანთ ყოველდღიურ მოვალეობას აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით ასრულებენ. მმართველობის ორგანოთა საერთო სისტემაში მთავარი ადგილი სწორედ აღმასრულებელ კომიტეტებს უკავიათ. აღმასრულებელი კომიტეტები ითვლებიან საერთო კომპეტენციის ორგანოებად ისინი ამავე დროს თავიანთი მოღვაწეობის მეთოდების მიხედვით კოლეგიალური ორგანოებია.

აღმასრულებელ კომიტეტს ირჩევს შესაბამისი ადგილობრივი საბჭო ახალი მოწვევის პირველ სესიაზე, ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით, შემდეგი შემადგენლობით: აღმასკომის თავმჯდომარე, თაკმჯდომარის მოადგილეები, მდივანი და წევრები (სხვადასხვა რაოდენობით). მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ოავმჯდომარის, მისი ხუთი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგილის, მდივნისა და თხუთმეტი წევრისაგან შედგება, ქ. ქუთაისისა კი — თავმჯდომარის, მისი სამი მოადგილის, მდივნისა და ათი წევრისაგან. ქ. თბილისის ყველა რაიონში აღმასკომის რიცხობრივი შემადგენლობა ერთნაირია, გარდა ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომისა, სადაც თავმჯდომარეს ყავს სამი მოადგილე. პირველ სესიაზე იქმნება აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოები, განყოფილებები და თანამდებობაზე მტკიცდება მათი ხელმძღვანელები.

კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობის არჩევის ან შეცვლის შესახებ ადგილობრივი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ საბჭოს სესიის თავმჯდომარე და მდივანი. ხოლო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ყველა სხვა გადაწყვეტილებას, რომელსაც იღებენ სესიაზე დამსწრე დეპუტატთა ხმების უბრალო უმრავლესობით და ღია კენჭისყრით, ხელს აწერს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

ადგილობრივი მმართველობის საერთო კომპეტენციის ორგანოები სსრ კავშირში სხვადასხვა სახისაა, ასეთებია: სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქის, საოკრუგო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. ყველა ისინი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულებია. კავშირის მასშტაბით ყველაზე გავრცელებული და თავისი საქმიანობის ხასიათით ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. მოქმედი კანონმდებლობით მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, როგორც ადგილობრივი საერთო კომპეტენციის ორგანო, ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას თავის ტერიტორიაზე. რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ანგარიშვალდებულია მისი ამრჩევი საბჭოს და ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც სამხარეო, საოლქო და სხვა ადმინისტრაციული დაყოფა არა აქვთ — მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე.

საერთო კომპეტენციის შინაარსში იგულისხმება ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს ისეთი ფუნქციები, რომელსაც ის ასრულებს მის ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის დარგში. ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს მრავალი საკითხი: სახელდობრ, დაგეგმვისა და აღრიცხვის, საფინანსო-საბიუჯეტო, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის, წყალსარგებლობის, სატყეო მეურნეობის და ბუნების დაცვის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების, მეცნიერების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო კონტროლის, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის, თავდაცვითი მუშაობისა და სხვა.

ასეთი ფუნქციები სხვა ადგილობრივ ორგანოებს არა აქვთ. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ორგანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია, რომლებიც პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, მათ მიერ დასახულ ამოცანებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად აღმასკომი ამზადებს და იწვევს საბჭოს სესიებს, მოსახლეობას აცნობს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, სესიათა შორის პერიოდში კოორდინაციას უწევს საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობას, აცნობს კომისიებს აღმასკომის მუშაობის გეგმებს, ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს და უწევს ტექნიკურ მომსახურებას. აღმასკომი ეხმარება დეპუტატებს თავიანთ მოვალეობათა შესრულებაში, ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშის მომზადებასა და ჩაბარებაში და სხვ. აღმასკომი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რაიონის მეურნეობის განვითარების და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, რაიონის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს, აგრეთვე ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებებს, ღებულობს ზომებს მათი შესრულებისათვის, აცნობებს დეპუტატებსა და მოსახლეობას, თუ როგორ სრულდება განაწესები.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი ხელმძღვანელობს საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობას და დახმარებას უწევს სწორად მოაწყონ თავიანთი საქმიანობა. აღმასკომი ასევე ხელმძღვანელობს თავის სამმართველოებს და განყოფილებებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სესიებს შორის პერიოდში ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს აღმასკომის სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს, რასაც შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს მორიგ სესიას. აღმასკომი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასკომის სამმართველოთა და განყოფილებათა სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რაიონული დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და თუ საჭიროა ამას უთანხმებს სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ ორგანოებს.

რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის, საერთო კომპეტენციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას შეუძლია უშუალოდ განიხილოს ის საკითხები, რომლებიც მისი სამმართველოებისა და განყოფილებების განმგებლობაში შედის.

ცნობილია, რომ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია აგრეთვე ზემდგომი მმართველობის ორგანოს დაქვემდებარების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ობიექტები. ამ ობიექტების ხელმძღვანელთა დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება მხოლოდ რაისაბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით ხდება. რაიონული საბჭოს აღმასკომი უზრუნველყოფს აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა განხორციელებას. აღმასკომი იღებს ზომებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად,

ხელმძღვანელობას უწევს აღმასკომთან შექმნილ ადმინისტრაციულ, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობას და სხვა.

აღმასკომმა წარმატებით რომ გაართვას თავი მის წინაშე მდგომ ამოცანებს, აუცილებელია კოლეგიალურ ხელმძღვანელობასთან მოხერხებულად იქნეს შერწყმული აღმასკომის შემადგენლობის პერსონალური პასუხისმგებლობაც. ამ მიზნით აღმასკომის არჩევის შემდეგ ხდება ფუნქციების განაწილება აღმასკომის ხელმძღვანელობასა, მდივანსა და წევრებს შორის.

ფუნქციები იმგვარად უნდა განაწილდეს, რომ ერთგვაროვანი დარგების ხელმძღვანელობა მიენდოს პირს, რომელიც იცნობს ამ საქმიანობას და აქვს სათანადო სპეციალური განათლება. მაგალითად, თავმჯდომარის მოადგილეა, რომელიც სპეციალობით ინჟინერია, უნდა დაეკვალოს უხელმძღვანელოს მრეწველობას, მშენებლობას, კომუნალურ მეურნეობას, აგრონომს კი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი და ასე შემდეგ. ასეთივე წესით უნდა განაწილდეს ფუნქციები აღმასკომის წევრებს შორისაც. ფუნქციების განაწილების მიზანი ის არის, რომ გაეწიოს ხელმძღვანელობა აღმასკომის ცალკეულ სამმართველოებს, განყოფილებებს და კომისიებს, გაკონტროლდეს, თუ როგორ ასრულებენ ისინი საბჭოსა და აღმასკომის გადაწყვეტილებებს .ამასთან გაპიროვნებულმა არ უნდა იკისროს ცალკეული დარგებისა და ობიექტების უშუალო ხელმძღვანელთა ფუნქციები, გაპიროვნებული პირები მოვალენი არიან დაეხმარონ მიმაგრებულ დარგების ხელმძღვანელებს. საბჭოთა საჴელმწიფოს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა სისტემაში ფუნქციების განაწილების პრინციპიდან გამომდინარე რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ახორციელებს აღმასკომის საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობას. აღმასკომის აპარატის, სამმართველოების და განყოფილებების მუშაობის კოორდინაციას, მის უშუალო დაქვემდებარებაშია საფინანსო და ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობა. ამას გარდა იგი აწყობს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლს, მუდმივი კავშირი აქვს ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობს კრებებზე, თათბირებზე და სხდომებზე. აღმასკომის თავმჯდომარე უშუალოდ ნიშნავს და ატარებს აღმასკომის სხდომებს.

აღმასკომის მდივანს, ჩვეულებრივ, ავალებენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობისადმი ხელმძღვანელობას. მასთან თავს იყრის მთელი მასალები ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასკომების მუშაობის შესახებ, საცნობარო დოკუმენტაცია და მიმოწერა. აღმასკომის მდივანი ხელმძღვანელობს რაიონში შექმნილ საზოგადოებრივ და მშრომელთა თვითმოქმედებით ორგანიზაციებს. მდივნის ფუნქციებში შედის საბჭოს სესიისათვის და აღმასკომის სხდომებისათვის მასალების მომზადება, აპარატის მუშაობის, საქმის წარმოების, აღრიცხვის, ინფორმაციის ორგანიზაცია და სხვ. ჩვეულებრივ აღმასკომის მდივანი უშუალოდ ხელმძღვანელობს მმაჩის ბიუროს, არქივს, ბუნების დაცვის საზოგადოებას, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, ავიაციისა და ფლოტის დამხმარე ნებაყოფლობით საზოგადოებას და სხვა.

ფუნქციები ნაწილდება აღმასკომის წევრთა შორისაც. ამით მაღლა იწევს არა მარტო აღმასკომის წევრის, არამედ თვით აღმასკომის ავტორიტეტიც. აღმასკომის წევრს უფრო მეტად აახლოებს აღმასკომთან, აძლიერებს მის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი, უფრო კოლეგიალური და საქმიანი ხდება აღმასკომის მთელი მუშაობა. ის ფაქტი, რომ რაიონული აღმასკომი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთო კომპეტენციის ორგანოა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი მრავალდარგობრივი საქმიანობის წარმატების შესრულებისათვის საჭიროა, რომ არ დარჩეს სახალხო მეურნეობის არცერთი უბანი, რომელსაც უშუალოდ არ უხელმძღვანელებს აღმასკომი. ეს კი შეიძლება მიღწეულ იქნეს მაშინ, თუ აღმასკომი თავის წევრებს გაუნაწილებს ფუნქციებს. აღმასკომის წევრს შეიძლება დაეკისროს საბჭოს მუდმივ კომისიებთან მუშაობა, მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციებისადმი, ისტორიული ძეგლების დაცვისადმი ხელმძღვანელობა და სხვა. ასევე მათ შეიძლება დაეკისროთ უხელმძღვანელონ მიკრორაიონებს ან რამდენიმე სასოფლო საბჭოს და სხვა. აღმასკომის წევრების მუშაობა უფრო შედეგიანი იქნება, თუ ფუნქციების განაწილების დროს მხედველობაში იქნება მიღებული მათი განათლება, სპეციალობა, მუშაობის გამოცდილება, სამსახურებრივი მოვალეობა და საცხოვრებელი ადგილი.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაფართოვდა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების უფლებები და ამაღლდა მათი როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების საფუძველზე ბოლო წლებში მიღებულია მთელი რიგი დოკუმენტები და ნორმატიული აქტები, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოების უფლებების გაფართოებას, მათი საქმიანობის სრულყოფას. ამ პოლიტიკური და ნორმატიული აქტების მიზანია ისიც, რომ ბოლო მოეღოს ადგილებზე სამეურნეო ორგანიზაციებისადმი გადამეტებულ ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის არასწორ პრაქტიკას, გაფართოვდეს ადგილობრივი ორგანოების უფლებები იმ მხრივ, რომ მათ მიეცეთ საშუალება ოპერატიულად უხელმძღვანელონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს. ამ თვალსაზრისით აღმასკომებს დამატებით გადაეცათ ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის საწარმოები, სამეურნეო დაწესებულებები და სხვა ობიექტები, რომლებიც წინათ რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო დაქვემდებარებაში იყვნენ. ამრიგად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის კურსი ის არის, რომ რაც შეიძლება გაფართოვდეს საერთო კომპეტენცია მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა. ისინი მოწოდებული არიან უშუალოდ განახორციელონ დიდი მასშტაბის შემოქმედებითი საქმიანობა სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ახალი ფრიად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე. ახალი ხუთწლედით დასახული დიადი ამოცანების შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის სპეციალური კომპეტენციის ორგანოებს. სპეციალური კომპეტენციის ორგანოებად იწოდებიან ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოები და განყოფილებები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აღჭურვილი არიან სახელმწიფოებრივი ერთმმართველობის უფლებამოსილებით, უშუალოდ ხელმძღვანელობენ ადგილებზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების კონკრეტულ დარგებს, ასრულებენ მხოლოდ ერთგვაროვან სპეციალურ საქმიანობას და კისრულობენ დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით სპეციალური კომპეტენციის ორგანოებად ითვლება აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო, სახალხო განათლების, კულტურის, შინაგან საქმეთა, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, სოციალური უზრუნველყოფის, საგზაო, კომუნალური, კავშირგაბმულობის, სავაჭრო, საორგანიზაციო, საერთო და სხვა განყოფილებები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, კინოფიკაციის, საავტომობილო ტრანსპორტის, გაზიფიკაციის და სხვა სამმართველოები. სამმართველოები და განყოფილებები იქმნება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით და ამიტომ კონკრეტულ საბჭოს აღმასკომთან სხვადასხვა სახელწოდების სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება შეიქმნას. დასაშვებია ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის რომელიმე კონკრეტული დარგის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას განყოფილება, სხვა აღმასკომებში კი იგივე დარგის ხელმძღვანელობისათვის სამმართველო. ეს ხდება ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიის სიდიდის, მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების რაოდენობის, საქმიანობის ხასიათისა და სხვა სპეციფიური მომენტების გათვალისწინებით. საბჭო წყვეტს საკითხს, თუ რომელი და რა სახის განყოფილება და სამმართველო უნდა შეიქმნას. აღმასკომის განყოფილებასა და სამმართველოს შორის მათი ფუნქციების, უფლებამოსილებისა და კონკრეტულ საქმიანობის მეთოდების მიხედვით რაიმე პრინციპული განსხვავება არ არის. აღმასკომებთან იქმნება აგრეთვე სხვადასხვა კომისია და კადრების სექტორი.

აღმასკომის სამმართველოები და განყოფილებები ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და მის აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის სამინისტროებს და უწყებებს, ამიტომ ისინი ორმაგი დაქვემდებარების ორგანოებია. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს რწმუნებულების ვადის გასვლის შემდეგ აღმასკომის სამმართველოები და განყოფილებები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ვიდრე მორიგი მოწვევის საბჭო არ შექმნის ახალ აღმასკომს თავისი სამმართველოებით და განყოფილებებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ზოგიერთ აღმასკომთან იქმნება ისეთი სპეციალური კომპეტენციის ორგანოები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით და უფლებამოსილებით გატოლებული არიან განყოფილებებთან და სამმართველოებთან. ასეთებია მაგალითად: მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სამრეწველო კომბინატი, კომუნალურ საწარმოთა კომბინატი, საგზაო საექსპლოატაციო უბანი, რაიონის კულტურის სახლი, მთავარი არქიტექტორი, მთავარი ექიმი და სხვ. მათაც ქმნის საბჭოს სესია, ყველა ზემოთ აღნიშნული სპეციალური კომპეტენციის ორგანო ყალიბდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე და ამ პრინციპებით განისაზღვრება მათი წყობა, სისტემა და მოღვაწეობა.

აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოების და განყოფილებების უფროსები თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებს ადგილობრივი საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე. კანონით განსაზღვრულია, რომ მათ თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა ჩააბარონ საბჭოს, მის აღმასკომს და აგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე მშრომელთა კრებებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სხვა ორგანიზაციებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

აღმასკომის ყველა სამმართველოს და განყოფილებას აქვს თავისი უფლებამოსილებისა და საქმიანობის განმსაზღვრელი დებულება, რომელსაც ამტკიცებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. თავიანთ საქმიანობას ისინი წარმართავენ აგრეთვე თავისივე ზემდგომი უწყების მიერ გამოცემული ბრძანებების, ინსტრუქციებისა და სხვა აქტების საფუძველზე.

აღმასკომის სამმართველოები, განყოფილებები უშუალოდ ატარებენ ცხოვრებაში საბჭოთა კანონებს და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს და განკარგულებებს. ისინი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობას, ადგენენ თავიანთი დარგების კვარტალურ, წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, და წარადგენენ მათ აღმასკომის სხდომის განსახილველად. ამის შემდეგ მთელ თავიანთ საქმიანობას წარმართავენ გეგმების შესასრულებლად და აკონტროლებენ მათ შესრულებას. სამმართველოების და განყოფილებების უფროსთა ბრძანებები და განკარგულებები სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული ყველა ორგანოსა და პირისათვის. სამმართველოების და აღმასკომის განყოფილებების უმრავლესობა ითვლებიან იურიდიულ პირებად. მათი ნაწილი იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე, ნაწილი კი სამეურნეო ანგარიშზე. შტატი განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკებში დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით და შემოიფარგლება ხელფასის ფონდის იმ ოდენობით, რასაც ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. აღმასკომები დიდ ყურადღებას უთმობენ სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობას, ყოველდღიურ კონტროლს ახორციელებენ მათ საქმიანობაზე, იხილავენ მათ გეგმებს, ისმენენ მოხსენებებს სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ მიღებულ აქტების კანონიერებაზე, ატარებენ შემოწმებებს, რევიზიებს ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და გამოსწორების მიზნით.

თავიანთი საქმიანობის ხასიათის მიხედვით არსებობს სამი ჯგუფის სამმართველოები და განყოფილებები.

1. მატერიალურ-საწარმოო (შედის სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, სარემონტო-საამშენებლო სამმართველო და განყოფილება). 2. მოსახლეობის მომსახურებისა (შედის სახალხო განათლების, კინოფიკაციის, კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა განყოფილებები). 3. მართლწესრიგის უზრუნველყოფის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის (შედის შინაგან საქმეთა და იუსტიციის განყოფილებები, მმაჩის ბიურო, ნოტარიატისა და არბიტრაჟის ორგანოები და სხვა)[2].

არსებობს აგრეთვე ფუნქციონალური განყოფილებები და სამმართველოები, რომლებიც თავიანთი ფუნქციებით ერთგვარად განსხვავდება ზემოთ დასახელებული განყოფილებებისა და სამმართველოებისგან, ასეთებია: საფინანსო განყოფილება, საგეგმო კომისია, სახალხო კონტროლის კომიტეტი და სხვა.

---

[2] См. Г. В. Барабашев, К. Ф. Шеремет, Советское строительство. М., 1974 г. стр. 306.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს რომ აღმასკომების სპეციალური კომპეტენციის ორგანოების დაყოფა დარგობრივ და ფუნქციონალურ ორგანოებად ატარებს პირობით ხასიათს, რადგან მთელი რიგი ზემოთ დასახელებული განყოფილებები და სამმართველოები ზოგჯერ ასრულებენ როგორც ფუნქციონალურ, ისე დარგობრივი ხასიათის საქმიანობას[3].

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია, მაგალითად, რსფსრ, აზერბაიჯანის სსრ, თურქმენეთის სსრ და სხვ. კონსტიტუციებში. პირდაპირ დასახელებულია, თუ რა სახის და რა სახელწოდების სამმართველოები და განყოფილებები იქმნება ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან. ასეთი ჩამოთვლა საქართველოს სსრ კონსტიტუციაში არ არის, თუმცა 1969 წლის 12 ივნისამდე კონსტიტუციის 81-ე მუხლში ასეთი ჩამოთვლა იყო, მაგრამ 1969 წლის შემდეგ რატომღაც ამოღებულია. ჩვენი აზრით უმჯობესია, რომ იყოს ასეთი საორიენტაციო ჩამოთვლა და მოხდეს ძირითადი განყოფილებებისა და სამმართველოების სახელწოდებათა ფიქსირება კონსტიტუციაში. ცხადია, რომ ეს სრულიადაც არ ზღუდავს ადგილობრივი საბჭოების უფლებებს. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თავიანთი შეხედულებებისამებრ, მათ შეუძლიათ შექმნან ახალი სახისა და სახელწოდების სამმართველოები და განყოფილებები. სამმართველოები და განყოფილებები ეწევიან რა მეტად საჭირო და ნაყოფიერ მუშაობას, თავიანთ ფუნქციებს ახორციელებენ აღიარებული მეთოდებით, ზოგიერთი კი წარმატებით იყენებს ახალ მეთოდებს, ზოგიერთი განყოფილება და სამმართველო აყალიბებს საზოგადოებრივ საბჭოს და განყოფილებისა და სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკებისაგან შემდგარ კოლეგიალურ სათათბიროს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის სპეციალური კომპეტენციის აპარატი ისეთი შტატით უნდა იყოს დაკომპლექტებული, რომ კარგად ართმევდეს თავს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობას.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის, როგორც საერთო, ისე სპეციალური კომპეტენციის მქონე დარგობრივი მმართველობის ორგანოების მიზანი და მთავარი ამოცანაა განუხრელად დანერგონ თავიანთ საქმიანობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და გადააქციონ მეათე ხუთწლედი გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა პროფკავშირის XV ყრილობაზე აღნიშნა, რომ „თუ ჩვენ ვერ ვისწავლეთ უწინდელზედ უკეთ მუშაობა, გეგმა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდება, ხოლო თუ ვისწავლით, უფრო მეტსაც მივაღწევთ, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული... ყველა ჩვენი გეგმის შესრულების საწინდარია მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, დაძაბული და კეთილსინდისიერი შრომა[4]“.

ამჟამად ყველა პირობაა იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრული ამოცანები, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები.

---

[3] იქვე, გვ. 307.

[4] გაზეთი კომუნისტი. 1972 წლის 21 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო-ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობის ეფექტიანობის საკითხისათვის

ნ. შ. ცინცაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამართლის ეფექტიანობის საკითხს საბჭოთა იურისტები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ზოგიერთს იგი წარმოუდგენია, როგორც ყველა იმ რეალურ ცვლილებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა ობიექტურ სინამდვილეში კანონის განხორციელების შედეგად[1]. უმეტესობა თვლის, რომ ეს არის იმ მიზნების მიღწევა, რომლებიც საფუძვლად დაედო შესაბამისი ნორმების მიღებას[2]. ა. პაშკოვი და ლ. იავიჩი ძირითადად იზიარებენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას, თუმცა, მათი აზრით, ნორმა სოციალურად ეფექტიანია მაშინაც, როცა იგი ითვალისწინებს ქცევის ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული მიზნის მისაღწევად და რეალურად უზრუნველყოფს ამ მიზნის შესაბამისი ფაქტიური შედეგების დადგომას[3].

ჩვენ სწორად მიგვაჩნია ა. პაშკოვისა და ლ. იავიჩის შეხედულება, იმ ნაწილში, რომ სამართლის ნორმა სოციალურად ეფექტიანია მაშინ, როცა იგი ითვალისწინებს ქცევის ოპტიმალურ ვარიანტს, რომელიც საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული მიზნის მისაღწევად, მათი შეხედულების მეორე ნაწილი, სახელდობრ, ის, რომ ნორმის ეფექტიანობას შეუძლია რეალურად უზრუნველყოს ამ მიზნის შესაბამისი ფაქტიური შედეგის დადგომა მიუღებლად მიგვაჩნია.

საქმე ის არის, რომ ჯერ ერთი, სამართლის ნორმა არ მოქმედებს სხვა, მასთან კავშირში მყოფი ნორმებისაგან, სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმისაგან იზოლირებულად.

მეორე: სამართლის ნორმის მოქმედების ეფექტიანობა დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების სამართალშეფარდებითი მუშაობის ორგანიზაციის დონეზე[4].

მესამე: სამართლის ნორმის მოქმედების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენენ მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც ერთ შემთხვევაში დადებით როლს ასრულებენ, ხოლო მეორეში — უარყოფითს.

---

[1] См. **П. М. Рабинович**, Социалистическая законность и целесообразность в советском праве (Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук), М., 1966, стр. 177.

[2] См. **И. С. Самощенко, В. И. Никитский**, Некоторые проблемы методологии изучения эффективности правовых норм (В сборнике «Проблемы социологии права»), выпуск I, Вильнюс, 1970, стр. 37; **Ю. Х. Колмыков**, О повышении эффективности норм гражданского законодательства, «Правоведение», 1973, № 2, стр. 41; ი. ნ. პეტროვი ავითარებს ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ეფექტიანობა არის მიზნის და შედეგის შესაბამისობა — **И. Н. Петров**, Ответственность хозорганов за нарушение обязательств, Ю/Л, 1974, стр. 19.

[3] См. **А. С. Пашков, Л. С. Явич**, Эффективность действия правовой нормы, «Советское государство и право», 1970, № 3, стр. 41.

[4] იხ. დაწვრილებით. **Е. П. Шикин**, Факты, определяющие эффективность норм права, «Советское государство и право», 1973, стр. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურ ლიტერატურაში უარყოფითი ფაქტორების არსებობის შესახებ თავდაპირველად მიუთითეს მაშინ, როცა ვ. კნაპმა შეიმუშავა სამართლის ნორმის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების მექანიზმის გრაფიკული სქემა[5]. რაც შეეხება დადებით ფაქტორებს, მათ შესახებ აღნიშნეს ი. სამოშჩენკომ და ვ. ნიკიტსკიმ; ასეთებად მათ დაასახელეს პოლიტიკური და მორალური ფაქტორები[6].

ვფიქრობთ, ამ ფაქტორებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოქმედების სხვა საშუალებებსაც ასეთია საზოგადოებრივი ურთიერთობების უშუალო მონაწილეებზე ზემოქმედების ის საშუალებები, რომლებსაც ახორციელებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოები. მათი ზემოქმედება იმაში გამოიხატება, რომ ცუდად მომუშავე ორგანიზაციების მიმართ ისინი ატარებენ ორგანიზაციულ ღონისძიებებს, ხოლო ხელმძღვანელთა მიმართ ზემოქმედების სხვა ღონისძიებებსაც.

თუ ჩვენ ვცნობთ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სამართლის ნორმასთან ერთად მოქმედებენ სხვადასხვა გარემოებები, ფაქტორები და ზემოქმედების სხვა საშუალებებიც, გაუმართლებელი იქნება სამართლის ნორმას წავუყენოთ მოთხოვნა, რომ მან გარკვეული მიზნის მისაღწევად არამარტო გაითვალისწინოს ქცევის ოპტიმალური ვარიანტი, არამედ უზრუნველყოს კიდეც მიზნის შესაბამისი ფაქტიური შედეგის დადგომა.

სამართლის ნორმის ეფექტიანობის შესწავლის დროს გამოითქვა აზრი, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მხოლოდ ნორმის ზემოქმედების გზით მიღებული შედეგების გამოყოფა უნდა განხორციელდეს გამოთვლის გზით[7].

საკითხის ასე დაყენება უდავოდ საინტერესოა. იგი გვპირდება კვლევის შედეგების მაღალ სიზუსტეს, მაგრამ ირკვევა, რომ დღეისათვის არ არის შემუშავებული გამოთვლის სათანადო მეთოდიკა. ამის გარეშე კი სამართლებრივი ნორმის მოქმედების შედეგების გამოყოფა გამოთვლის გზით პრაქტიკულად შეუძლებელია.

ერთობლივი შედეგიდან მხოლოდ ნორმის მოქმედების შედეგების გამოყოფა შეიძლება განხორციელდეს ექსპერიმენტითაც.

ექსპერიმენტად ითვლება ობიექტის ისეთი გამოკვლევა, რომლის დროსაც იქმნება (ან შეირჩევა და დაჯგუფდება არსებული) პირობები, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია ჩვენთვის საინტერესო მოვლენათა ურთიერთკავშირის გამოვლინებისა და გაზომვისათვის[8].

აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტის ჩასატარებლად უნდა ავიღოთ საზოგადოებრივი ურთიერთობების ორი ყველაზე უფრო მსგავსი უბანი და ერთში, ექსპერიმენტალურში, გამოვიყენოთ სამართლებრივი ნორმა, მოვახდინოთ იმ

---

[5] См. **В. Кнапп**, О возможности использования кибернетических методов в праве, М., 1965, стр. 113—114.

[6] См. **И. С. Самощенко, В. И. Никитский**, Некоторые проблемы методологии изучения эффективности правовых норм (В сборнике «Проблемы социологии права»), выпуск I, Вильнюс, 1970, стр. 42.

[7] **В. Б. Никитин, В. В. Орехов, Л. И. Спиридонов, Э. А. Фомин**, О возможности подхода к исследованию эффективности правовой нормы (в сборнике «Проблемы социологии права»), выпуск I, Вильнюс, 1970, стр. 91; **И. Н. Петров**, Проблемы повышения эффективности законодательства об ответственности хозорганов за нарушение обязательств, (автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук), М., 1975, стр. 12—13.

[8] См. **А. П. Куприян**, Методологические проблемы социального эксперимента, Изд-во МГУ, 1971, стр. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებების ფაქსირება, რომლებსაც ადგილი ექნებათ ამ უბანზე, მიღებული შედეგები შევადაროთ იმ მონაცემებს, რომლებსაც მივიღებთ მეორე (საკონტროლო) უბანზე. ასეთი კვლევა მეტად შრომატევადია. მაგალითად, მან მოითხოვა: ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სენტ-პოლში 1194 ადამიანის ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა 1926-1935 წლების განმავლობაში[9]. ქ. ჩიკაგოს მახლობლად ჰიუტონის ქარხნებში 25 000 კაცის შესწავლა 1924—1932 წლების განმავლობაში[10], საბჭოთა კავშირში, აკჩის საბჭოთა მეურნეობის ყველა თანამშრომლის საქმიანობის შესწავლა ექვსი წლის განმავლობაში[11] და ა. შ.

ყველა დასახელებული გამოკვლევა ჩატარებულია ან ორგანიზაციების, ან პირთა დიდი ჯგუფების მიერ. ამასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია ამ საკითხებით დაინტერესებულ იურისტთა მოსაზრება, რომ სამართლის ნორმის მოქმედების ეფექტიანობის ღრმა კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საკმაოდ მსხვილი და კვალიფიცირებული მეცნიერული კოლექტივების მიერ, რომლებიც აერთიანებენ არა მარტო იურისტებს, არამედ ფილოსოფოსებს, სტატისტიკოსებს, ეკონომისტებს, ფსიქოლოგებს, მათემატიკოსებსა და სხვა სპეციალობათა წარმომადგენლებს[12].

სამართლის ნორმის ეფექტიანობის შესწავლა შეიძლება კიდევ ერთი გზით — კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენების საკითხი დაისვა როგორც სამართლებრივი მეცნიერების განვითარების აუცილებლობით, ისე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის დეკემბრის დადგენილებით „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საზოგადოებრივი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების შესახებ“ შესრულების გამო“[13], რომელმაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე ახალი საკითხები დააყენა.

აკადემიკოსმა პ. ფედოსეევმა თავის წერილში „კვლევის ძირითადი მიმართულებები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში“, აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ფართოდ წარიმართა სოციოლოგიური გამოკვლევები, მაგრამ მათში გამოვლინდა მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომები და ნაკლოვანებები. ამასთან, როცა მან ანალიზი გაუკეთა ეკონომიური კვლევის მეთოდებს, ყურადღება გაამახვილა იმის აუცილებლობაზე, რომ ეკონომიური ანალიზის თვისობრივი მხარე ჰარმონიულად უნდა შეეთანაწყოს რაოდენობრივ მხარეს[14].

სადავო არ უნდა იყოს ის, რომ სამეურნეო სამართალი, რომელიც სამეურნეო-ხელშეკრულებითს ურთიერთობებს აწესრიგებს, სამართლისა და ეკონომიკის მიჯნაზე იმყოფება. ამდენად ის, რაც ზემოთ ითქვა ეკონომიური

---

[9] См. А. П. Куприян, Методологические проблемы социального эксперимента. Изд-во МГУ, 1971, стр. 45—60.

[10] იქვე, გვ. გვ. 65-70.

[11] См. «Литературная газета», 1970, № 4, стр. 11.

[12] იხ. ა. ს. პაშკოვი და ლ. ს. იავიჩი, მითითებული ნაშრომი, გვ. 48; ი. ს. სამოშჩენკო და ვ. ი. ნიკიტსკი, მითითებული ნაშრომი, გვ. 35-36; ი. ვ. პეტროვი, სადოქტორო დისერტაციის მითითებული ავტორეფერატი, გვ. 17 და ა. შ.

[13] იხ. ჟურნალი «Коммунист» 1972, № 1, стр. 4.

[14] **П. Федосеев**, XXIV съезд КПСС и основные направления исследований в области общественных наук, журнал «Коммунист», 1972, № 1, стр. 67—75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ, ვრცელდება სამეურნეო-ხელშეკრულებითი ურთიერთობების კვლევის მეთოდოლოგიაზეც. თვისებრივი ცვლილებების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება ეყრდნობა დიალექტიკის ერთ-ერთ ძირითად კანონს — რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლის კანონს.

განვითარების ეს საყოველთაო კანონი, რომელიც, როგორც ცნობილია, ვრცელდება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ყველა პროცესზე, მიუთითებს იმაზე, რომ რაოდენობრივი ცვლილებების ძნელად შესამჩნევი, თანდათანობითი დაგროვება გარკვეულ მომენტში იწვევს არსებით, ძირეულ, თვისობრივ ცვლილებებს.

რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები ურთიერთკავშირში იმყოფებიან და განაპირობებენ ერთმანეთს. ამის გამო ადგილი აქვს არამარტო რაოდენობრივი ცვლილებების გადასვლას თვისობრივში, არამედ შებრუნებულ პროცესსაც — რაოდენობრივი მახასიათებლების შეცვლას საგნებისა და მოვლენების თვისების შეცვლის შედეგად .

სწორედ ასეთი ურთიერთკავშირი ედება საფუძვლად რაოდენობრივი ცვლილებების ბაზაზე თვისებრივი ცვლილებების გამოვლენისა და შესწავლის მეთოდს, რომელსაც გამოყენების ფართო შესაძლებლობა აქვს. იგი, პრაქტიკულად, შეიძლება გამოვიყენოთ ყველგან, სადაც არსებობს ზუსტი მონაცემები გარკვეული ცვლილებების შესახებ დროის გარკვულ პერიოდში.

ის, რაც ზემოთ ითქვა სამართლის ნორმის მოქმედების ეფექტიანობის შესახებ, მთლიანად ვრცელდება სამეურნეო-ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობის ეფექტიანობაზეც.

ასეთი დასკვნა ემყარება იმას, რომ სამეურნეო-ხელშეკრულებითი ურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც, საზოგადოებაში არსებულ სხვა ურთიერთობებთან შედარებით, კიდევ უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული სამართლის ნორმებით.

სამეურნეო-ხელშეკრულებითი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის ნორმების გამოყენებამ გარკვეული ეფექტი უნდა მოგვცეს. ასევე, გარკვეული ეფექტი უნდა მოგვცეს იმ პასუხისმგებლობამ ანუ იმ უარყოფითმა შედეგებმა[15], რომლებიც დაწესებულია სამეურნო-ხელშეკრულებითი ვალდებულების დარღვევისათვის.

ხელშეკრულებითი ვალდებულების დარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ეფექტიანობის შესწავლისათვის ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1963-1975 წლების სტატისტიკური მონაცემები და პრაქტიკა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, ისევე როგორც მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, განუწყვეტლივ ვითარდება; ამ განვითარების შედეგად ჩნდება მთელი რიგი ახალი და იზრდება ადრე არსებული საწარმოები და ორგანიზაციები. ეს განაპირობებს სახელშეკრულებო ურთიერთობათა განუწყვეტლივ ზრდას როგორც რაოდენობის ისე მოცულობის თვალსაზრისით.

---

15 ლიტერატურაში ერთიანი შეხედულება არ არის იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ თითქმის ყველა ავტორი სამართლიანად თვლის, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა ყოველთვის ითვალისწინებს იმ უარყოფითი შედეგების დადგომას, რომლებიც სამართლის ნორმის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის არიან გათვალისწინებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ პირობებში შეუძლებელია განსაზღვრა იმისა თუ რამდენ და რა სახის სამეურნეო ხელშეკრულებას სდებს რესპუბლიკის ყველა საწარმო და ორგანიზაცია ყოველწლიურად. ამდენად შეუძლებელია შესადარ სიდიდედ მათი გამოყენებაც.

შესადარებელ სიდიდეებად გამოვიყენეთ როგორც არბიტრაჟის მიერ განხილული ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა, ისე ყველა კატეგორიის განხილულ საქმეთა რაოდენობა წლების მიხედვით. კვლევის დროს, გამოვარკვიეთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს მონაცემების ცვალებადობა წლების მიხედვით და შევუდარეთ ერთ პერიოდში არბიტრაჟის მიერ განხილული ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა საერთოდ განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობას; ყოველივე ამის საფუძველზე გავაკეთეთ გარკვეული დასკვნები.

1. დავიწყოთ იმ პასუხისმგებლობის ეფექტიანობის შესწავლით, რომელიც დაწესებულია სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

ვალდებულება უნდა სრულდებოდეს ჯეროვნად და დადგენილ ვადაში, კანონის, დაგეგმვის აქტის თუ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად[16]. იმ შემთხვევაში როცა მოვალე დაარღვევს ვალდებულებას, მას ევალება მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპი. ამ პრინციპის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება მას ავალდებულებს აუნაზღაუროს კრედიტორს როგორც ამით გამოწვეული ფაქტიური ზარალი, ისე ის შემოსავალი, რომელიც მას არ მიუღია[17]. ამავე დროს, ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპი არ არის ასახული ზოგიერთ ნორმატიულ აქტსა და არბიტრაჟის პრაქტიკაში. ეს იმის ბრალია, რომ სხვადასხვა დროს გამონაკლისი გაკეთდა სატრანსპორტო, სამშენებლო, საპროექტო, ელექტრომომმარაგებელ, კავშირგაბმულობის, ბანკისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციებისათვის. იმის გამო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა შეზღუდულია, მათ ეკისრებათ მხოლოდ ფაქტიურად მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ხოლო ზოგჯერ სრული მოცულობით არც ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას ვხვდებით[18]. ასეთმა მდგომარეობამ თავის დროზე ზოგიერთ ავტორს

---

16 იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 165; რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 168 და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

17 იხ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, მუხლი 36, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 212, და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

18 ასე მაგალითად, რკინიგზა ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში მოვალეა აანაზღაუროს ამ ტვირთის ღირებულება იმ ხარჯების ანაზღაურების გარეშე, რომლებიც გაწეულ იქნა ტვირთის რკინიგზის სადგურთან მიტანის, მის დატვირთვასთან დაკავშირებით და ა. შ. (სსრ კავშირის რკინიგზათა წესდება პუნქტი 151); ასეთივე წესი მოქმედებს საავტომობილო ტრანსპორტზეც (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მუხლი 377 და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი კრიტიკის საფუძველი მისცა[19]. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგეთა რიცხვი ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა.

ჩვენ ვუერთდებით ამ ავტორებს და ვფიქრობთ, რომ ვალდებულების მონაწილეებისათვის ერთი და იგივე დარღვევის გამო სხვადასხვა პასუხისმგებლობის დაწესება ასევე ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს — სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის პრინციპს. ვფიქრობთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მასალების ანალიზი კიდევ უფრო დამაჯერებელს გახდის საკითხისადმი ასეთ დამოკიდებულებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1972-1975 წლების პრაქტიკამ[20] გვიჩვენა, რომ სამშენებლო, საპროექტო და კავშირგაბმულობის ორგანიზაციების მიმართ სარჩელები არ აღძრულა. არბიტრაჟი, მისი დებულებიდან გამომდინარე, არ ღებულობს სარჩელს სახელმწიფო ბანკის ორგანოების მიმართ[21], ხოლო რაც შეეხება ელექტრომომმარაგებელ ორგანიზაციებს — მათზე რამდენიმე სარჩელი იყო შეტანილი. გავაანალიზებთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც არბიტრაჟს მოეპოვება სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მასალები გვიჩვენებს, რომ სატრანსპორტო ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი სარჩელები შედის რკინიგზის ტრანსპორტის ორგანიზაციების მიმართ, უფრო ნაკლები — საავტომობილო, საზღვაო ტრანსპორტის ორგანიზაციების მიმართ.

თუ 1965 წელს[22] არბიტრაჟის მიერ გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობას პირობითად 100 პროცენტად მივიჩნევთ, მაშინ

---

[19] იხ. მაგალითად: **Е. А. Флейшиц, А. Л. Маковский**, О повышенной и ограниченной ответственности социалистических организаций за нарушение обязательств по советскому гражданскому законодательству, (Ученые записки ВНИИСЗ»), 1966, стр. 53—64; **М. И. Брагинский, В. С. Маврищев**, О некоторых путях усиления экономической эффективности имущественных санкций в хозяйственных договорах (Материалы межведомственной экономико-правовой научной конференции «Проблемы ответственности хозяйственных органов в условиях планирования и экономического стимулирования промышленного производства»), Донецк, 1967, стр. 64; **Н. А. Абрамов**, Полная и ограниченная ответственность хозяйственных организаций, «Советское государство и право», 1969, № 8, стр. 68; **М. К. Матвеев**, Основания гражданско правовой ответственности, М., 1970, стр. 305; **И. С. Самощенко, М. Х. Фарукшин**, Ответственность по советскому законодательству, М., 1971, стр. 164.

[20] სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო (ამ კატეგორიის დავები სხვა სახის დავებთან ერთად შედიან გრაფაში „სხვა დავები") იძულებულნი ვართ შევიზღუდოთ ამ პერიოდით.

[21] იხ. „დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ", პუნქტი 9 (დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წ. 14 მაისის № 234 დადგენილებით, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1974 წ. № 3, მუხლი. 41).

[22] 1965 წლამდე სახელმწიფო არბიტრაჟების სტატისტიკური ანგარიშები შეიცავდნენ ცნობებს მხოლოდ გადაზიდვასთან დაკავშირებული დანაკლისის შესახებ, ხოლო 1965 წლიდან სტატისტიკური ანგარიშები შეიცავენ აგრეთვე ცნობებს ტვირთის დაზიანებასთან და გაფუჭებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების შესახებ. ანალიზისათვის უფრო სრული ცნობების გამოყენებამ განაპირობა საწყისად 1965 წლის მონაცემების აღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლების მიხედვით არბიტრაჟის მიერ განხილული ამ კატეგორის საქმების რაოდენობა შემდეგ სურათს მოგვცემს:

1965 წელი — 100 პროცენტი
1966 წელი — 82,2 პროცენტი
1967 წელი — 107,3 პროცენტი
1968 წელი — 118,7 პროცენტი
1969 წელი — 205,4 პროცენტი
1970 წელი — 388,1 პროცენტი
1971 წელი — 252,1 პროცენტი
1972 წელი — 282,4 პროცენტი
1973 წელი — 284,3 პროცენტი
1974 წელი — 312,9 პროცენტი
1975 წელი — 374,2 პროცენტი

როგორც ვხედავთ, გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა. ამავე წლებში გაიზარდა არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობაც. კერძოდ, თუ 1965 წელს განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობას მივიჩნევთ 100 პროცენტად, მაშინ 1975 წელს იგი შეადგენს 197,9 პროცენტს.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ადგილი აქვს ზრდას, მაგრამ გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე საერთოდ ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობა. ამასთან ერთად გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობრივად დიდი ზრდა არის მაშინაც, როცა შეინიშნება ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობის შემცირების ტენდენცია (1974-1975 წლებში).

სატრანსპორტო დავასთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ ტვირთბრუნვის გადიდებამ და ხელშეკრულებითი ურთიერთობების დამკვიდრება-სრულყოფამ გამოიწვიეს სატრანსპორტო ორგანიზაციების კონტრაჰენტთა აქტივობა და იმ შემთხვევების გახშირება, როცა ისინი არბიტრაჟს მიმართავენ.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილულ საქმეთა ზრდის მიუხედავად მეტად მცირეა გადახდევინებული თანხის რაოდენობა. ეს კარგად ჩანს, თუ წლების მიხედვით შევადარებთ გადაზიდვასთან დაკავშირებული საქმეების პროცენტს ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობაში და იმ პროცენტს, რასაც შეადგენს გადაზიდვასთან დაკავშირებით გადახდევინებული თანხები ყველა საქმეებზე გადახდევინებულ თანხებში.

ეს შედარება იძლევა შემდეგ სურათს:

	I	II
1965 წელი	3,7 პროცენტი	1,6 პროცენტი
1966 წელი	3,1 პროცენტი	1,7 პროცენტი
1967 წელი	3,7 პროცენტი	2,1 პროცენტი
1968 წელი	3,6 პროცენტი	3,8 პროცენტი
1969 წელი	5,7 პროცენტი	3,5 პროცენტი
1970 წელი	6,3 პროცენტი	4,6 პროცენტი

1971 წელი	— 5.4 პროცენტი	4,5 პროცენტი
1972 წელი	— 5,7 პროცენტი	3,5 პროცენტი
1973 წელი	— 5,1 პროცენტი	5,2 პროცენტი
1974 წელი	— 6,3 პროცენტი	4,2 პროცენტი
1975 წელი	— 7,9 პროცენტი	4,9 პროცენტი

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ პროცენტებში გამოსახული თანაფარდობა გადაზიდვასთან დაკავშირებით განხილულ საქმეებსა და ყველა განხილულ საქმეებს შორის, ერთის მხრივ და გადაზიდვასთან დაკავშირებით გადახდევინებულ თანხებსა და ყველა სახის საქმეებთან დაკავშირებით გადახდევინებულ თანხებს შორის, მეორეს მხრივ ყოველთვის არ არის ერთი და იგივე. 1965-1967 წლებში, I თანაფარდობა დაახლოებით ორჯერ აღემატება II თანაფარდობას, შემდეგ პერიოდში, I თანაფარდობა უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც საგრძნობლად აღემატება II თანაფარდობას; გამონაკლისს შეადგენენ 1968 და 1973 წლები, როცა II თანაფარდობა შესაბამისად 0,2 პროცენტით და 0,1 პროცენტით აღემატება I თანაფარდობას, მაგრამ იმის გამო, რომ მთელი უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ასეთ შემთხვევას ორჯერ ჰქონდა ადგილი და განსხვავება I თანაფარდობის სასარგებლოდ მაინც დიდი რჩება, ისინი შეიძლება არატიპიურად მივიჩნიოთ და უკუვაგდოთ.

იმის გარკვევა, თუ რამ განაპირობა ასეთი დიდი სხვაობა I და II თანაფარდობას შორის 1965-1967 წლებში, შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როცა აიხსნება, თუ რამ გამოიწვია 1968 წლიდან I და II თანაფარდობას შორის დამოკიდებულების შეცვლა. ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით[23] გაზარდა პასუხისმგებლობა ზოგიერთი დარღვევისათვის.

ასე მაგალითად, რკინიგზა — ტვირთზიდვის გეგმის შესასრულებლად ვაგონებისა და კონტეინერების მიუწოდებლობისათვის, ხოლო ტვირთის გამგზავნი — მიწოდებული ვაგონებისა და კონტეინერების გამოუყენებლობისათვის, ან გეგმით გათვალისწინებულ ვაგონებსა და კონტეინერებზე უარის თქმისათვის იხდიან ჯარიმას შემდეგი ოდენობით: ტვირთისათვის, რომლის გადაზიდვა იგეგმება ტონობით ან ვაგონობით, — თითო მანეთს ტონაზე (ადრე დაწესებული იყო 30 კაპიკი), დამოუკიდებლად მოძრავი შემადგენლობის გვარეობისა და ღერძიანობისა; ტვირთისათვის, რომლის გადაზიდვა იგეგმება მხოლოდ ვაგონებით, —15 მანეთს (ადრე დაწესებული იყო 5 მანეთი) საერიცხვო ვაგონისათვის; ტვირთისათვის, რომლის გადაზიდვა წარმოებს კონტეინერებით: 6 მანეთს (ადრე დაწესებული იყო 2 მანეთი)— კონტეინერისათვის რომლის ტვირთამწეობა 5 ტონა და მეტია, 3 მანეთს (ადრე დაწესებული იყო 1 მანეთი) — კონტეინერისათვის, რომლის ტვირთამწეობა 3 ტონაა[24] და ა. შ.

---

[23] იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილება „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ". („სამეურნეო კანონმდებლობის კრებული", შემდგენელი პროფ. ნ. წერეთელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1974, გვ. 80-90).

[24] იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის მითითებული დადგენილების პუნქტი 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯერ გაიზარდა ადრე დაწესებული ჯარიმები, რომლებსაც იხდიდნენ ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებისათვის რკინიგზები, საზღვაო ნაოსნობანი (კაბოტაჟით ტვირთის გადაზიდვის დროს), სამდინარო ნაოსნობანი[25] და სხვა.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებამ გაზარდა სანქციები ხელშეკრულებითი ვალდებულებების ზოგიერთი დარღვევისათვის. დადგენილება ძალაში შევიდა 1968 წლის 1 იანვრიდან. ამ გარემოებამ არსებითი გავლენა მოახდინა 1968 წლისა და შემდგომი პერიოდის მაჩვენებლებზე, როგორც სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და მათი კლიენტურის ხელშეკრულებითი ვალდებულების დარღვევების სიხშირისა და ხასიათის, ისე იმ თანაფარდობის თვალსაზრისით, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ როგორც I და II თანაფარდობა.

ამ დარღვევებისათვის სანქციების გაზრდამ გააქტიურა ხელშეკრულების მხარეები. ისინი, ვინც ადრე თავს არიდებდნენ სარჩელის შეტანას იმ მოტივით, რომ უმნიშვნელო თანხის გამო არ ღირს „ურთიერთობის გაუარესება მუდმივ კონტრაჰენტებთან“, სანქციების გაზრდის შემდეგ სხვანაირად იქცევიან. ამასთან, ასეთი „ამნისტირება“ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევად იქნა მიჩნეული. გარდა ამისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა დაავალა არბიტრაჟის ორგანოებს თუ ადგილი ექნება მიმწოდებლის მიერ გეგმური დავალებისა და ხელშეკრულებითი ვალდებულებების დარღვევას, საკუთარი ინიციატივით აღძრან საქმე და, საქმის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მიიღონ გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს გადახდევინების შესახებ მყიდველების სასარგებლოდ ან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხავად[26].

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ეს მოთხოვნა მოგვიანებით აისახა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებაში, რომლითაც არბიტრაჟს დაევალა აგრეთვე აქტიურად ებრძოლოს კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინებებს[27].

არბიტრაჟში განხილულ საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არ არის დაწესებული ეფექტური პასუხისმგებლობა სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

სატრანსპორტო ორგანიზაციათა პასუხისმგებლობის გაზრდა უნდა მოხდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის სრულ პასუხისმგებლობად გადაქცევის გზით. ვფიქრობთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მოტანილი მონაცემები და მათი ანალიზის გზით მიღებული დასკვნა კიდევ ერთი სერიოზული არგუმენტია ასეთი ცვლილების აუცილებლობის სასარგებლოდ.

---

25 იხ. სს რკავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის მითითებული დადგენილების პუნქტი 20.

26 იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1973 წლის 1 თებერვლის № 4-1-3 საინსტრუქციო წერილის პუნქტი 6.

27 იხ. „დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“, პუნქტები 183 და 3 (დებულება დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მაისის № 234 დადგენილებით, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1974 № 3, მუხლი 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებში ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს როგორც ყველა სახის პროდუქციის, ისე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით.[28]

ამ მიზეზით დიდ ინტერესს იწვევს მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ეფექტიანობის საკითხი.

მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ხშირად ვლინდება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების დარღვევით ან ნაკლმიწოდებით, აგრეთვე უხარისხო და არაკომპლექტური პროდუციისა და საქონლის მიწოდებით. განვიხილოთ თითოეული სახის დარღვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ეფექტიანობა ცალ-ცალკე.

დავიწყოთ დარღვევებიდან, რომლებიც ვლინდება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებით ან ნაკლმიწოდებით. თუ 1963 წელს არბიტრაჟის მიერ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებასთან და ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობას 100 პროცენტად მივიჩნევთ, მაშინ წლების მიხედვით არბიტრაჟის მიერ განხილული ამ კატეგორიის საქმების რაოდენობა შემდეგ სურათს მოგვცემს:

1963 წელი — 100 პროცენტი
1964 წელი — 79,7 პროცენტი
1965 წელი — 97,3 პროცენტი
1966 წელი — 95,4 პროცენტი
1967 წელი — 98,1 პროცენტი
1968 წელი — 144,5 პროცენტი
1969 წელი — 218,7 პროცენტი
1970 წელი — 213,8 პროცენტი
1971 წელი — 211,1 პროცენტი
1972 წელი — 279,1 პროცენტი
1973 წელი — 246,0 პროცენტი
1974 წელი — 234,4 პროცენტი
1975 წელი — 203,8 პროცენტი

ამავე პერიოდში გაიზარდა არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმების რაოდენობაც. კერძოდ, თუ არბიტრაჟის მიერ 1963 წელს განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობას აღვნიშნავთ 100 პროცენტით, მაშინ 1975 წლის მაჩვენებელი 187,1 პროცენტი იქნება.

ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ზრდას, მაგრამ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებასთან და ნაკლმიწოდებასთან დაკავში-

---

[28] იხ. „დებულება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ", პუნქტი 3; ასევე „დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ", პუნქტი 3; (ორივე დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით, „სამეურნეო კანონმდებლობის კრებული", თბილისი, 1974, გვ. 119, 157).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით განხილული საქმეების რაოდენობა გარკვეულად უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობა.

უკვე ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით დაწესებული პასუხისმგებლობა შეიძლება არაეფექტიანი იყოს.

ეს ცხრილი ანალიზის მიზნით დავყოთ პერიოდებად. აქ შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი: I — 1963-1967 წლები; II — 1968-1972 წლები და III — 1973-1975 წლები.

პირველ პერიოდში შეინიშნება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობისა და იმ პროცენტის შემცირება, რომელსაც შეადგენენ ამ კატეგორიის საქმეები არბიტრაჟის მიერ განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში. ასეთი შემცირება ჩვენი აზრით გამოწვეული უნდა იყოს: 1) სამეურნეო ანგარიშის პრინციპებისა და სამეურნეო — სამართლებრივი ურთიერთობების სუსტი განვითარებით; 2) ამ სახის დარღვევებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის უკმარისობით და 3) სახალხო მეურნეობის მართვის აგებით ტერიტორიულ საწყისებზე და იმ რეორგანიზაციით, რომელის გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, მართვის ტერიტორიული საწყისებიდან მართვის დარგობრივ პრინციპებზე გადასვლით.

მეორე პერიოდში (1968-1972 წლები) შეინიშნება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობისა და იმ პროცენტის მკვეთრი ზრდა, რომლესაც შეადგენენ ამ კატეგორიის საქმეები არბიტრაჟის მიერ განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში. ასეთი მკვეთრი ზრდა 1968 წლიდან გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ 1968 წლიდან, როგორც აღინიშნა, გაიზარდა პასუხისმგებლობა სამეურნეო ვალდებულებათა დარღვევისათვის, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების ვადის გადაცილების ან ნაკლმიწოდებისათვის,[29]. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის ან ნაკლმიწოდებისათვის.[30]

1,5-ჯერ გაიზარდა პასუხისმგებლობა: საექსპლოატაციოდ გადასაცემი მშენებლობებისათვის მოწყობილობის მიუწოდებლობის ან ნაკლები რაოდენობით მიწოდებისათვის; სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, უკიდურესი ჩრდი-

---

29 იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილება დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ", პუნქტი 1. „ა", „დებულება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ" პუნქტი 59, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით („სამეურნეო კანონმდებლობის კრებული", თბილისი 1974, გვ. 80, 81, 146, 147).

30 იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ", პუნქტი 1 „ბ" „დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მოწოდების შესახებ" პუნქტი 60, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით („სამეურნეო კანონმდებლობის კრებული", თბილისი 1974, გვ. 81, 185, 186).

ლოეთის რაიონებსა ან ვადამდე შეზიდვის სხვა რაიონებში — საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებისათვის ან ნაკლმიწოდებისათვის. გაიზარდა პასუხისმგებლობა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (საქონლის) მიწოდების ვადის გადაცილებისათვის ან ნაკლმიწოდებისათვის და ა. შ.[31]

პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებასთან და ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით დაწესებული პასუხისმგებლობის გაზრდამ კი გამოიწვია მხარეთა აქტივობა. დადებითი ფაქტორების როლი შეასრულეს აგრეთვე სამეურნეო ურთიერთობების სრულყოფამ და არბიტრაჟის ორგანოებისათვის იმის უფლების მინიჭებამ, რომ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დამრღვევების მიმართ მკაცრი ზომები გამოიყენონ.

მესამე პერიოდში (1973-1975 წლები) შეინიშნება პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებასთან და ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის შემცირება. ეს უნდა აიხსნას სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა მართლშეგნების გაზრდით, მათ მიმართ ზემოქმედების იმ საშუალებათა გამოყენებით, რასაც ახორციელებენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, იმ დიდი ძვრებით, რაც სწორედ ამ პერიოდში მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში. განხილული საქმეების რაოდენობის შემცირებაში უდავოდ დადებითი როლი შეასრულა ამ სახის დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდამ. თუ 1968-1972 წლებში პასუხისმგებლობის გაზრდამ გამოიწვია სამეურნეო ხელშეკრულების მხარეთა აქტივობა, ამავე გარემოებამ შეცვალა სამეურნეო ხელშეკრულების დამრღვევთა დამოკიდებულება თავიანთი ვალდებულებისადმი მომდევნო წლებში. ეს პროცესი, როგორც ჩანს, ბოლომდე არ არის მისული. ამის მაჩვენებელია ის, რომ 1975წელს, 1963 წელთან შედარებით, პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა უფრო მეტად ვიდრე არბიტრაჟის მიერ შესაბამის პერიოდში განხილული ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობა, გაიზარდა აგრეთვე პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებული საქმეები არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ პროდუქციისა და საქონლის ვადის გადაცილების ან ნაკლმიწოდებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობა არ არის საკმარისად ეფექტიანი ამ სახის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

3. მეორე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელშიც ვლინდება მიწოდების ხელშეკრულების შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება, არის უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდება. თუ 1963 წელს უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობას 100 პროცენტად მივიჩნევთ, მაშინ წლების მიხედვით არბიტრაჟის მიერ განხილული ამ კატეგორიის საქმეების რაოდენობა შემდეგ სურათს მოგვცემს:

[31] იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილება „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, პუნქტი 1 „ა“ „ბ“ (სამეურნეო კანონმდებლობის კრებული“, თბილისი, 1974, გვ. 80, 81).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963 წელი — 100 პროცენტი
1964 წელი — 95,1 პროცენტი
1965 წელი — 99,9 პროცენტი
1966 წელი — 95,9 პროცენტი
1967 წელი — 94,2 პროცენტი
1968 წელი — 102, 7 პროცენტი
1969 წელი — 122.6 პროცენტი
1970 წელი — 137,5 პროცენტი
1971 წელი — 156,9 პროცენტი
1972 წელი — 149,6 პროცენტი
1973 წელი — 190,3 პროცენტი
1974 წელი — 180,4 პროცენტი
1975 წელი — 165,5 პროცენტი

ამავე პერიოდში გაიზარდა არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობაც, კერძოდ, თუ 1963 წელს არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობას აღვნიშნავთ 100 პროცენტით, მაშინ 1975 წლის მაჩვენებელი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 187,1 პროცენტი იქნება.

ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ზრდას. მაგრამ უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის ზრდა გარკვეულად ჩამორჩება არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობის ზრდას.

მოტანილი ცხრილი დავყოთ პერიოდებად. მასში შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი: I — 1963-1967; II — 1968-1973 და III — 1974-1975 წლები.

პირველ პერიოდში შეინიშნება უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობისა და იმ პროცენტის ოდნავი შემცირება, რომლებსაც შეადგენს ამ კატეგორიის საქმეები არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში. ასეთი შემცირება ყველაზე უფრო საგრძნობია ამ პერიოდის უკანასკნელ წელს.

ეს, ისევე როგორც პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან დაკავშირებით არბიტრაჟის მიერ განხილული საქმეების რაოდენობის შემცირება, გამოწვეული უნდა იყოს: 1) სამეურნეო ანგარიშის პრინციპებისა და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუსტი განვითარებით; 2) ამ სახის დარღვევებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის არასაკმარისობით და 3) სახალხო მეურნეობის მართვის აგებით ტერიტორიულ საწყისებზე და იმ რეორგანიზაციით, რომელიც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, მართვის ტერიტორიული საწყისებიდან მართვის დარგობრივ პრინციპებზე გადასვლით.

მეორე პერიოდში (1968-1973 წლები) შეინიშნება უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის საკმაოდ დიდი ზრდა.

ასეთი ზრდა, როგორც უკვე აღინიშნა, დამახასიათებელი იყო პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ვადის გადაცილებასთან ან ნაკლმიწოდებასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებით განხილული საქმეებისთვისაც და ზრდის მიზეზად ჩვენ მივიჩნიეთ ამ დარღვევისათვის ადრე დაწესებული პასუხისმგებლობის გაზრდა. უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის ზრდაც ამავე მიზეზით უნდა აიხსნას.

მართლაც, 1968 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა პასუხისმგებლობა ისეთი პროდუქციის (საქონლის)მიწოდებისათვის, რომელიც: 1) არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს ან ნიმუშებს; 2) შეიცავს ისეთ საწარმოო დეფექტებს, რომელთა ადგილზე აღმოფხვრა შესაძლებელია; 3) არაკომპლექტურია; 4) უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ეს აღნიშნულია ხარისხის დამადასტურებელ სიბუთში.[32]

ეს შემდეგ აისახა დებულებაში მიწოდების შესახებ.[33] გარდა ამისა, დებულებებით მიწოდების შესახებ უარყოფითი შედეგებია გათვალისწინებული იმ შემთხვევებში, როცა მიწოდებული პროდუქცია (საქონელი) მართალია შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, მაგრამ არ პასუხობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაზრდილ მოთხოვნებს ხარისხისადმი ან როცა ხარისხის სახელმწიფო ნიშნით მიწოდებული პროდუქცია შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, მაგრამ არ შეესაბამება მოცემული პროდუქციის ამ სახეობისათვის დაწესებული ატესტაციის მოთხოვნებს. უარყოფითი შედეგებია გათვალისწინებული იმ შემთხვევებშიც, როცა ადგილი აქვს მატერიალურ-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებას კონსტრუქციული ნაკლოვანებებით.[34]

იმ პასუხისმგებლობის შესწავლისას, რომელიც დაწესებულია უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებისათვის, ვლინდება, რომ იგი საკმაოდ მაღალია და დიფერენცირებული; მყიდველს მიმწოდებლის მიმართ გამოსაყენებელი სანქციის არჩევის ფართო შესაძლებლობა აქვს.

მიმწოდებლის მიერ ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებას ხელს უწყობს წესი, რომლის თანახმად, თუ საწარმოები და ორგანიზაციები მოახდენენ იმ პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს, მაშინ მისი რეალიზაციის გზით მიღებული მთელი მოგება ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში და არ ჩაეთვლება საწარმოს

---

32 იხ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილება „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, პუნქტები 3, 4, 5, 6 („სამეურნეო კანონმდებლობის კრებული“, თბილისი, 1974, გვ. 81, 82, 83).

33 იხ. „დებულება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ“, პუნქტები 61, 62, 64, 66; „დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ“, პუნქტები 62, 63, 66, 67; (ორივე დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით, „სამეურნეო კანონმდებლობის კრებული“, თბილისი, 1974, გვ. 148, 149, 150, 187, 188).

34 იხ. „დებულება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ“, პუნქტები 63, 65; „დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ“, პუნქტი 64; (ორივე დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით, „სამეურნეო კანონმდებლობის კრებული“, თბილისი, 1974, გვ. 148, 149, 188).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ორგანიზაციას პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების გეგმის შესრულებაში.[35]

ყოველივე ამის გამო უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა უფრო ნაკლებად გაიზარდა, ვიდრე არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობა, ამასთან, ის პროცენტი, რომელსაც შეადგენენ უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეები არბიტრაჟის მიერ განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში 1973 წელს, მართალია, გაიზარდა 1967 წელთან შედარებით, მაგრამ 1963 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე მაინც ნაკლებია.

მესამე პერიოდში (1974-1975 წლები) შეინიშნება უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის შემცირება.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც განხილული საქმეების რაოდენობის შემცირება უნდა აიხსნას სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მონაწილეთა მართლშეგნების გაზრდით, მათ მიმართ ზემოქმედების იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც გააჩნიათ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, იმ დიდი ძვრებით, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში.

უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობის შემცირებაში დადებითი როლი შეასრულა ამ სახის დარღვევისათვის დაწესებული პასუხიმგებლობის გაზრდამ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია—იმან, რომ ეს პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია და მყიდველს დამრღვევზე ზემოქმედების მიზნით შეუძლია თვითონ შეარჩიოს ნორმატიული წესით გათვალისწინებული სანქციებიდან ერთ-ერთი.

ყოველივე ამის შედეგად, თუ არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობა 1975 წელს 1963 წელთან შედარებით 87,1 პროცენტით გაიზარდა, არბიტრაჟის მიერ უხარისხო და არაკომპლექტური საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 65,5 პროცენტით, ამასთან, უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით განხილული საქმეების არბიტრაჟის მიერ განხილული ყველა კატეგორიის საქმეთა საერთო რიცხვში 1975 წელს შეადგენდა 19,9 პროცენტს, ნაცვლად 22,6 პროცენტისა 1963 წელს, ვფიქრობთ, მიღწეული შედეგები უკეთესი იქნებოდა, მოსარჩელე ორგანიზაციები და სახელმწიფო არბიტრაჟი უფრო სრულად რომ იყენებდნენ ნორმატიული აქტებით მინიჭებულ უფლებებს.

დებულებები მიწოდების შესახებ ითვალისწინებენ, რომ არაჯეროვანი ხარისხის არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შემთხვევაში დამამზადებელი (მიმწოდებელი) მყიდველს (მიმღებს) გადაუხდის დაწესებულ პირგასამტეხლოს (ჯარიმას) და ამას გარდა, აუნაზღაურებს ასეთი მიწოდებით მიყენებულ ზარალს პირგასამტეხლოს (ჯარიმის) ჩაუთვლელად. იქვეა

[35] Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 10 ноября 1970 г. «О повышении роли стандартов в улучшении качества выпускаемой продукции», п. 4 (СП. СССР, 1970, № 20, стр. 154).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტებული, რომ ზარალს მიეკუთვნება ხარჯები, რაც გაიღო მხარემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, ქონების დაკარგვა ან დაზიანება, აგრეთვე კონტრაჰენტის მიერ მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც[36] იგი მიიღებდა, თუკი მეორე მხარე ვალდებულებას შეასრულებდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსარჩელე ორგანიზაციები მათთვის, უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შემთხვევაში, როგორც წესი, მოითხოვენ მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურებას, რაც მათ გაიღეს ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, ქონების დაკარგვის ან დაზიანების გამო.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმ შემოსავლის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელიც მოსარჩელეს უნდა მიეღო, თუკი მეორე მხარე ვალდებულებას შეასრულებდა. რაც უნდა იყოს ამის მიზეზი, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თითქმის არც ერთი ორგანიზაცია არ იყენებს მისთვის კანონით სპეციალურად მინიჭებულ უფლებას და ამით ნებით თუ უნებლიეთ ამცირებს ვალდებულების დამრღვევი მხარის პასუხისმგებლობას.

სხვა ვითარებაში, ამ ხარვეზის მიუხედავად შეიძლებოდა დავკმაყოფილებულიყავით 1975 წლის მაჩვენებლებით და გარკვეული შეღავათით უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობა ეფექტიანად მიგვეჩნია ამ სახის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამჟამად კი, როცა მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად არის მიჩნეული,[37] ეს საკითხი სხვანაირ მიდგომას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ პროდუქციისა და საქონლის მიწოდებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის სრული გამოყენება. თუ ამ ღონისძიების გატარება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, უნდა ვიზრუნოთ ამ დარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის შემდგომი სრულყოფისათვის. ამის განხორციელება მით უფრო აუცილებელია, რომ განხილული სახის დარღვევებიდან არაკომპლექტურობის წილად მოდის ხარისხის მოთხოვნის დაუცველობასთან დაკავშირებით განხილული საქმეების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

დასასრულ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის და საქონლის მიწოდებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობა არ არის საკმარისად ეფექტიანი ამ სახის დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

---

36 იხ. „დებულება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ", პუნქტი 88; „დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ", პუნქტი 90; (ორივე დებულება დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით „სამეურნეო კანონმდებლობის კრებული", თბილისი, 1974, გვ. 154, 193).

37 იხ. ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში (მოხსენება სკკპ XXV ყრილობას 1976 წლის 24 თებერვალს), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1976, გვ. 60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური ქონების გატაცების ცნების საკითხისათვის

დოც. ზ. წულაია

საბჭოთა კანონმდებლობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების განზოგადებული ცნება პირველად მოცემულ იქნა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონში — „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვის და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“.

კანონი აწესებდა პასუხისმგებლობას სოციალისტური საკუთრების შედარებით უფრო საშიში ხელყოფისათვის და წარმოადგენდა დამოუკიდებელ, საერთო საკავშირო მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივ ნორმას. მასთან ერთად მოქმედებდა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის ბევრი მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების სხვადასხვა ფორმისათვის. 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით განსაზღვრული გატაცების ცნება მოიცავდა არა ყველა გატაცებას, არამედ მხოლოდ ისეთ გატაცებას, რაც ჩადენილი იყო სისტემატურად, ჯგუფურად ან დიდი ოდენობით. ამ კანონის თანახმად რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის ტვირთები, ისევე, როგორც კოლმეურნეობების და კოოპერატივების ქონება (მოსავალი მინდვრად, საზოგადოებრივი მარაგი, პირუტყვი, კოოპერატივის საწყობები და სხვ.) გაუთანაბრდა სახელმწიფო ქონებას და ყოველმხრივ გაძლიერდა მისი დაცვა გატაცებისაგან. სასჯელის ზომად გათვალისწინებულ იქნა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით, რაც შემამსუბუქებელი გარემოების დროს შეიძლება შეცვლილიყო არანაკლებ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით ქონების კონფისკაციით.

სწორად შენიშნავს პროფ. ბ. ნიკიფოროვი, რომ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონმა საფუძველი ჩაუყარა იმ ნორმების განსაკუთრებული ჯგუფის გამოყოფის პროცესს, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისათვის[1]. ამ პროცესმა შემდგომში განვითარება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებაში — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ბრძანებულება ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ქონების ქურდობისათვის, მითვისებისათვის, გაფლანგვისათვის ან მისი გატაცებისათვის სხვა სახით.

ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის

---

[1] Б. С. Никифоров, Объект преступления, М., 1960, стр. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის კოდექსების იმ მუხლებმა, რომლებიც ითვალისწინებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებას, დაკარგა მნიშვნელობა.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დაწესდა ერთნაირი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების სხვადასხვა სახეებისათვის. არსებითად, სოციალისტური ქონების გატაცების ყველა ხერხი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ბრძანებულებით გათვალისწინებული, გვევლინებოდა გატაცების ჩადენის საშუალებად, გატაცებისა, რომლის ცნებაც ერთობ განვრცობით განისაზღვრა.

ამრიგად, ბრძანებულების გამოცემით დადგინდა სოციალისტური ქონების გატაცების ერთიანი ცნება, რომელიც გულისხმობდა ქურდობას, გაძარცვას, თაღლითობას, აგრეთვე სოციალისტური ქონების დაუფლებას სხვა ხერხებითა და საშუალებებით.

რამდენადაც ბრძანებულება ითვალისწინებდა სოციალისტური ქონების გატაცების ერთიან შემადგენლობას, ამდენად სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაშიც ცდილობდნენ მოენახათ ისეთი ტერმინი, რომელიც გააერთიანებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან სოციალისტური ქონების ამოღების ყველა შესაძლო საშუალებას. მაგრამ ასეთი ყოვლისმომცველი ტერმინის შერჩევა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამდე ვერ მოხერხდა. საქმე ის არის, რომ ამ ტერმინის შემუშავების დროს გატაცების ცნებას ან თვითნებურად აფართოვებდნენ ან, პირიქით, დაუსაბუთებლად ავიწროებდნენ[2].

დღეისათვის „გატაცება“, როგორც სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ამსახველი ტერმინი, გვხვდება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების, როგორც ზოგად, ისე განსაკუთრებულ ნაწილში (მაგალითად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში გატაცება მოხსენებულია 8[1], 44, 54[1], 91, 92, 93, 94, 95[1], 96[1] და სხვა მუხლებში). კანონმდებელი თუმცა ფართოდ იყენებს ამ ტერმინს, მაგრამ მისი განსაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებს ჯერჯერობით არ მოუციათ. ეს ბუნებრივია, აყენებს იმის აუცილებლობას, რომ განმარტებული იქნეს გატაცების ცნება, რაც დაგვეხმარება გატაცების ცალკეული ფორმის სწორ იურიდიულ კვალიფიკაციაში, სხვა დანაშაულთაგან ვატაცების გამიჯვნაში და სხვ.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრებას დიდი ყურადღება ეთმობა. გატაცების განსაზღვრებები მოცემულია მთელ რიგ მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებში, სტატიებში, დისერტაციებში და სხვ.

წინამდებარე სტატიაში შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

პირველ რიგში განვიხილოთ ის განსაზღვრებები, რომლებიც ადრე მოქმედი კანონმდებლობის ბაზაზეა შექმნილი.

---

[2] З. А. Вишинская, Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества, М., 1948, стр. 10; Б. А. Куринов, Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, М., 1954, стр. 31; А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, т. 1, М., 1955, стр. 367—370. Г. А. Мендельсон, Ю. М. Ткачевский, Уголовная ответственность за мелкое хищение государственного и общественного имущества, М., 1957, стр. 21. М. И. Якубович, В. Ф. Кириченко, Советское уголовное право, М., 1958, стр. 269. Т. Л. Сергеева, Уголовно-правовая охрана социалистической собственности в СССР, М., 1954, стр. 13.

ა. ტრაინინის, ვ. მენშაგინისა და ზ. ვიშინსკაიას მიერ გატაცება განსაზღვრულია, როგორც სოციალისტური საკუთრების დანაშაულებრივი დაუფლება[3]. მ. გელფერმა გატაცება განსაზღვრა, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მართლსაწინააღმდეგო გადაქცევა თავის ან მესამე პირის საკუთრებად[4]. პ. მიხაილენკოს მიხედვით გატაცება არის სახელმწიფო, კოოპერაციული, საკოლმეურნეო და სხვა ქონების დანაშაულებრივი, უნაცვალგებო გადაქცევა თავის სასარგებლოდ იმ მიზნით, რომ განკარგოს ეს ქონება როგორც თავისი საკუთრება[5]. ბ. კურინოვი და მ. ისაევი გატაცებად მიიჩნევდნენ ქონების უკანონო, მართლსაწინააღმდეგო შეძენას[6]. ტ. სერგეევა და გ. კრიგერი გატაცებას განსაზღვრავდნენ, როგორც სოციალისტური ქონების განზრახ დაუფლებას ანგარების მიზნით[7].

გატაცების ზოგადი ცნების დასახასიათებლად გამოყენებული ფორმულირება „ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევა“ ვერ ასახავს გატაცების ნამდვილ არსს. საქმე ის არის, რომ გატაცებული ქონება უნდა აუცილებლად იმყოფებოდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდში, ან შესაბამისად მიბარებული ჰქონდეს ვინმეს. თავის სარგებლობაში შეიძლება მოაქციონ ნაპოვნი ან დამნაშავის ხელში შემთხვევით მოხვედრილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებაც, რომელიც არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც გატაცება.

ბრძანებულების მოქმედების პერიოდში ტერმინ „გადაქცევასთან“ დაკავშირებით გამოითქვა აზრი იმის შესახებ, თუ რა სისრულით მოიცავდა იგი გატაცების ფორმებს. ა. პიონტკოვსკის, ვ. მენშაგინისა და ს. ტიხენკოს აზრით ტერმინი „გადაქცევა“ ყველაზე უფრო სრულად მოიცავდა გატაცების სხვადასხვა ფორმებს[8]. მ. ნაკლოვიჩის შეხედულებით კი ტერმინი „გადაქცევა“ სრულად არ მოიცავს გატაცების ფორმებს. ამის საილუსტრაციოდ მას მოყავს ყაჩაღობის მაგალითი. ყაჩაღური თავდასხმისას, აღნიშნავს იგი, ქონების გადაქცევას თავის ან სხვის სასარგებლოდ შეიძლება არ ქონდეს ადგილი, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდანო[9].

ასეთია „ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევასთან“ დაკავშირებით საკითხთა მოკლე ინტერპრეტაცია.

რაც შეეხება მეორე ფორმულირებას, სახელდობრ, „სოციალისტური ქონების თავის საკუთრებად გადაქცევას“, იგი სწორად არ უნდა მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ სოციალისტური ქონება გატაცების შედეგად არ რჩება — და

---

[3] А. Трайнин, В. Меньшагин, З. Вышинская, УК РСФСР, Комментарий, М., 1944, стр. 272.

[4] М. А. Гельфер, Преступные посягательства на социалистическую собственность, М., 1953, стр. 35.

[5] П. П. Михайленко, Уголовно-правовая борьба с расхищением государственного и общественного имущества, Львов, 1955, стр. 29.

[6] Б. А. Куринов, Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, М., 1954, стр. 19; М. М., Исаев, Уголовное право, Имущественные преступления, М., 1938, стр. 18; его же, Указы Президиума Верховного Совета СССР от 4 июня 1947 г., М., 1948, стр. 8.

[7] Т. Л. Сергеева, Уголовно-правовая охрана социалистической собственности в СССР, М., 1954, стр. 13—14; Г. А. Кригер, Ответственность за хищение государственного и общественного имущества по советскому уголовному праву, М., 1957, стр. 58.

[8] А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, Курс советского уголовного права, Особенная часть, т. 1, М., 1955, стр. 367; С. И. Тихенко, Советское уголовное право, Особенная часть, Киев, 1951, стр. 31.

[9] М. Л. Наклович, Уголовно-правовая борьба с хищениями государственного и общественного имущества, Автореферат канд. дисс., Львов, 1955, стр. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც შეიძლება დარჩეს გამტაცებლის საკუთრებაში. ვფიქრობთ, უდავოა იმ ავტორთა აზრი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სოციალისტური ქონების გატაცებისას, მართალია, ქონება გამოდის მესაკუთრის მფლობელობიდან, სარგებლობიდან და განკარგვიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრე კარგავდეს მასზე საკუთრების უფლებას, ისევე როგორც არ იძენს მას დამნაშავე, რომელიც კანონსაწინააღმდეგოდ ახორციელებს გატაცებული ქონების მფლობელობას, სარგებლობას და განკარგვას. შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყოველთვის აქვთ ვინდიკაციის უფლება გატაცებულ ქონებაზე და ყველა შემთხვევაში გატაცებული ქონების აღმოჩენისას შეუძლიათ გამოიყენონ ეს უფლება კანონით დადგენილი წესით[10].

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასევე მართებულად იყო გაკრიტიკებული ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც გატაცება გაგებული იყო როგორც სოციალისტური ქონების უკანონო, დანაშაულებრივი შეძენა.

ტერმინი „შეძენა", — აღნიშნავენ ბ. უტევსკი, ზ. ვიშინსკაია და ა. ლევშინი, — თავისი აზრობრივი მნიშვნელობით ესაა ქონების გადასვლის კანონიერი საშუალება ერთი მესაკუთრიდან მეორეს ხელში[11].

ლექსიკური შინაარსით სიტყვა „შეძენა" ნიშნავს: 1. შრომით (შესყიდვით) ქონების შოვნას, მოპოვებას, შემატებას[12], რაც, როგორც ვხედავთ, არ შეესატყვისება გატაცებას.

ს. ტარარუხინის აზრით ტერმინი „შეძენა" არასწორად ასახავს გატაცების არსს იმიტომაც, რომ ზოგჯერ შესაძლოა სოციალისტური ქონების შეძენა თუნდაც უკანონო გზით, მაგრამ არადანაშაულებრივი სამოქალაქო გარიგებით[13].

განიხილავს რა იმათ შეხედულებებს, ვინც გატაცებად მიიჩნევს ქონების უკანონო შეძენას, ა. ვასილევი სწორად აღნიშნავს, რომ მათ განსაზღვრებებში აღნიშნული უკანონო შეძენა ასევე შეეხება ნაპარავი ქონების ყიდვას, სპეკულაციას, ვაჭრობის წესების დარღვევას და ა. შ., რაც როგორც ცნობილია, გატაცება არ არის[14].

ამრიგად, „შეძენას", როგორც გატაცებისათვის შეუსაბამო ტერმინს, სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში არ მოუპოვებია აღიარება.

გატაცების ცნების შესახებ არსებული განსაზღვრებები, არ მოიცავდა გატაცებისათვის დამახასიათებელ ყველა აუცილებელ ნიშანს, რაც მხედველობიდან არ გამოპარვია ბევრ ავტორს[15]. უფრო მეტიც, ისინი შეეცადნენ მოეცათ

---

[10] С. А. Тарарухин, Борьба с хищениями социалистического имущества, Автореферат канд. дисс., Киев, 1965, стр. 6; Г. А. Кригер, Квалификация хищений социалистического имущества, М., 1974, стр. 63.

[11] Б. С. Утевский, З. А. Вышинская, Практика применения законодательства по борьбе с хищениями социалистического имущества, М., 1954, стр. 15; А. И. Левшин, К вопросу об определении общего понятия хищения социалистического имущества, «Ученые записки Казанского госуниверситета», 1957, т. 17, кн. 7, стр. 93.

[12] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1962, სვტ. 1315.

[13] С. А. Тарарухин, Борьба с хищениями социалистического имущества, Автореф. канд. дисс., Киев, 1965, стр. 12.

[14] А. Н. Васильев. Уголовная ответственность за хищение государственного и общественного имущества, Автореф. канд. дисс., М., 1952, стр. 13.

[15] Б. С. Утевский, З. А. Вышинская, Практика применения законодательства по борьбе с хищениями социалистического имущества, М., 1954, стр. 17; Я. М. Брайнин, Вопросы применения Указа от 4 июня 1947 г. «Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества в практике Верховного Суда СССР», «Научные записки КГУ», 1952, т. XI, вып. III, стр. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსალური განსაზღვრება, რაც გამოასწორებდა ზემოაღნიშნულ ნაკლს. ამ მიზნის მიღწევას ისინი ცდილობდნენ გატაცების ცნებაში ამ დანაშაულის ჩადენის ყველა ხერხისა და საშუალების შეტანით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ი. ბრაინინის განსაზღვრებას. მისი აზრით, გატაცება არის განზრახი, დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც გამოიხატება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ყოველგვარი ხერხითა და საშუალებით თავის ან მესამე პირთა საკუთრებად კანონსაწინააღმდეგო გადაქცევაში[16].

გატაცების ცნების ამგვარმა გაგებამ სათანადო ასახვა ჰპოვა თვით სასამართლო პრაქტიკაშიც. ვფიქრობთ, ყოველივე ამას გარკვეულად ხელი შეუწყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 28 მაისის № 5 დადგენილებამ. ამ დადგენილებით, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევა თავის საკუთრებად, დამოუკიდებლად მისი ჩადენის ფორმებისა და საშუალებებისა უნდა განხილულიყო როგორც გატაცება[17].

ამრიგად, ადრე მოქმედი კანონმდებლობის ბაზაზე შექმნილი განსაზღვრებები გატაცების ცნებაზე, არსებითად ასახავდა 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეტისმეტად განვრცობით გამოყენების პრაქტიკას და შეიცავდა ნაკლოვან მხარეებს (გატაცების კონკრეტულ ნიშნებზე მიუთითებლობა, გატაცების ცნების ყოვლისმომცველობა და სხვ.). ყოველივე ამან გამოიწვია სასამართლო შეცდომები და რეპრესიების უსაფუძვლოდ გაძლიერება.

დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, არ იძლევა სოციალისტური ქონების გატაცების ზოგადი ცნებას განსაზღვრებას, მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავი (დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ) ამომწურავად ჩამოთვლის რა გატაცების ცალკეულ ფორმებს და ზუსტად ახასიათებს თითოეულ მათგანს (რომლებიც კოდექსში დამოუკიდებელი დანაშაულის სახითაა მოცემული), ეს შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული მუხლების სწორი იურიდიული ანალიზისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, ღრმად ჩავწვდეთ გატაცების ცნების ბუნებას და განვმარტოთ იგი.

გატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ: გატაცების შესახებ არსებული ნორმების სოციალურ-პოლიტიკური არსის სწორად შეცნობა; საკანონმდებლო ნიშნების განზოგადება, რომლითაც ხასიათდება გატაცების ცალკეული ფორმები; გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ადრე მომქმედი კანონმდებლობის შესწავლა; მოქმედი ნორმების პრაქტიკული გამოყენების ეფექტურობის ხარისხი; საკანონმდებლო დებულების სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გარკვევა საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებთან კავშირში; გატაცების ცნების არსებული განსაზღვრებებისადმი კრიტიკული მიდგომა და სხვ.

ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამ (1960 წ.) გამოიწვია გატაცების ცნების შემდგომი დაზუსტება. საქმე ის არის, რომ ახალმა კანონმდებლობამ შეავიწროვა იმ დანაშაულთა წრე, რომელსაც მოიცავდა გატაცების

16 ი. მ. ბრაინინის დასახელებული ნაშრომები, გვ. 129.

17 «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР. 1924—1957 гг.», М., 1958, стр. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნება. ასე მაგალითად, ახალი კანონმდებლობით ისეთი დანაშაულებრივი ქმედობა, როგორიცაა ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (სსკ 98 მუხ.), ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება (სსკ 99 მუხ.) და სხვა, არ განიხილება როგორც გატაცება.

ცხადია, დღეისათვის მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი სახის ცვლილებები გარკვეულ გავლენას ახდენს გატაცების ცნებაზე, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი განსაზღვრისას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კანონმდებლობამ სათანადო სიახლე შეიტანა გატაცების ცნებაში, არიან ავტორები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ამ სიახლეს და გატაცებას განსაზღვრავენ, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განზრახ, კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლო გადაქცევას თავის ან სხვის სასარგებლოდ[18]. ასეთ განსაზღვრებათა ძირითადი ნაკლია, ჯერ ერთი, იმაზე მიუთითებლობა, რომ ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში უნდა იმყოფებოდეს სოციალისტურ ფონდებში, რაც თავის მხრივ გვეხმარება იმაში, რომ გატაცება გავმიჯნოთ იმ ქმედობისაგან, რასაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 99-ე მუხლი (ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება). მეორეც, ზემოაღნიშნული განსაზღვრება თვითნებურად აფართოებს გატაკების ცნებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს სოციალისტური კანონიერების დარღვევა.

არ შეიძლება ასევე მართებულად მივიჩნიოთ გატაცების ზოგადი ცნების ის განსაზღვრება, რომელიც მოცემულია 1970 წელს გამოცემულ საბჭოთა სისხლის სამართლის კურსის IV ტომში. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ზოგადი ცნება აქ განსაზღვრულია როგორც ვინმეს მიერ სახელმწიფო, საკოლმეურნეო ან სხვა საზოგადოებრივი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევა თავის საკუთრებად[19]. ამ განსაზღვრების უზუსტობა ის არის, რომ გამტაცებელი არ ხდება და არც შეიძლება გახდეს გატაცებული ქონების მესაკუთრე, ასევე ხაზგასმული არ არის ანგარების მიზანი როგორც გატაცების ცნების აუცილებელი ნიშანი, დაბოლოს განსაზღვრება არ ასახავს იმ გარემოებას, რომ გატაცებული ქონება უნდა იმყოფებოდეს სოციალისტური ორგანიზაციის ფონდში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილებით („სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ") გატაცების ზოგადი ცნება გაგებულია, როგორც დამნაშავის მიერ ქონების კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად[20]. „ქონების თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად გადაქცევა" აქაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

---

[18] С. А. Тарарухин, Борьба с хищениями социалистического имущества, Автореф. канд. дисс., Киев, 1965, стр. 14; П. П. Михайленко и И. А. Гельфанд, Уголовно-правовая охрана сельского хозяйства, М., 1963, стр. 23; М. Г. Икрамова, Ответственность за хищение государственного и общественного имущества путем кражи, Автореф. канд. дисс., Ташкент, 1965, стр. 6; «Уголовное право, часть особенная», М., 1964, стр. 97; «Уголовное право, часть Особенная», М., 1965, стр. 110—111; «Уголовный кодекс Украинской ССР. Научно-практический комментарий», Киев, 1969, стр. 206.

[19] «Курс советского уголовного права, часть Особенная», том IV, М., 1970, стр. 307.

[20] საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, თბ., 1972, № 4, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, უფრო მართებულია ის განსაზღვრებები, რომლებსაც გატაცების ზოგად ცნებაზე იძლევიან გ. კრიგერი და სისხლის სამართლის კომენტარების ავტორები. გ. კრიგერის აზრით „გატაცებაა ანგარების მიზნით ჩადენილი დანაშაულებრივი დაუფლება ან სხვისთვის გადაცემა სოციალისტური ქონებისა, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებში“[21]. ამ განსაზღვრების ნაკლად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში გამოკვეთილი არაა გატაცების ობიექტური ნიშნები, კერძოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება.

სისხლის სამართლის კომენტარებში გატაცება განსაზღვრულია, როგორც ანგარების მიზნით, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სოციალისტური ფონდებიდან და მისი უკანონო გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად სარგებლობაში[22].

ამ განსაზღვრებაში ხაზგასმა „მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ“ ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ. საქმე იმაშია, რომ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება[23], რაც იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის ფონდებში არსებული ქონების შემცირებას, ყოველთვის ეწინააღმდეგება მესაკუთრის ნებას, იგი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგო მოქმედებაა, და, როგორც წესი, ხორციელდება ფარულად, მოტყუებით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობით. ამგვარი მოქმედება ყოველთვის მატერიალურ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.

როგორც ვხედავთ ყოველივე ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კომენტარების ავტორები.

ვახდენთ რა სოციალისტური ქონების გატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრებას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ გატაცების ყველა ფორმისათვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ნიშნები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ხასიათის აუცილებელი ნიშნებია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ქონება იმყოფებოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობაში, სხვანაირად, ქონება უნდა იმყოფებოდეს სოციალისტურ ფონდებში. მეორეც, უნდა ხდებოდეს ამ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სოციალისტური ფონდებიდან. დაბოლოს, ქონების ამოღება უნდა ხდებოდეს კანონში მითითებული ფორმებით და იგი მატერიალურ ზიანს უნდა აყენებდეს ქონების მესაკუთრეს (სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას).

აქედან გამომდინარე, ცხადია, გატაცება არ გვექნება, თუ პირი უკანონოდ ამოიღებს ქონებას სოციალისტური ფონდებიდან და გადაიხდის ამ ქონების ღირებულებას, რადგან ასეთ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს მატერიალური ზიანი არ ადგება, ამდენად პირს, პასუხისმგებლობა შე-

---

[21] Г. А. Кригер, Квалификация хищений социалистического имущества, М. ,1974, стр. 88.

[22] Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1971, стр. 193.

[23] „უსასყიდლო ამოღება“ — იმას ნიშნავს, რომ არ ხდება სოციალისტური ფონდებიდან ამოღებული ქონების ღირებულების გადახდა, ნატურით მისი დაბრუნება და ა. შ. სასამართლო პრაქტიკაში ეს ცნება გაგებულია, როგორც სოციალისტური ქონების გაშვება და მიღება უფასოდ ან შემცირებულ ფასებში (იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 3, стр. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება დაეკისროს საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლით (სპეკულაცია) ან 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და ა. შ.

გატაცება არ გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა სოციალისტური ქონების გამოყენება, მართალია უკანონოდ ხდება, მაგრამ იგი დაკავშირებული არ არის სოციალისტური ფონდებიდან ქონების უსასყიდლოდ გამოსვლასთან (მაგალითად საქონლის ნისიად გაცემის შემთხვევაში).

სოციალისტური ქონების გატაცების სუბიექტური ნიშნები ხასიათდება განზრახი ბრალით, კონკრეტული მიზნითა და გარკვეული მოტივებით.

განზრახვის შინაარსი სოციალისტური ქონების გატაცებისას განისაზღვრება ქმედობის ობიექტური ნიშნების მთელი ერთობლიობით.

განზრახვა უნდა მოიცავდეს მომხდარი შემთხვევის ყველა იმ ფაქტიურ ნიშნებს, აღნიშნავს ა. ტრაინინი, რომლებიც ქმნიან სათანადო დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს[24]. ამ სწორი დებულებიდან შეგვიძლია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ დამნაშავის ფსიქიკაში ინტელექტუალური მომენტი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმის შეგნებაში, რომ თავისი მოქმედებით დანაშაულებრივად და უნაცვალგებოდ იღებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას სოციალისტური ფონდებიდან იმ მიზნით, რომ გადააქციოს იგი თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, ქმედობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს გატაცებად თუ ბრალდებული თავისი მოქმედებით ამცირებს არსებულ მატერიალურ ფასეულობას, რომლებიც შეადგენენ სოციალისტურ ფონდებს, მაგრამ ეს არ არის დაკავშირებული ცალკეული პირების გამდიდრებასთან. მაგალითად გაფუჭება, დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება (საქართველოს სსრ სსკ მე-100 და 101-ე მუხლები).

ამრიგად, სოციალისტური ქონების გატაცებისას გამტაცებლის განზრახვის შინაარსი იმით ხასიათდება, რომ გამტაცებელმა არა მარტო იცის, რომ გატაცებული ქონება არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება, არამედ ისიც აქვს შეგნებული, რომ მას არა აქვს უფლება ამ ქონებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობს რა ანგარების მოტივით და ამავე დროს მისწრაფებით პარაზიტული გამდიდრებისაკენ — აქტიურად მიმართავს თავის სურვილს, რათა დანაშაულებრივი გზით დაეუფლოს სოციალისტურ ქონებას.

განზრახვის შინაარსი გამოიხატება იმაშიც, რომ ბრალდებულს სურვილი აქვს განკარგოს აღნიშნული ქონება თავის შეხედულებისამებრ. მისი მიზანია მატერიალური გამორჩენის მიღება, პირადი გამდიდრება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხარჯზე. ეს მიზანი ანგარებითია. ამ მიზნის დაუდგენლობა, როგორც წესი, გამორიცხავს გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ანგარების მიზანი, ესაა ცალკეულ პირთა უკანონო, პარაზიტული გამდიდრება სოციალისტური ქონების ხარჯზე[25].

ანგარების მიზნით ხდება აგრეთვე ისეთ დანაშაულთა ჩადენა, როგორიცაა სპეკულაცია, მექრთამეობა და ა. შ. მაგრამ მათგან განსხვავებით გატაცებისას, ანგარებით მიზანს ყოველთვის ერწყმის ორი სხვა ნიშანი, კერძოდ, სოციალის-

---

[24] А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, стр. 212.
[25] Комментарий УК РСФСР, М., 1963, стр. 204; Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1971, стр. 198.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური ქონების ამოღება და მისი გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად სარგებლობაში.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისას (თანაბრად სხვისი პირადი ქონების გატაცებისას) „ანგარების მიზნით" ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სხვისი ქონების თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანი[26]. გატაცების შინაარსზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ბრალდებულს შეგნებული აქვს თუ ვის ეკუთვნის გატაცებული ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ობიექტში შეცდომას. ობიექტში შეცდომებს უმეტესად ადგილი აქვს მაშინ როცა დამნაშავეს არავითარი ურთიერთობა არა აქვს იმ ქონებასთან რომელსაც იტაცებს, ასეთ შემთხვევებში იგი ცდება იმის გარკვევაში, თუ ვისია გატაცებული ქონება. ყოველივე ეს ჩვეულებრივ ხდება ქურდობისას, ყაჩაღობისას, გაძარცვისას. დამნაშავის ქმედობა ასეთ შემთხვევებში უნდა დაკვალიფიცირდეს მისი განზარხვის მიმართულების შესაბამისად.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, იცოდა თუ არა ბრალდებულმა ვის ეკუთვნოდა გატაცებული ქონება, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქონების ხასიათს, მის თვისებას, ფასს, ხარისხს და ა. შ. მაგალითად, თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ იტაცებს სოციალისტურ ქონებას, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ქონება წარმოადგენს მოქალაქეთა პირად საკუთრებას, ასეთ შემთხვევაში ქმედობა დაკვალიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც სოციალისტური ქონების გატაცების მცდელობა გატაცების შესაბამისი ფორმით.

უკეთუ დამნაშავე თავის სასარგებლოდ აქცევს სოციალისტურ ქონებას და შეცდომით ფიქრობს, რომ ეს ქონება ცალკეული მოქალაქის კუთვნილებაა, იგი პასუხს აგებს მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის.

სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ პირმა გაიტაცა ქონება, მაგრამ მან აღიცის ფაქტიურად ვის ეკუთვნის იგი.

ასეთი დანაშაულის დაკვალიფიცირებისას უნდა გამოვიდეთ ქონების ფაქტიური კუთვნილებიდან. ე. ი. ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სოციალისტური საკუთრების ხელყოფად, თუ აღმოჩნდება, რომ ქონება ეკუთვნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ჩვენის აზრით მართებულია, რადგან ასეთ დროს ბრალდებულის მხრივ ადგილი აქვს ალტერნატიულ განზრახვას. მისი მიზანია მხოლოდ უკანონო გამდიდრება სხვისი ქონების ხარჯზე, ამდენად, მისთვის სულერთია თუ ვის ეკუთვნის გატაცებული ქონება. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, რომ პირმა პასუხი აგოს იმ ქონების ხელყოფისათვის, რომელსაც მისმა დანაშაულებრივმა ქმედობამ მიაყენა ფაქტიური ზიანი.

ამრიგად, ბრალდებული სოციალისტური ქონების გატაცებისას ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. სახელდობრ, მისი მოქმედება მიმართულია მატერიალური ფასეულობის ამოღებისაკენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებიდან. ამავე დროს ბრალდებულმა იცის, რომ იგი სათანადო უფლების გარეშე უსასყიდლოდ აქცევს სოციალისტურ ქონე-

[26] Б. В. Харазишвили, Вопросы мотива поведения преступника в советском уголовном праве, Тбилиси, 1963, стр. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, ხელმძღვანელობს რა ამ შემთხვევაში ანგარებით.

კომუნისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სოციალისტური ქონების გატაცების საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე ქონებრივ ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, არამედ უხეშად არღვევს სსრ კავშირში მატერიალური დოვლათის განაწილების პრინციპებს. დამნაშავე ავლენს სწრაფვას პარაზიტული გამდიდრებისაკენ სხვისი შრომის ხარჯზე. სწორედ ეს სწრაფვა გვევლინება დამნაშავის ქცევის მამოძრავებელ მოტივად, განსაზღვრავს დამნაშავის ქცევის მიმართულებას, ახასიათებს საბოლოოდ მთელ მის მოქმედებას.

გატაცების შემთხვევაში მოტივიც და მიზანიც ანგარებითია. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ასეთ ვითარებაში დანაშაულებრივი ქცევის მოტივს (სწრაფვას პარაზიტული გამდიდრებისაკენ) შეესაბამება მსგავსი მიზანი (პარაზიტულად გამდიდრდეს გატაცებული სოციალისტური ქონების ხარჯზე). ეს მიზანი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება დამნაშავის მიერ თავის სასარგებლოდ სოციალისტური ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისას. პირის მიზანია მოიხმაროს, გამოიყენოს ან განკარგოს სოციალისტური ქონება როგორც თავისი საკუთარი — იმ განზრახვის სრული გამორიცხვით, რომ იგი როდისმე დაუბრუნებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან აანაზღაურებს გატაცებული ქონების ღირებულებას. უკანასკნელი გარემოება განასხვავებს გატაცების მიზანს სოციალისტური ქონების დროებით სესხების შემთხვევისაგან, მისი ამა თუ იმ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის (მაგ. სოციალისტური ქონების ნისიად ყიდვა).

რაც შეეხება სოციალისტური ქონების გადაცემას, ანგარების მიზნით სხვა პირისათვის, ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს განზრახული აქვს თავისი წილი მატერიალური სარგებლობის მიღება შემდგომისათვის, რაც მას ერგება იმ საერთო ქონებიდან, რომელიც გადასცა სხვა პირს, ან მისი ანგარებითი სწრაფვა დაკმაყოფილდება იმ პირთა უკანონო გამდიდრებით, რომელთა ბედითაც დამნაშავე პირადად დაინტერესებულია (მაგ. ნათესავები, მის კმაყოფაზე მყოფი პირები, მეგობრები და ა. შ.).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილება — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ", მიუთითებს ანგარების მიზნის აუცილებლობაზე, როგორც სოციალისტური ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევისას, ასევე აღნიშნული ქონების სხვა პირისთვის გადაცემისას[27].

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გატაცება სოციალისტური ქონების განადგურებისას ან დაზიანებისას გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სოციალისტური ქონების განადგურებისას ან დაზიანებისას დამნაშავეს დასაწყისშივე აქვს განზრახვა თავის სასარგებლოდ გადააქციოს გატაცებული ნივთების ცალკეული ნაწილი (მაგ. დაეუფლოს ავტომანქანის დეტალებს). ბუნებრივია, გატაცება გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავე ეუფლება სოციალისტურ ქონებას თავის სასარგებლოდ გადაქცევის მიზნით, მაგრამ ადგილზე დაკავების მომენტში ანადგურებს ამ ქონებას პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით.

---

27 იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, თბ., 1972, № 4, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატაცება არ არის მაშინ, როცა ბრალდებული იღებს სოციალისტურ ქონებას არა ანგარების, არამედ სხვა მიზნით, მაგალითად, ქონების განადგურება ან დაზიანება. იმ პირის მიმართ შურისძიების მიზნით, რომლის გამგებლობაში ან შესანახავად იმყოფება აღნიშნული ქონება და სხვ.

არ არის გატაცება იმ შემთხვევაშიც, როცა სოციალისტური ქონების ამოღება ხდება უკანონოდ სოციალისტური ფონდებიდან და უფრო მეტიც, უკანონოდ გადადის ცალკეულ პირთა სარგებლობაში, მაგრამ არა პარაზიტული გამდიდრების, არა უკანონო მოგების მიზნით, არამედ საწარმოო სამუშაოს შესასრულებლად წახალისებისათვის და ა. შ.[28].

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე (სოციალისტური ქონების გატაცების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დახასიათების შემდეგ) გატაცების ცნება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: **გატაცება არის ანგარების მოტივითა და მიზნით ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სოციალისტური ფონდებიდან კანონში მითითებული ფორმებით და მისი გადაქცევა ამა თუ იმ პირთა სარგებლობაში, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.**

---

[28] Комментарий УК РСФСР, М., 1963, стр. 204; Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1971, стр. 196; «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1965, № 11, стр. 8, «Бюллетень Верховного Суда СССР, 1964, № 2, стр. 45; «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1968, № 9, стр. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვა როგორც კრიმინოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდი

თ. დავიდოვი,
თსუ იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ნ. ფუტკარაძე,
ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სტატისტიკას და თავიანთ მეცნიერულ დებულებათა დასამტკიცებლად ფართოდ იყენებდნენ სტატისტიკურ მასალას. სტატისტიკური მეთოდები განსაკუთრებით ღრმად შეიჭრა მეცნიერების ყველა დარგში, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც XIX საუკუნის დასასრულიდან.

კრიმინოლოგია იმ მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა განვითარება წარმოუდგენელია, ერთი მხრივ, სტატისტიკური მასალის, მეორე მხრივ კი კვლევის სტატისტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების გარეშე, რადგან სტატისტიკა თავისი მონაცემებით ახასიათებს დამნაშავეობის მდგომარეობას, მის დინამიკასა და სტრუქტურას, მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, მილიციის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების საქმიანობას და ა. შ.

ამგვარად, სტატისტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც კრიმინოლოგიის სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ კანონზომიერებები იქ, სადაც, ერთი შეხედვით, თითქოს ადგილი აქვს შემთხვევითობას. დამნაშავეობის მეცნიერულ კვლევაში, რასაკვირველია, არ უნდა გადავაფასოთ სტატისტიკის მნიშვნელობა, რადგან მისი მეცნიერულად ღირებული გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მივმართავთ კვლევის სხვა მეთოდებთან ერთად.

ამჟამად საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოიყენება კვლევის მრავალი მეთოდი. კრიმინოლოგიამ სხვა მეცნიერებებიდან „ისესხა" მისთვის მისაღები მეთოდები და ხერხები და შეუსაბამა ისინი თავის სპეციფიკას, რამაც განაპირობა თანამედროვე კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების, კომპლექსური ხასიათი.

თანამედროვე საბჭოთა კრიმინოლოგიაში უდიდეს პერსპექტივებს ქმნის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ექსტრაპოლაციის, მოდელირებისა და ექსპერტული შეფასების მეთოდები. თანამედროვე კრიმინოლოგიაში შესაძლებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული არა მარტო სტატისტიკური, არამედ მათემატიკური მეთოდებიც, რომელთაც ამჟამად უკვე მიმართავენ ზოგიერთი სოციალური მოვლენისა და პროცესის კვლევის დროს.

ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კრიმინოლოგიაში მათემატიკისა და სტატისტიკის მიღწევათა დანერგვა ახალ სიმაღლეზე აიყვანს მას, რადგან, პოლ ლაფარგის სიტყვებით, ჯერ კიდევ კ. მარქსი ამბობდა, რომ მეცნიერება მაშინ აღწევს სრულყოფას, როდესაც იგი შეძლებს მათემატიკის გამოყენებას[1].

კრიმინოლოგიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების მომხრეთა სა-

---

[1] იხ. Поль Лафарг, Воспоминания о Марксе, Госполитиздат, 1958, стр. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლოდ უნდა ითქვას, რომ უკვე 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში იყო ცდები მათემატიკური მეთოდების დახმარებით დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისა[2].

ამ წერილში ჩვენ არ შევუდგებით კრიმინოლოგიურ კვლევაში მათემატიკისა და სტატისტიკის მეთოდების გამოყენების საკითხების განხილვას. მოკლედ აღვწერთ მხოლოდ დამნაშავეობის მეცნიერულ კვლევაში სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვის მეთოდს. არსი ამ მეთოდისა იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო წესების ზუსტად დაცვით ვაგროვებთ სპეციალისტ-ექსპერტების შეხედულებებს დამნაშავეობის მიზეზების შესახებ და ვატარებთ მიღებული ინფორმაციის ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენების დროს ჩვენ იმ ვარაუდს ვემყარებით, რომ სპეციალისტ-ექსპერტების მიერ გამოთქმული აზრი დაფუძნებულია საგნის ღრმა თეორიულ ცოდნაზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, მათ მიერ ფაქტების, მოვლენების, არსებული მასალების სისტემატურ შესწავლაზე და ა. შ.

ექსპერტული შეფასების მეთოდის რეალიზაცია დამნაშავეობის მეცნიერულ კვლევაში შეიძლება მოვახდინოთ სხვადასხვა ფორმით: ზეპირი ან წერილობითი გამოკითხვით (ანკეტირება, ინტერვიუირება და სხვ.), სპეციალისტების წერილობითი დასკვნების შეგროვებით, ე. წ. „მრგვალ მაგიდასთან თათბირის“ ფორმით და ა. შ.

პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ სპეციალისტებს უნარი შესწევთ მოგვცენ ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის კვალიფიციური შეფასება. რა თქმა უნდა, ხანდახან ექსპერტის შეფასება არასწორია, არ არის თავისუფალი სუბიექტივიზმისაგან. მაგრამ ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად არსებობს ექსპერტული შეფასების სანდოობის გაზრდის ხერხები, სახელდობრ, ერთდროულად არა ერთი ან ორი სპეციალისტის, არამედ ბევრი მათგანის გამოკითხვა და გამოთქმული აზრების ურთიერთშედარება, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ „საშუალო“ შეხედულება, რომელსაც იზიარებს ექსპერტების უმრავლესობა. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტების ექსპერტული შეფასების შედეგი არის არა აზრების მექანიკური ჯამი, არამედ შეხედულებების ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერის ან პრაქტიკული მუშაკის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებაზე. იმისათვის, რომ მივიღოთ ასეთი შეხედულებების სისტემა, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ჩავატაროთ მათი გამოკითხვა წინასწარ გააზრებული მეთოდიკის გამოყენებით, აგრეთვე წინასწარვე განვსაზღვროთ, თუ რა ხერხებსა და მეთოდებს გამოვიყენებთ შეგროვილი მასალის დამუშავებისა და განზოგადების დროს.

ექსპერტების გამოკითხვა თავისი ფორმით შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური, დასწრებული და დაუსწრებელი, წერილობითი და ზეპირი და ა. შ.

ექსპერტების ჯგუფური გამოკითხვის დროს სპეციალისტები უშუალოდ უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და ყოველი მათგანისათვის დასაშვებია თავის მსჯელობაში სხვისი აზრის გამოყენება, თუმცა ყველა ექსპერტმა უნდა დაიც-

---

[2] იხ. В. Н. Кудрявцев. Теоретические основы квалификации преступлений, Госюриздат, 1963, стр. 147—160, В. Н. Кудрявцев, А. А. Эйсман, Кибернетика в борьбе с преступностью, «Знание», 1964; В. Е. Чугунов, Г. Ф. Горский, Применение кибернетических устройств для анализа ошибок в судебной и следственной практике, «Советское государство и право», 1966, № 11 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან თავისი შეფასებები. მაგრამ თუ ისინი ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებს მოცემულ საკითხზე მიიჩნევენ უფრო სწორად და დამაჯერებლად, თითოეულ მათგანს შეუძლია მათი შეცვლა.

ექსპერტების ინდივიდუალური გამოკითხვა ითვალისწინებს ანკეტირების ან ინტერვიუირების ჩატარებას ყველა სპეციალისტთან ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში ვარკვევთ ექსპერტების დამოუკიდებელ მოსაზრებებს დასმულ საკითხებზე და გამოვრიცხავთ ექსპერტების კოლექტიურ მუშაობას. ეს იმისათვის გვჭირდება, რომ თავიდან ავიცილოთ: გამოკვლევაში მონაწილე სპეციალისტ-ექსპერტების ერთმანეთზე ზეგავლენა, კერძოდ, რომელიმე მონაწილის მიერ თავისი არასწორი აზრის ეფექტური არგუმენტაცია, რამაც შეიძლება შეაცდინოს დანარჩენები; ზოგიერთი ექსპერტის გადაჭარბებული სიჯიუტე საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებების სხვათა მიერ არგუმენტირებული უარყოფის შემთხვევაში; უმრავლესობის მიერ გამოთქმული არასწორი მოსაზრების მექანიკური მიღება უმცირესობის მიერ, რასაც, როგორც ცნობილია, ზოგჯერ აქვს ხოლმე ადგილი და ა. შ.

ამგვარად, ინდივიდუალური გამოკითხვა გამორიცხავს საჯარო დისკუსიებს, რომლებსაც ზოგჯერ ახასიათებს აღიარებული ავტორიტეტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების კრიტიკის გარეშე მიღების შესაძლებლობა და დისკუსიის ზოგიერთი მონაწილის მზადყოფნა შეუერთდეს უმრავლესობის პოზიციას. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევკრიბოთ მრავალი სპეციალისტ-ექსპერტის მოსაზრებები რომელიმე აქტუალური პრობლემის შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებისა თუ სკოლის პოზიციებიდან, და საბოლოო ანგარიშში მივიღოთ ექსპერტების ინდივიდუალური შეფასების კომპლექსური გამოხატულება.

ამ წერილში მიზნად არ ვისახავთ საზოგადოდ სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვის მეთოდის დაწვრილებით განხილვას და შეფასებას. ჩვენ მოკლედ გავარკვევთ მხოლოდ იმ საკითხს, თუ რა შეუძლია მოგვცეს ექსპერტული შეფასებების მეთოდმა დამნაშავეობის მიზეზების კვლევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებაში.

საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალისტ-ექსპერტებს შეუძლიათ მისცენ სათანადოდ დასაბუთებული შეფასება ყოველ სოციალურ მოვლენასა თუ პროცესს, და, კერძოდ, დამნაშავეობასაც. აღსანიშნავია, რომ ყოველი ექსპერტული შეფასების პირველ ეტაპზე აუცილებელია ექსპერტების წინაშე ამოცანის ზუსტად განსაზღვრა, იმ მოვლენების სათანადო წესის დაცვით ჩამოთვლა, რომელთა დადგომის დრო და ალბათობაა შესაფასებელი და ა. შ. ეს წინასწარი სამუშაო აუცილებლად მაღალ დონეზე უნდა იქნეს შესრულებული მკვლევარის მიერ დამნაშავეობის მიზეზების კვლევის ამ მეთოდის გამოყენებისას.

მეორე ეტაპზე კი, შესასწავლი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ ის პირობები, რომლებშიც უნდა ჩავაყენოთ ექსპერტები იმისათვის, რათა მათ შეძლონ მოცემული სიტუაციისა თუ შემთხვევის მაქსიმალურად ობიექტური შეფასება[3].

ექსპერტული შეფასებების მეთოდით დამნაშავეობის პროგნოზირების

---

[3] იხ. В. М. Глушков, О прогнозировании на основе экспертных оценок, «Науковедение. Прогнозирование. Информатика», «Наукова думка», 1970, стр. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესში საინტერესო დასკვნები მიიღო კომისიამ, რომელიც ამ მიზნით შექმნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ. აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები — ა. ბირმანი, ბ. ურლანისი, ი. ბესტუჟევი-ლადა, ნ. ბოკარევი, ა. ლუნევი, ვ. კუდრიავცევი, ნ. კუზნეცოვა, ნ. კონდრაშკოვი, ს. ვიცინი და სხვ[4].

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ აღვწეროთ ექსპერტული შეფასების ის პროცედურა, რომელიც გამოიყენა ამ კომისიამ.

მუშაობა რამდენიმე ტურად ხორციელდებოდა.

პირველ ტურში გათვალისწინებული იყო შემუშავება სპეციალური ანკეტისა, რომელიც შედგებოდა 150 კითხვისაგან. კომისიას უპირველესად აინტერესებდა სპეციალისტთა ზოგადი აზრი დამნაშავეობის პროგნოზირების იმ საკითხების ფართო წრის შესახებ, რომლებიც ამ ანკეტაში იყო მოცემული. აღნიშნული ანკეტით გამოკითხულ იქნა სულ 100 კაცი: მეცნიერებათა 19 დოქტორი, მეცნიერებათა 27 კანდიდატი, 14 მეცნიერ თანამშრომელი, რომელთაც არ ჰქონდათ სამეცნიერო ხარისხი, და 40 გამოცდილი პრაქტიკული მუშაკი. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 80-90 პროცენტის მოსაზრებები ძირითად საკითხებში ერთმანეთს დაემთხვა.

მეორე ტური მიეძღვნა მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და სისტემატიზაციას, რაც შეჯამების შემდეგ ცნობის სახით წარუდგინეს კომისიას. კომისიის ყველა წევრი წინასწარ გაეცნო მასალის დამუშავებისა და განზოგადების შედეგებს, რის შემდეგაც დასმული საკითხის შესახებ კოლექტიური მსჯელობის გზით შეადგინეს მატრიცა, რომელშიც სისტემატიზებული იყო გამოკითხულ სპეციალისტთა აზრი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება დამნაშავეობის ტენდენცია უახლოეს წლებში.

მესამე ტურში მატრიცები დაიგზავნა ჩვენი ქვეყნის ისეთ დაწესებულებებში, რომლებშიც არიან კრიმინოლოგიის სპეციალისტები. სულ მატრიცების საშუალებით გამოკითხულ იქნა 150 სპეციალისტი: მეცნიერებათა 28 დოქტორი, მეცნიერებათა 72 კანდიდატი, 10 მეცნიერი თანამშრომელი და პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოების 40 პრაქტიკული მუშაკი. კვლევის ამ ეტაპზე დადგინდა იმ ფაქტორთა ნუსხა, რომლებიც, მეორე ტურში გამოკითხულ სპეციალისტთა აზრით, განსაზღვრავს დამნაშავეობის ტენდენციას. ამ გზით შეგროვდა ინფორმაცია იმ 100 ფაქტორის შესახებ, რომლებიც გავლენას მოახდენს დამნაშავეობაზე უახლოეს წლებში. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ბევრი ეკუთვნოდა ჩვენი ცხოვრების იდეოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიურ სფეროებს. ამ გამოკითხვის სისტემაში მოყვანილი მასალები კვლავ წარუდგინეს კომისიას განსახილველად და სათანადო დასკვნების გამოსატანად. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გაეღრმავებინათ კვლევა და სათანადო შეკითხვებით მიემართათ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებისათვის —უკვე იდეოლოგიის, სოციოლოგიის და ეკონომიკის დარგში — იმის დასადგენად, თუ რას ფიქრობდნენ ეს უკანასკნელნი იმ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების შესაძლო განვითარების პერსპექტივებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ დღეს და მოახდენენ მომავალში დამნაშავეობის დინამიკასა და სტრუქტურაზე.

---

[4] იხ. Г. А. Аванесов, Теория и методология криминологического прогнозирования, Юридическая литература, М., 1972, стр. 204—205.

ამ სამუშაოს შესრულებას მიეძღვნა მეოთხე ტური, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალურად დამუშავებული მატრიცით 30 სპეციალისტ-ექსპერტის გამოკითხვას ფილოსოფიის, სოციოლოგიის და ეკონომიკის დარგში. როგორც შემდგომ გაირკვა, მათი აზრი ზემოაღნიშნული ფაქტორების შესახებ მეტად სასარგებლო აღმოჩნდა დამნაშავეობის პროგნოზირების ვარიანტების დამუშავების დროს. ეს ვარიანტები კვლავ წარუდგინეს კომისიას განსახილველად.

მეხუთე ტურში კომისიის წევრებმა გააკეთეს წერილობითი შენიშვნები გამოთქმულ პროგნოზებზე და შეაფასეს ისინი კრიმინოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ისტორიის, ეკონომიკის პოზიციებიდან, რამაც საბოლოო ანგარიშში შეადგინა ექსპერტული შეფასებები, მოცემული მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ.

დამნაშავეობის პროგნოზირების ზემოაღნიშნული მეთოდი, რომლის არსი სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვაა, ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია არა მხოლოდ დამნაშავეობის პროგნოზირების, არამედ სხვა კრიმინოლოგიური საკითხების კვლევის დროსაც. აღსანიშნავია, რომ დამნაშავეობის მეცნიერულ კვლევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სტატისტიკური შეფასების მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ბევრ დარგში, კერძოდ, მრეწველობაში — იმის დასადგენად, თუ რა ფაქტორები აყოვნებენ ავტომატიზაციის დანერგვის ეფექტს, ვთქვათ, საშენ მასალათა წარმოებაში[5].

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეობის ხელშემწყობი ფაქტორების გამოსაკვლევად უნდა ჩავატაროთ აპრიორული მონაცემების ფორმალიზება, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა დავეყრდნოთ სპეციალისტ-ექსპერტების აზრს დამნაშავეობის ამა თუ იმ საკითხზე.

პირველ ეტაპზე უნდა შევადგინოთ გამოკითხვის ფურცელი (იხ. ცხრილი 1) და შევიტანოთ მასში ის ფაქტორები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ დამნაშავეობაზე. ამის შემდეგ კითხვარი უნდა დავუგზავნოთ ისეთ სპეციალისტებს, რომლებიც მოღვაწეობენ როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ დაწესებულებებში (სასამართლო, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო და სხვ.). ზემოაღნიშნულ სპეციალისტ-ექსპერტებს ამოცანად უნდა დავუსახოთ განალაგონ დამნაშავეობის ის ფაქტორები, რომლებიც კითხვარში იქნება გათვალისწინებული, მათი მნიშვნელობის კლებადობის მიხედვით: მიაკუთვნონ მათი აზრით ყველაზე ნაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტორს უდაბლესი რანგი, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანს — უმაღლესი, დანარჩენები კი ცხრილში განალაგონ სათანადო თანმიმდევრობით.

მეორე ეტაპზე ანკეტური მონაცემების ხარისხობრივი შეფასებისათვის უნდა გამოვიყენოთ რანგობრივი კორელაცია[6], რომელიც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ სპეციალისტების აზრთა დამთხვევის ხარისხი კონკორდაციის კო-

[5] იხ. Челидзе М. Г., Лебедев Ю. Г., Статистическая оценка факторов, определяющих тормозящий эффект автоматизации на предприятиях стройматериалов, Т., 1974, изд-во «ГрузНИИстром».

[6] იხ. Круг Г. К., Дьякова Н. С., Ранговая корреляция. Труды ОКБА, вып. 3, М., 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

№/№	დამნაშავეობის განმსაზღვრელი ფაქტორები	ფაქტორების მნიშვნელობის ადგილი (ნომერი)
1	x_1	
2	x_2	
3	x_3	
4	x_4	
5	x_5	
6	x_6	
7	x_7	
8	x_8	
9	x_9	
10	x_{10}	
11	x_{11}	

ეფიციენტის გამოთვლის საშუალებით[7]. მისი განსაზღვრა შეიძლება ფორმულით:

$$W = \frac{12S(d^2)}{m^2(n^3-n) - m\sum_{j=1}^{m} Tj} \qquad (1)$$

სადაც: $Tj = \frac{1}{12}\sum_{tj}(t^3j - tj)$;

tj — j-ურ რიგში ყველა რანგის გამეორების რიცხვი
W — კონკორდაციის კოეფიციენტი
$S(d^2)$ — გადახრების კვადრატების ჯამი
n — მიზეზების რიცხვი
m — ექსპერტ-სპეციალისტთა რიცხვი.

ამის შემდეგ კონკორდაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა უნდა შევაფასოთ $æ^2$-ით, ანუ პირსონის განაწილებით[8], ხოლო $æ^2$-ის მნიშვნელობა გამოვითვალოთ შემდეგი ფორმულით:

---

[7] კონკორდაციის კოეფიციენტი ეწოდება დამთხვევის ხარისხის კოეფიციენტს.

[8] $æ^2$ არის სტატისტიკური განაწილება, რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს გამოთქმულ ჰიპოთეზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

$$æ^2 = \frac{12S(d^2)}{mn(n+1) - \frac{1}{n-1}\sum_{j=1}^{m} Tj} \qquad (2)$$

$æ^2$-განაწილებისათვის შევადგინოთ ცხრილები, რომლებიც მოცემულია ა. მიტროპოლსკის ნაშრომში სტატისტიკურ გამოთვლათა ტექნოლოგიის შესახებ[9]. წინასწარ დადგენილი $P(æ^2)$ ალბათობით და თავისუფლების ხარისხების y რაოდენობით[10] უნდა მოვძებნოთ $(æ_0)^2$-ის კრიტიკული მნიშვნელობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფორმულა (2)-ით გამოთვლილ მნიშვნელობას პირსონის განაწილებისა.

დამნაშავეობის ხელშემწყობი ცალკეული ფაქტორების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით ანკეტური მონაცემების საფუძველზე უნდა შევადგინოთ მატრიცა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა სპეციალისტის მიერ გამოთქმულ აზრთა რანგებად დალაგებას. პირველი ფორმულით შეგვიძლია დავადგინოთ კონკორდაციის კოეფიციენტი, რომლის საშუალებითაც გამოვავლენთ სპეციალისტების აზრთა დამთხვევას, ხოლო მეორე ფორმულით გავიგებთ $æ^2$-ის — პირსონის განაწილების მნიშვნელობას, რომელიც უნდა იყოს ცხრილურ $(æ_0)^2$-ზე მეტი. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში სპეციალისტების აზრთა ურთიერთდამთხვევა მათი სისწორის მაჩვენებელია.

სპეციალისტ-ექსპერტების მიერ რანგებად დალაგებული ძირითადი კოეფიციენტები კონკორდაციისა მოწმობს დამნაშავეობის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ სპეციალისტთა აზრების დამთხვევას. ამის შემდეგ საჭიროა გამოვიყენოთ ჯამური რანგირება (იხ. ცხრილი 2) და ავაგოთ რანგების დიაგრამა (ნახ. 1), რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ კითხვარში ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომლები ახდენენ ყველაზე დიდ გავლენას დამნაშავეობის მდგომარეობასა, დინამიკასა და სტრუქტურაზე. ჩვენ მიერ ამ გზით მიღებული ე. წ. ჰისტოგრამა ასახავს ფაქტორთა რანგების შეფასებას ექსპონენციური[11] კლებადობით, რაც საშუალებას გვაძლევს უკუვაგდოთ ისეთი ფაქტორები, რომლებსაც სპეციალისტ-ექსპერტებმა მიაკუთვნეს ყველაზე უფრო დაბალი რანგი.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი ექსპერტული შეფასებების მეთოდის პრაქტიკულად გამოყენების პროცედურა, მოვიყვანთ ზოგადი ხასიათის მაგალითს. დავუშვათ, შევადგინეთ სპეციალისტ-ექსპერტთა გამოკითხვის ფურცელი, რომელშიც შევიტანეთ დამნაშავეობის ხელშემწყობი 11 ფაქტორი (იხ. ცხრილი 1) და აღნიშნული გამოკითხვის ფურცელი დავუგზავნეთ 36 სპეციალისტ-ექსპერტს, რომლებმაც ეს ფაქტორები გამოკითხვის ფურცელში განალაგეს მნიშვნელობის კლების შესაბამისად რანგებად ისე, რომ თითოეულ ფაქტორს მიაკუთვნეს რანგი საკუთარი შეხედულების შესაბამისად.

ყველა სპეციალისტ-ექსპერტის მიერ ამ გზით შევსებული გამოკითხვის

---

[9] იხ. А. К. Митропольский, Техника статистических вычислений, «Наука», М., 1971.

[10] y კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია რანგირებულ ფაქტორებზე.

[11] ექსპონენციური ფუნქცია $f(x) = e^{-x}$ გამოხატავს ისეთი პროცესების მიმდინარეობის განმსაზღვრელ კანონს, რომელთა სიჩქარე ცვლადი სიდიდის უმცირესი მნიშვნელობის პროპორციულია.

ცხრილი № 2

ფაქტორები / სპეციალისტები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	ჯამი
1	11	1	10	2	3	8	9	7	6	5	4	
2	2	5	11	7	4	10	1	8	3	6	9	
3	1	11	10	5	6	7	9	3	2	4	8	
4	8	2	7	5	3	9	4	10	6	11	1	
5	2	1	9	10	4	6	5	7	3	8	11	
6	4	1	5	9	2	7	11	6	3	8	10	
7	2	1	10	9	7	8	11	6	3	4	5	
8	1	10	9	4	5	6	2	11	3	7	8	
9	3	4	11	8	1	7	5	9	2	6	10	
10	4	2	5	9	1	10	6	11	3	8	7	
11	4	3	5	7	2	9	6	8	1	10	11	
12	6	1	10	2	5	7	3	8	9	4	11	
13	2	11	10	9	4	5	1	6	3	8	7	
14	3	1	4	9	2	6	10	8	7	5	11	
15	8	2	11	6	1	3	10	4	5	7	8	
16	8	1	3	11	2	4	10	5	9	7	6	
17	4	11	6	5	1	2	9	10	3	7	8	
18	10	9	5	8	2	3	1	7	11	4	6	
19	9	1	5	7	2	11	3	6	8	10	4	
20	3	2	7	4	1	5	9	10	6	8	11	
21	1	5	11	9	2	6	3	8	4	10	7	
22	1	4	11	7	3	10	5	8	2	6	9	
23	1	3	5	7	4	6	8	9	2	11	10	
24	2	1	8	7	4	11	3	6	9	10	5	
25	2	6	10	11	6	1	7	3	5	4	9	
26	2	1	10	7	4	6	11	5	3	8	9	
27	6	2	7	8	1	3	9	10	4	5	11	
28	4	9	10	6	11	7	1	5	2	3	8	
29	11	3	7	4	1	5	10	6	8	2	9	
30	5	1	9	6	3	4	7	11	2	8	10	
31	1	9	3	2	10	4	8	11	6	5	7	
32	5	3	4	10	6	1	11	9	8	7	2	
33	5	6	11	7	1	8	9	10	4	3	2	
34	2	8	9	7	10	6	1	3	4	11	5	
35	5	6	3	2	1	4	11	10	7	8	9	
36	5	2	6	3	4	7	8	11	9	1	10	
$\sum_{j=1} a_{ij}$	153	151	277	239	129	222	237	275	175	239	279	
$\Sigma a_{ij} - a_{\text{საშ.}}$	−63	−65	61	23	−87	6	21	59	−41	23	63	
$(\Sigma a_{ij} - a_{\text{საშ.}})^2$	3969	4225	3721	529	7569	36	441	3481	1681	529	3969	
რანგი	3	2	10	7—8	1	5	6	9	4	7—8	11	


150
200
250
x_5
x_2
x_1
x_9
x_6
x_7
x_4
x_{10}
x_8
x_3
x_{11}

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცლების სათანადო წესით დამუშავება საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ რანგების ჯამური ტაბულა (იხ. ტაბულა 2).

ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენ მიერ განხილული ფორმულა (1) და მივიღოთ სათანადო შედეგი, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

$$W = \frac{12S(d^2)}{m^2(n^3 - n) - m\sum_{j=1}^{m} Tj}$$

სადაც: $Tj = \frac{1}{12}\sum_{tj}(t^3j - tj)$;

$S(d^2) = 30150$

$n = 11$

$m = 36$

$a_{\text{საშ.}} = 216$

$W = 0{,}211$

რაც შეეხება პირსონის განაწილებას, მას მივიღებთ ფორმულა (2)-ის გამოყენებით:

$$æ^2 = \frac{12S(d^2)}{mn(n+1) - \frac{1}{n-1}\sum_{j=1}^{m} Tj}$$

სადაც: $S(d^2) = 30150$

$n = 11;\ m = 36;$

$æ^2 = 76{,}136$; ტაბულური $æ_o^2 = 18{,}3$.

ამგვარად, რანგებად დალაგების შედეგების ანალიზის საფუძველზე საშუალება გვეძლევა პირობითად დავყოთ დამნაშავეობის ხელშემწყობი ფაქტორები სამ ძირითად ჯგუფად. ეს ჯგუფებია:

ფაქტორები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ დამნაშავეობის მდგომარეობას, დინამიკასა და სტრუქტურას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფაქტორები x_1, x_2, x_5, x_9. დამნაშავეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტორებს, რომლებიც პირველ ჯგუფში მოხვდნენ.

ის ფაქტორები, რომლებიც ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ დამნაშავეობაზე, შექმნიან მეორე ჯგუფს: x_4, x_6, x_7, x_{10}. ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც პრაქტიკულად არ ახდენენ გავლენას დამნაშავეობაზე, მესამე ჯგუფად გაერთიანდებიან: x_3, x_8, x_{11}. მათ პრაქტიკულად მხედველობაში არ მივიღებთ დამნაშავეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვის მეთოდი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დამნაშავეობის შესახებ აპრიორული ცნობების ფორმალიზაცია და გავითვალისწინოთ სპეციალისტების კოლექტიური აზრი, ამასთან, რაოდენობრივად და, ნაწილობრივ, თვისობრივადაც შევაფასოთ ეს მასალა, რაც საბოლოო ანგარიშში ხელს შეგვიწყობს დამნაშავეობის თავიდან აცილების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა მწყობრი სისტემის შემუშავების საქმეში.

სპეციალისტ-ექსპერტების გამოკითხვის ჩვენ მიერ განხილული მეთოდი, რასაკვირველია, პრინციპულად არ განსხვავდება იმ მეთოდისაგან, რომელიც უკვე იქნა გამოყენებული დამნაშავეობის პროგნოზირების ამოცანის გადაწყვეტის დროს. ამის მიუხედავად, იგი მთელი რიგი უპირატესობებით ხასიათდება, რაც მის სიმარტივეში, ნაკლებ შრომატევადობაში და მაღალ სანდოობაში მდგომარეობს. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება მეცნიერული კვლევის დროს სწორედ ეს მეთოდი იქნეს გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ინტერვიუ

დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში, შაუმიანის ქ. № 25-ში დიდი ხანი არ არის ბინა დაიდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებულმა დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორიამ.

ლაბორატორიას გამოეყო დაახლოებით 300 კვ. მეტრი ფართობი და უახლესი აპარატურა.

ამ დღეებში ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი შეხვდა ლაბორატორიის ხელმძღვანელს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს გამოყენებით სოციოლოგიაში ა. გაბიანს და ესაუბრა მას.

კორესპონდენტის შეკითხვების პასუხად ა. გაბიანმა განაცხადა:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამნაშავეობის სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით 1972 წელს გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრასთან შეიქმნა დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორია, რომელიც 3 ლაბორანტს აერთიანებდა. ლაბორატორიამ ამ სახით იარსება 1974 წლის ზაფხულამდე და შეასრულა ძალზე შრომატევადი სამუშაო ნარკოტიზმის შესახებ სოციალური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავებისას.

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა დამნაშავეობის პროფილაქტიკას, დაისვა საკითხი სამართალდარღვევათა მიზეზების მეცნიერული კვლევის გაფართოებისა და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აყვანის შესახებ. დამნაშავეობის მეცნიერულ კვლევაში არსებული სერიოზული ჩამორჩენის დაძლევის მიზნით შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრასთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორია. დამნაშავეობის მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლის მიზნით. აუცილებლად იქნა მიჩნეული ლაბორატორიის გაძლიერება კადრებით და მისი აღჭურვა სათანადო აპარატურითა და მოწყობილობით. ამ მიზნით 1974-75 წლებში ლაბორატორიას გამოეყო 27 საშტატო ერთეული, აგრეთვე ფულადი სახსრები საჭირო აპარატურის და მოწყობილობის შესაძენად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიას გამოუყო საჭირო სახსრები ძველი შენობის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთებისთვის.

იმისათვის, რომ აგვეთვისებინა შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი სახსრები, შეგვეძინა ძვირადღირებული და დეფიციტური აპარატურა, დაგვეკომპლექტებინა ლაბორატორია სათანადო კადრებით, შეგვემუშავებინა ოპტიმალური სტრუქტურა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმა, დაგვემყარებინა საქმიანი კონტაქტი სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან და ა. შ., 1975 წელი ლაბორატორიისათვის გამოცხადდა საორგანიზაციო პერიოდად.

საორგანიზაციო პერიოდში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად მოხდა ლაბორატორიის რეორგანიზაცია და მისი სტატუსის შეცვლა, რაც მიზნად ისახავდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის უკეთესი პირობების შექმნას. კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტის რექტორმა პროფ. დ. ჩხიკვიშვილმა 1975 წლის 13 სექტემბერს გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელიც დამნაშავეობის მეცნიერული კვლევის უკეთ ორგანიზაციისა და განხორციელების, აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის ცოდნით შეიარაღების უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის იურიდიული ფაკულტეტისათვის გადაცემას. ამ ბრძანებით ლაბორატორიას ეწოდა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორია. ბრძანება აწესრიგებს რიგ სხვა საკითხებსაც, რომელთა მოგვარება უდაოდ დადებით როლს შეასრულებს დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმის (1976-1980 წ.) შესრულებას შეუდგა 1976 წლიდან. ლაბორატორია დაკომპლექტებულია სხვადასხვა სპეციალობის მქონე ახალგაზრდა კადრებით, რომელთა შორის 2 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და 8 უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. ლაბორატორიაში იურისტებთან ერთად მუშაობენ კიბერნეტიკოსები, ფსიქოლოგები, ეკონომ-გეოგრაფები, ლინგვისტები და ზოგიერთ სხვა სპეციალობათა წარმომადგენლები, რაც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ დამნაშავეობის კომპლექსური კვლევა.

სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის შესაბამისად ლაბორატორია სტრუქტურულად დაყოფილია სექტორებად და ჯგუფებად.

ლაბორატორიის კოლექტივის წინაშე უპირველეს ყოვლისა დგას დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების და ავტომატიზირებული დამუშავების ამოცანა, რის გარეშეც შეუძლებელია სამართალდარღვევათა სოციოლოგიური კვლევის ორგანიზაცია მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე. ლაბორატორიის კოლექტივმა სწორედ ამ საქმის მოგვარებით დაიწყო ფუნქციონირება. სახელდობრ, სამუშაოდ მოწვეულ იქნა სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზირებული დამუშავების რამდენიმე სპეციალისტი და მათგან შეიქმნა სპეციალური სექტორი, რომელიც თეორეტიკოსებთან ერთად აერთიანებს მაღალი პროფესიული მომზადების იმ პრაქტიკულ მუშაკებს, რომლებიც დაუფლებულნი არიან სოციალური ინფორმაციის მანქანურ ენაზე გადაყვანისა და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე მათი დამუშავების განსაზღვრულ ოპერაციებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება, როგორიც არის დიდი მოცულობის სოციალური ინფორმაციის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე დამუშავება, რასაკვირველია არ ძალუძს პატარა სექტორს, რომელიც სულ 6 თანამშრომელს აერთიანებს, ამიტომ ამ სამუშაოს შესრულება თავიდანვე დაიგეგმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან ერთად. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ სოლიდურ სამეცნიერო დაწესებულებასთან თანამშრომლობის მრავალი წლის დადებითი გამოცდილება გვქონდა, რამაც დაგვარწმუნა ამგვარი თანამშრომლობის მაღალეფექტურობაში სწორედ ამ სამეცნიერო კოლექტივთან, რომელმაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პირველად საქართველოში სოციალური ინფორმაციის მექანიზებულ და ავტომატიზირებულ დამუშავებაში მაღალ შედეგებს მიაღწია.

იმისათვის, რომ შეუფერხებლად განვახორციელოთ მეცნიერული მუშაობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრს შორის დაიდო შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული ერთობლივი საქმიანობის ხასიათი და ფარგლები, პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმის შესრულებისათვის და ა. შ.

ამრიგად, ლაბორატორიის კოლექტივი გამოთვლითი ცენტრის კოლექტივთან ერთად მეათე ხუთწლედში იმუშავებს დამნაშავეობის შესახებ სოციალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების მეთოდიკისა და ტექნიკის საკითხებზე, აგრეთვე პრაქტიკულად განახორციელებს ამ საქმიანობას, რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ და განვაზოგადოთ იმდენად დიდი მოცულობის ინფორმაცია, რასაც ხელით ასობით ადამიანი ვერ შესძლებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ამ მიზნით ლაბორატორიაში დამონტაჟებულია თანამედროვე საპერფორაციო მანქანები, ხოლო გამოთვლით ცენტრში ერთერთ უახლეს გამოთვლით მანქანასთან იქმნება პერიფერიული მოწყობილობა, რაც უზრუნველყოფს ძალზე დიდი მასალის ოპერატიულ ანალიზს. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ჩვენს მიერ ჩაფიქრებული თანამშრომლობის მაღალეფექტურობა, მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ერთ მაგნიტურ დისკზე, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ინფორმაციის ჩასაწერად და შესანახად, შესაძლებელია დაფიქსირდეს ათობით მილიონი ბიტი ინფორმაცია, ანუ ამდენივე ორობითი ციფრი, მაშინ როდესაც უკვე ამჟამად ლაბორატორიის განკარგულებაშია რამოდენიმე ცალი ასეთი მაგნიტური დისკი, რაც ალბათ საკმარისია იმისათვის, რომ მანქანურ ენაზე დავაფიქსიროთ საქართველოს სსრ დამნაშავეობის სტატისტიკის ძირითადი მახასიათებლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე და მოვახდინოთ ამ მასალის ანალიზი განუსაზღვრელი რაოდენობის პარამეტრებით, ამასთან ერთად შევინახოთ ასეთი დიდი მოცულობის ინფორმაცია განუსაზღვრელი დროის მანძილზე და საჭიროების შემთხვევაში კვლავ ოპერატიულად გამოვიყენოთ იგი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ხმარებაში მყოფი მაგნიტური დისკების რაოდენობა შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს, გასაგები გახდება, თუ რაოდენ რაციონალური და ეკონომიურია ინფორმაციის ავტომატიზირებული დამუშავების ჩვენს მიერ არჩეული სისტემა. იმის შემდეგ, რაც მოგვარდება დამნაშავეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეუფერხებელი მიღებისა და მისი დამუშავების სისტემის შექმნის პრობლემა, განზრახულია შესწავლილ იქნას თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დამნაშავეობის მდგომარეობა, დინამიკა, სტრუქტურა და გეოგრაფია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს წლებში საშუალება გვექნება პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს მივაწოდოთ მაღალი მეცნიერული სიზუსტის მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორი იყო ჩვენს რესპუბლიკაში დამნაშავეობის დინამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე, დავადგინოთ მისი კანონზომიერებანი. ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების ოპერატიული გამოყენების გზით შევისწავლით დამნაშავეობის მდგომარეობას, დინამიკას, სტრუქტურასა და გეოგრაფიაზე სოციალურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა ფაქტორთა გავლენის ხასიათსა და ინტენსივობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თავისთავად ცხადი ხდება დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ამოცანათა შესრულების საქმე ამ სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულების დიდი პრაქტიკული მნიშვნელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავეობის მდგომარეობის, დინამიკის, სტრუქტურისა და გეოგრაფიის კვლევა ორ ეტაპად არის დაგეგმილი. ზემოდ ჩვენ შევეხეთ მეტად საპასუხისმგებლო და პერსპექტიული სამუშაოს მხოლოდ პირველ ეტაპს. მეორე ეტაპზე განზრახული გვაქვს სტატისტიკური და ყოველგვარი სხვა ინფორმაციის ავტომატიზირებული დამუშავების შედეგების გამოყენებით დამნაშავეობის გავრცელებისა და ცვალებადობის მაილუსტრირებელი და ამხსნელი რუქების შედგენას შევუდგეთ, რაც ამ სამუშაოს დასკვნითი ნაწილი იქნება. ასეთი რუქების შედგენა დღეისათვის მეტად რთული ამოცანაა, ამიტომ ლაბორატორიაში სამუშაოდ მოვიწვიეთ ეკონომ-გეოგრაფები, კარტოგრაფები და მათგან შევქმენით სპეციალური სექტორი, რომელიც გარდა დამნაშავეობის და სხვა სამართალდარღვევათა ნაირგვარი რუქების შედგენის, მეცნიერულად შეისწავლის დემოგრაფიული პროცესების გავლენას თანამედროვე დამნაშავეობაზე რესპუბლიკის მასშტაბით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამართალდარღვევათა ამ კუთხით კვლევა პერსპექტივაში საშუალებას მოგვცემს სერიოზულად და ღრმად მოვიაზროთ დამნაშავეობა როგორც სოციალური მოვლენა არა მარტო წარსულსა და აწმყოში, არამედ მოვახდინოთ მისი შემდგომი განვითარების კანონზომიერებათა პროგნოზირებაც, რაც არსებითად ახალი ეტაპი იქნება დამნაშავეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა ეფექტურობის გაზრდის საქმეში.

ლაბორატორიაში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე დანაშაულებრივი ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების მეცნიერულ კვლევას, რისთვისაც შექმნილია ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებული სპეციალური სექტორი. სექტორის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში შედის დამნაშავის პიროვნების, მისი სოციალური განწყობებისა და მოტივაციური სფეროს შესწავლა, აგრეთვე დამნაშავის პიროვნებისა და დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების თავისებურებების გარკვევა. როგორც სპეციალური კრიმინოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, დღემდე ამ საკითხთა კვლევა სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტით სათანადო დონეზე არ წარმოებულა ჩვენში. ამის გამო სექტორი თავის მუშაობას იწყებს დამნაშავეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხების კვლევასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების გარკვევით, რაც საშუალებას მოგვცემს დავაზუსტოთ და შევიმუშავოთ საკუთარი მეთოდოლოგიურად გამართლებული პოზიციები აღნიშნულ საკითხებზე. დამნაშავის პიროვნების, მისი სოციალური განწყობების ფორმირების შესწავლისას ჩვენ ვეფუძნებით დ. უზნაძის მიერ შემუშავებულ კონცეფციას, რომელიც განწყობის თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი და რომელმაც დღეისათვის საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვან მიმართულებათა შორის აღსანიშნავია სამართლებრივი პროპაგანდის საკითხების შესწავლა, რისთვისაც ლაბორატორიაში შექმნილია სამართლებრივი პროპაგანდის მეთოდებისა და ფორმების ეფექტურობის კვლევის სპეციალური კომპლექსური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან მათემატიკური ლინგვისტიკის, ჟურნალისტიკის და სხვა დარგების სპეციალისტები. აღნიშნული კომპლექსური ჯგუფი სოციოლოგიური კვლევისა და ტექსტების ანალიზის თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების პროგრესული მეთოდიკის გამოყენებით კრიტიკულად შეაფასებს სამართლებრივი პროპაგანდის საქმეში არსებულ ხარვეზებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავებს ამ მიმართულებით მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა კომპლექსს, აგრეთვე ჩაატარებს ექსპერიმენტებს შემუშავებულ რეკომენდაციათა ქმედითობის თეორიულად და ემპირიულად შემოწმების მიზნით, ხელს შეუწყობს მათ ფართოდ დანერგვას რესპუბლიკის პერიოდული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობის პრაქტიკაში.

ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე დამნაშავეობის აღკვეთისა და თავიდან აცილების თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას, როგორიცაა ლოთობა, ალკოჰოლიზმი და ნარკოტიზმი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობა, ქალთა დამნაშავეობა, ქურდობა, მისი მიზეზები და ამ დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებები და ა. შ.

თვითეული ამ თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით აქტუალური და ნაკლებად შესწავლილი საკითხის კვლევას ლაბორატორიაში სპეციალური ჯგუფები განახორციელებენ, რომლებიც კვლევის პროცესში მჭიდრო ურთიერთქმედებაში იქნებიან როგორც ერთმანეთთან, ისევე დამნაშავეობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზირებული დამუშავების სექტორთან. ეს ურთიერთქმედება კონკრეტულ თანამშრომლობაში გამოიხატება. სახელდობრ, თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლისათვის აუცილებელი კვლევის პროგრამა და პირველადი ინფორმაციის შეგროვების დოკუმენტები ერთობლივი ძალებით ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ თავისი ფორმულითა და შინაარსით ვარგოდეს ავტომატიზირებული დამუშავებისათვის იმ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. შესაძლებელი უნდა იყოს აგრეთვე ამ ინფორმაციის შენახვა და ოპერატიული გამოყენება სხვადასხვა ამოცანებისათვის, რაც მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველთვის დავიცავთ სტანდარტიზაციის პრინციპსა და შინაარსობრივი თვალსაზრისით ურთიერთშედარებითობის მოთხოვნას შევასრულებთ.

სხვადასხვა სექტორებისა და ჯგუფების ურთიერთმოქმედება კვლევის პროცესში კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს აგრეთვე ინფორმაციის შეგროვების შრომატევადი სამუშაოების ერთობლივ შესრულებაში ლაბორატორიის ყველა მუშაკის მიერ, ურთიერთდახმარებაში მასალის რედაქტირებისა და მანქანურ ენაზე მისი გადაყვანის ანუ კოდირების დროს და ა. შ. მუშაობის ასეთი სისტემა ჩვენს პირობებში, როდესაც მცირერიცხოვნებისა და ფინანსური სისუსტის გამო არ გვაქვს საშუალება გვყავდეს სპეციალური შტატი იმ პირებისა, რომელთა მოვალეობას შეადგენს პირველადი ინფორმაციის შეგროვება, რაციონალურია კიდევ იმის გამო, რომ ხელს უწყობს კოლექტივის შინაგან შეკავშირებას. ეს არის, მე ვიტყოდი, პრინციპი — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“ — მოქმედებაში.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ამით არ ამოიწურება ის ინტენსიური მუშაობა, რომელიც ლაბორატორიაში ამჟამად მიმდინარეობს და რომლის განუხრელი და მაღალ დონეზე შესრულება, კოლექტივის წევრთა უმრავლესობის აზრით, საბოლოო ანგარიშში უეჭველად მოიტანს სარგებლობას როგორც ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, ისე მეცნიერულ კვლევაში მაღალი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. მე მხედველობაში მაქვს სხვადასხვა სემინარების, აგრეთვე ლაბორატორიის თანამშრომელთა სადისკუსიო კლუბის საქმიანობა, თუმცა ეს კლუბი პირველ ნაბიჯებს დგამს და დღეს ძნელია ვილაპარაკოთ მისი მუშაობის რეალური შედეგების შესახებ.

ს. ვისოცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლეს ფორის გაუჩინარებული

(გაგრძელება)*

ბელიანჩიკოვი ტანდაბალი, ჯირკუტანა კაცი აღმოჩნდა. სანდომიანი სახისა იყო, თუმცა თაფლისფერი თვალები არ უღიმოდა. ვლასოვს გულთბილად შეხვდა, ჩანდა, რომ კორნილოვს გაეფრთხილებინა. ჰკითხა, რითი შემიძლია გემსახურითო.

— რას უნდა მივაწეროთ პოდპოლკოვნიკის ასე ფაციფუცით წასვლა? თუ საიდუმლოება არ არის, იქნებ ამიხსნათ, — დაინტერესდა ვლასოვი.

— არავითარი საიდუმლოება, — სცადა გაღიმება ბელიანჩიკოვმა, მაგრამ თაფლისფერი, გაშტერებული თვალებით დაძაბულად და მკაცრად შეჰყურებდა ვლასოვს. გუშინ საღამოს კაფე „ვარსკვლავიან ღამეში" ერთი მთვრალი კაცი დააკავეს. როცა მილიციაში ჯიბიდან პასპორტის ამოღებას ცდილობდა, მანქანის ტექნიკური ტალონი ამოუვარდა, შეუვსებელი, პირველი თოვლივით სუფთა და თანაც ფულის დასტა — ცხრაასი მანეთი.

— მერე და კორნილოვმა გადაწყვიტა თვითონ გაესაუბროს ამ ლოთს?

— იცით, ჩვენთვის ახლა ყოველი წვრილმანი ძვირფასია. თუნდაც ერთი ფაქტის გულისათვის, პოეტები რომ იტყვიან, სული გვხდება... და ასე შემდეგ. ყველაფერს საცერში ვატარებთ! ეშმაკს ხომ თვალი არ უჩანს? ჰოდა, ამიტომ პოდპოლკოვნიკი „ვარსკვლავიან ღამეში" გაემართა. ეტყობა, ეს ლოთი ამ კაფეს მუდმივი სტუმარია.

ბელიანჩიკოვმა მაგიდიდან ფოტოსურათი ამოიღო და ვლასოვს წინ დაუდო. სურათზე გამოსახული იყო ოცდახუთი-ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცი: მეტად ვიწრო თვალების ჭრილი, გრძელი ულვაშები ჰქონდა, მოკლე თმა ბუძგურად გაეკრიჭა.

ვლასოვმა სურათს გამკილავად შეხედა. ეს რომ შეამჩნია, ბელიანჩიკოვმა უთხრა:

— დიახ, აპოლონი არ არის... პორტრეტი დღეს დილით გაკეთდა გამოფხიზლება ვერც კი მოასწრო.

— სიფათზე ეტყობა, რა ხილიც არის! — ჩაიცინა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. — ვინ არის?

— ტაქსის შოფერია. ტაქსომოტორის მეორე საწარმოში მუშაობს.

— მერე და, ამდენი ფული?

— მე ვფიქრობ, პოდპოლკოვნიკი ტყუი. უბრალოდ არ გაეშურა ასე სასწრაფოდ „ვარსკვლავიანი ღამისაკენ". ისეთი ინტუიცია აქვს, რომ მთელ სამმართველოს შეიძლება შეშურდეს.

— როგორ დააკავეს ეს მოღვაწე?

— ერთმა სერჟანტმა დაიკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში მსახურობს. საღამო ხანს კინოდან შინ მიდიოდა. სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ხედავს, კაფეს მახლობლად რიგია. ვერ გამიგია, რა ნახა ასეთი ხალხმა? ჩვეულებრივი სასაუზმეა, სახელდახელო, ოდესღაც კი კარგი ახალგაზრდული კაფე იყო. — ფიქრობს იგი. გულმოსულმა ბელიანჩიკოვმა ფრჩხილები მაგიდაზე ააკაკუნა. მაშ, კარგი!... — ჰოდა მიდის სერჟანტი და ხედავს, რომ ჩხუბობენ. რომელიღაც ჭელი ჩაციებია ხანშიშესულ კაცს. ყარგონიც შესაფერისი აქვს: „შენ, ეი ძუკნა ძაღლო, ყრონტში რომ გტაცებ ხელს... გამოგფაშვავ". სერჟანტისთვის ეს „მუსიკა" კარგად ნაცნობია.

— მერე, მერე?

— მერედა, დილით მივიღეთ ცნობა. მასში ჩვენი თხოვნით დაწვრილებით აღწერენ ხოლმე ყველაფერს, რაც ავტოტრანსპორტთან არის დაკავშირებული. აქ კი — სუფთა ტექნიკური ტალონი აღმოჩნდა... იური ევგენის ძემ ისევ ნერვულად ააკაკუნა თითები მაგიდაზე, და ვლასოვი მიხვდა: თუმცა ასე დაწვრილებით და თავაზიანად უპასუხებდა მის ყველა შეკითხვას, ბელიანჩიკოვი აზრებით სულ სხვაგან იყო, აქედან ძალიან შორს, შესაძლოა კორნილოვთან ერთად კაფე „ვარსკვლავიან ღამეში", შესაძლოა, სხვაგანაც.

— ალბათ მოგაცდინეთ! — უთხრა ვლასოვმა.

— რას ბრძანებთ! — გულთბილად ეაუღიმა ბელიანჩიკოვმა. — იქნებ კიდევ რამე გაინტერესებთ? პოდპოლკოვნიკმა მთხოვა მოგიყვეთ...

— არა, არა... სხვა დროს იყოს. იქნებ საღამო ხანს? რას იტყვით?

---

*დასაწყისი იხ. 1975 წ. № 5, გვ. 84-86. 1976 წ. № 2, გვ. 83-89, № 3, გ.ვ 78-88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, დიახ, მოდით საღამო ხანს იყოს. ჩემი ტელეფონები გაქვთ? ჩაიწერეთ, — ბელიანჩიკოვი გამოცოცხლდა. თითქოს სული ჩაბერესო. — შემოგვიარეთ. ჩვენთან ბევრი რამ არის საინტერესო. მანქანების საქმესაც გავარკვევთ. თქვენ პოდპოლკოვნიკზე დაწერეთ. ასეთს სხვას ვერ ნახავთ. იმას ნუ უყურებთ, პირქუში შესახედაობა რომ აქვს. საერთოდ, დიდი მხიარული კაცია.

ბელიანჩიკოვი წამოდგა და ვლასოვს ხელი მაგრად ჩამოართვა.

ვლასოვი უკმაყოფილო გამოვიდა. ეს კორნილოვი არც თუ ძალიან ჩქარობს შემიყვანოს საქმის კურსში. რა საჭიროა ეს მალულობია. გენერალმა ნება დართო გამოძიების მასალებს გასცნობოდა. არც ბელიანჩიკოვია მაინც და მაინც ენაწყლიანი... ვლასოვმა ამოიოხრა. მას კარგად ესმოდა, რომ კორნილოვს და ბელიანჩიკოვს თავისი გაჭირვება აქვთ, ყოველი წუთი გაანგარიშებულია და დარბაისლური, ზრდილობიანი ლაპარაკი ხელს არ აძლევთ. მაინც საწყენი იყო — მოვლენები ვითარდება, ახალ ინფორმაციას იღებენ, ხოლო ყურნალისტს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს იმის დაწერა თუ როგორ ეძებენ გამტაცებლებს, ამის შესახებ სრულიად არაფერს ეუბნებიან.

„არა უშავს, — გაიფიქრა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. ხვალ ამ კორნილოვს ჩიხში მოვამწყვდევ. თავისი თავაზიანი ღიმილით ვეღარ მომიშორებს თავიდან!“

ვლასოვმა გადაწყვიტა საღამოს თეატრში წასულიყო და სასტუმროდან დაურეკა თავის ძველ ნაცნობს საოლქო გაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგეს.

— ბერიკაცო, წადი სპექტაკლზე — „საყვარელ ადამიანებს ნუ დაშორდებით“. — ხალისიანად უთხრა ვლასოვს გამგემ. პრემიერაა. პეტროგრადის კულტურის სასახლეში ხალხი აწყდება... ბილეთები ჩემთვის შევუკვეთე, მაგრამ დღეს ვერ შევძლებ წასვლას... შენ წადი...

კულტურის სასახლესთან მართლაც თავი მოეყარათ ბილეთის ხელზე ყიდვის მსურველებს, უმეტესად გოგონები იყვნენ.

ვლასოვმა მოძებნა შავი მუშამბიანი კარი წარწერით „ადმინისტრატორი“ და შეაღო იგი. ისედაც მომცრო ოთახი, რომელშიც იატაკიდან ჭერამდე აფიშები იყო გაკრული, კიდევ უფრო პაწაწინა მოეჩვენა იმის გამო, რომ იქ უზარმაზარი საწერი მაგიდა იდგა, იდეალურად მილაგებული — ზედ მხოლოდ გადასაშლელი კალენდარი იდო. მაგიდას უჯდა სოლიდური გაბარიტების მქონე მამაკაცი. კაცი ტელეფონით ლაპარაკობდა, თან ტკბილად იღიმებოდა. ვლასოვმა გაიფიქრა: „ალბათ ქალს ემუსაიფება“. მან დაუბარა კიდეც კაბინეტიდან გამოსულიყო და კორიდორში მოეცადა, მაგრამ კაცმა, ისე რომ არც კი შეუხედავს, ხელის ენერგიული დაქნევით ანიშნა სკამზე დამჯდარიყო. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე დაჯდა.

კაბინეტის პატრონი ვარდისფერლოყებიანი ჯირკუტანა იყო, ქერა თმა ლამაზად შეეკრიბა და სპორტსმენს უფრო ჰგავდა, ვიდრე თეატრის ადმინისტრატორს. „ალბათ ამ პატარა კაბინეტში ვიწროდ გრძნობს თავს, ჩაიცინა ვლასოვმა და თან მასპინძელს ათვალიერებდა. — თითქოს სადღაც მინახავს, თანაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ“.

ადმინისტრატორმა იგრძნო ვლასოვის მზერა, ოდნავ შეავლო მას თვალი და განაგრძო ყურმილში ღუღუნი. მაგრამ, რატომღაც დაიძაბა, ხელახლა შეხედა ვლასოვს, მაგრამ უფრო ყურადღებით. ვლასოვმა თავი დაუქნია და მისალმებისას შენიშნა, რომ მასპინძლის ცისფერ თვალებში შიშმა გაიელვა.

— გალოჩკა, ჩემთან მოვიდნენ, — ჩასძახა მან ყურმილში და თან ხმა აღარ ჰქონდა ისე დათაფლული, როგორც ერთი წამის წინ, — მერე დაგირეკავ. კარგი, კარგი... — მან დაჭიდა ყურმილი. ვლასოვი გააოცა იმან თუ როგორ შეიცვალა ადმინისტრატორი.

— ჩემთან ხართ, ამხანაგო?

— მაპატიეთ, მოგაცდინეთ, ვალერი თომას ძევ, — უთხრა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ და ისევ გაოცდა მასპინძლის დაძაბული მზერა რომ შეამჩნია. — თქვენ გადაინახეთ ბილეთი გოლუბენცევისათვის, გაზეთში რომ მუშაობს.

— თქვენ გოლუბენცევი ხართ? — სწრაფად ჰკითხა ვალერი თომას ძემ.

— არა, არა, მე მოსკოველი ვარ, ჟურნალისტი. გოლუბენცევმა ჩემთვის შეგიკვეთათ ბილეთი.

— ჰოდა, ჩინებულია, ჰოდა, ჩინებულია, — ვლასოვი ვერ მიხვდა, რა გაუხარდა ადმინისტრატორს. — კარგი სპექტაკლია, ძალზე კარგი, არ ინანებთ. ისე, რად გინდათ ბილეთი, მე თქვენ მოგცემთ ადგილს... საუკეთესო ადგილს, — ვალერი თომას ძეს ხმა ისევ დათაფლული გაუხდა. მაგიდიდან ამოიღო საკმაოდ გაზინთული რვეული და გაფაციცებით დაიწყო შიგ რაღაცის ძებნა. — თქვენ ალბათ მარტო არ იქნებით. ახლავე შეგირჩევთ ორ კარგ ადგილს.

— არა, არა, გმადლობთ. მარტო ვარ... — უთხრა ვლასოვმა.

— როგორც იქნა ვალერი თომას ძემ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძრო საჭირო ქაღალდის ნაჭერი და ვლასოვს ჩაუკუჭა მუჭაში.

— ინებეთ, გეთაყვა. გთხოვთ კიდევ მობრძანდეთ ჩვენთან. მოგეწონებათ! იგი წამოდგა და კონსტანტინე ნიკოლოზის ძე დარბაზის შესასვლელამდე მიაცილა.

„რა ფაცი-ფუცი აუტყდა, — ფიქრობდა ვლასოვი, როცა მეექვსე რიგში თავის ადგილზე ჯდებოდა. — ჟურნალისტები არ უნახავს, თუ რა? მას გაახსენდა ვალერი თომას ძის შეწუხებული თვალები ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე თავს გააცნობდა და კიდევ უფრო გაოცდა. — რა სისულელეა! ალბათ ვინმეში ავერიე“.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს სპექტაკლი არ მოეწონა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს რეჟისორმა მთელი ოსტატობა დახარჯა განათების ეფექტსა და ვეებერთელა, ღვარჭნილ ბუტაფორიაზე. აქტიორები ცუდად არ თამაშობდენ, ერთგვარი გატაცებაც კი იგრძნობოდა მათ თამაშში, მაგრამ ვლასოვს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ისინი როლებს ასრულებდნენ სხვადასხვა პიესებიდან და სხვადასხვა განზომილებებით ცხოვრობდნენ.

შესვენებაზე ბუფეტში გავიდა და ლუდის დასალევად რიგში ჩადგა. რიგი ისე დიდი იყო, რომ ეტყობა ლუდის დალევას ვერც მოასწრებდა. მაგრამ მოულოდნელად მასთან ვალერი თომას ძე მივიდა.

— ლუდზე დგახართ? — ჰკითხა და მომხიბლავად გაუღიმა. — ვერ მოასწრებთ. წამობრძანდით ჩემთან... — ადმინისტრატორმა ალერსიანად გამოსდო ხელკავი ვლასოვს და თავისთან წაიყვანა.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია. „კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ვთქვა უარი?“

ვალერი თომას ძემ თავისი კაბინეტის კარი ყურთამდე გააღო და ზღურბლზე შეჩერებულმა არაბუნებრივად დაივიშვიშა. დიდ მაგიდასთან იჯდა ახალგაზრდა ქალიშვილი, ბუტერბროდებს სანსლავდა და ზედ ლიმონადს აყოლებდა. გვერდით იდგა კონიაკის ნაკლული ბოთლი და ბოლომდე შეუსმელი სირჩა.

— სალამი, ვალერიკო, — უთხრა გოგონამ. — ერთი წამით შემოვირბინე. ვხედავ დარბაზობა გაქვს დაგეგმილი.

ვალერი თომას ძემ რაღაც გაუგებრად ჩაიბურდღუნა ცხვირში და დაფაცურდა. დიდი ტყავის სავარძელი მიაჩოჩა მაგიდასთან და შიგ ვლასოვი ჩასვა. — გთხოვთ, გთხოვთ... დიდი ანტრაქტია. თითოს გადაკვრასაც კი მოვასწრებთ — თქვა მან, მარდად დაასხა კონიაკი და ძეხვიანი ბუტერბროდები ვლასოვისაკენ მისწია. — მილიას უკვე უდიასახლისია აქ... ჰო, მე არ წარმიდგენიხართ ერთმანეთისათვის. ეს არის მილა, ჩვენი სასახლის აქტივისტი, თვითმოქმედების სული და გული. — ვალერი თომას ძეს ლამაზი თავი ქალიშვილის მხარეს ჰქონდა გადახრილი, ხოლო ქალიშვილი მშვიდად და ოდნავ დამცინავად უცქერდა ადმინისტრატორს. ვლასოვმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ქალიშვილი ახალგაზრდა იყო, თვრამეტი წლის თუ იქნებოდა, მეტისა არა. ხოლო თვალები ჰქონდა მუქი. მთვრალ თვალებს ანცად აციმციმებდა. „ნუთუ მარტომ დალია თითქმის ნახევარი ბოთლი კონიაკი“, — გაიფიქრა ვლასოვმა.

ამასობაში ვალერი თომას ძე მისკენ გადმოიხარა.

— მოსკოველი ჟურნალისტია...

ვლასოვმა გაუღიმა ქალიშვილს და თავი წარუდგინა:

— კონსტანტინე, ნიკოლოზის ძე.

თითო სირჩა კონიაკი დალიეს. ადმინისტრატორმა ჯიბიდან „მალბორო“ ამოიღო, ვლასოვს შესთავაზა და ჰკითხა, როგორ მოგწონთ სპექტაკლი.

ვლასოვმა გატაცებით დაიწყო თავისი აზრების გამოთქმა სპექტაკლზე, მაგრამ ნახა, რომ ეს არ აინტერესებდა არც ვალერი თომას ძეს, რომელმაც შეკითხვა მისცა, და არც შეზარხოშებულ მილია. ვალერი თომას ძეს თავი გვერდზე გადაეხარა და უსმენდა, ცდილობდა სახეზე ინტერესი გამოხატოდა, მაგრამ მოუსვენარ თვალებში წუხილი და ბინდი, რაღაც ეჭვი ჩადგომოდა, რომლის საფუძველი მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, ღრღნიდა მას.

— ალბათ დარბაზში შესვლის დროა, — თქვა ვლასოვმა და წამოდგა. გმადლობთ მასპინძლობისათვის...

— საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, რომ მილია თქვენს გვერდით დავსვა? დღეს ანშლაგია და არცერთი რიგიანი ადგილი აღარ დარჩა...

ვლასოვმა მხრები აიჩეჩა და უთხრა:

— თუ ღმერთი გწამთ. რაკი ადგილი თავისუფალია...

მან შენიშნა, რომ ვიდრე მაგიდიდან წამოდგებოდა, მილიამ დაისხა კონიაკი და სულმოუთქმელად გადაპკრა. როცა ადმინისტრატორის კაბინეტიდან გამოვიდნენ, კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ხელკავი გამოსდო და გამომწვევად გაუღიმა:

— საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

როგორც კი დარბაზში შუქი ჩაქრა, მილიამ ისევ გამოსდო ვლასოვს ხელკავი და მხრით მიეყრდნო. ვლასოვმა ფრთხილად მოიშორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილის ხელი, თავად განზე გაიწია და ჩურჩულით უთხრა:

— მოდით სპექტაკლს ვუყუროთ.

გაოცებულმა მილიამ ალმაცერად შეხედა და არაფერი უთხრა. ვიდრე სპექტაკლი მიდიოდა, თაგვივით გასუსული იჯდა, და ვლასოვს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ეძინა, მაგრამ, როგორც კი სპექტაკლი დამთავრდა, კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ისევ გამოსდო მკლავი.

ვლასოვმა კმაყოფილებით შენიშნა, რომ ადმინისტრატორი არსად ჩანდა. უკვე ეშინოდა, რომ ვალერი თომას ძე გადაუდგება გზაზე და ისევ დაუწყებდა კაბინეტში შეტყუებას.

ქუჩაში კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ ჰკითხა მილიას:

— თქვენ რომელ მხარეს, მილოჩკა?

— რას ნიშნავს, რომელ მხარეს? — ჭირვეულად გაეპასუხა ქალიშვილი. —მეკითხებით კიდეც... — მერე მამაკაცს მიეკრო და ჩასჩურჩულა: — სადაც გინდათ იქ წავიდეთ, მხოლოდ ერთი გზა გვქონდეს... ჩემთანაც შეიძლება წამოსვლა.

— ოჰო, არა, არა, — გააქნია თავი ვლასოვმა. — ჩვენ ასე არ შევთანხმებულვართ...

— როგორ თუ არ შევთანხმებულვართ! — მილია შეჩერდა და გამომწვევად შეხედა ვლასოვს.

„ეტყობა სახიფათო გოგოა, — ჩაიცინა ვლასოვმა. — რა ეშმაკი თვალები აქვს“...

— როგორ თუ არ შევთანხმებულვართ, კოტიკო, მოსკოველო ჟურ-ნა-ლის-ტო?! — გაიმეორა მან და „ჟურნალისტი“ განსაკუთრებული მახვილითა და გაჭიანურებით წარმოთქვა. — როგორ. განა ვალერკამ ტყუილად დამირეკა? სასწრაფოდ მოდიო, თათუნა. შენ კი მეუბნები, არ შევთანხმებულვართო!

ქალიშვილი გაცხარდა და ისე ხმამაღლა ალაპარაკდა, რომ ხალხი მოგროვდა და ყურება დაუწყო. „კარგი ერთი! დაიყვირა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. — ეს რა ისტორიაა!“ მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, ეტყობა მილია კარგა მაგრად გამომთვრალიყო. მან ხელკავი გამოსდო მთვრალ ქალიშვილს და წყნარად უთხრა როგორც გაჭირვეულებულ ბავშვს:

— მილია, მილია, აბა დაწყნარდი! ახლავე გავარკვევთ ყველაფერს და მეტროს სადგურისაკენ წაიყვანა.

მილია მორჩილად მიყვებოდა და ჭირვეულად ბურტყუნებდა:

— ეს ვალერკა ყოველთვის ასე მიკეთებს... მილოჩკა, მილოჩკა, თათუნა, საყვარელო, მერე დამირეკავს — ხუთ წუთს გაძლევ გზისთვის, გაგაცნობ ერთ საჭირო მიამიტს. ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს! ფუი, საზიზღრობაა... — და ასლუკუნდა.

— აქ რაღაცა გაუგებრობაა, — უთხრა ვლასოვმა. ვერაფრით ვერ ჩასწვდა ადმინისტრატორის მოქმედების ლოგიკას. — მე შენს ვალერკას საერთოდ არ ვიცნობ. მხოლოდ ბილეთისთვის შევიარე მასთან.

— შევიარე, შევიარე... თვალს ნუ მიხვევ! ვალერკამ მითხრა: „წაიყვანე შენთან. ორ საათისთვის მეც მოვგრიალდები. ქალიშვილმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ზედმეტი წამოროშა და შეშინებულმა შეხედა ვლასოვს.

— აი, რა მილოჩკა. შედი მეტროში. შენ ახლა ნანა გინდა, — უთხრა გაბრაზებულმა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. — შაურიანი ხომ გაქვთ გზისათვის.

მილიამ მოულოდნელად ენა გამოუყო და წუწუნით უთხრა:

— საფრთხობელავ! როგორ გეტყობა, რომ მილიციონერი ხარ. — ქალიშვილი შეტრიალდა და წავიდა.

„რა ჯანდაბა და ოხრობაა! — გაიფიქრა კონსტანტინე ნიკოლოზის ძემ. მას მილიასთვის თვალი არ მოუშორებია, ვიდრე იგი მეტროს კარს არ მიეფარა. — ეს შეშინებული ადმინისტრატორი... რას მელაქუცებოდა... თავში აზრადაც რომ არ მოგივა! ნუთუ უნდოდა, რომ სპექტაკლზე დამეწერა? მაგრამ რაში ჭირდება? კონიაკზე შემართია! ეს მილია რაღა იყო? აქ კი ნამდვილად გაუგებრობაა. ვიღაცა სხვისთვის მიიწვია, როგორც ჩანს და მე შევრჩი ხელში. ღმერთო ჩემო, რა ლაქლაქაა! რა მლიქვნელი! როგორი უტვინოა!

ვლასოვმა ტაქსი დაიჭირა და სასტუმროში დაბრუნდა. კულტურის სასახლეში მომხდარ ამბავს ვერავითარი ახსნა ვერ მოუნახა.

კორნილოვს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მთელი მისი ჯგუფი სულ ფუჭად მუშაობდა. ბევრს ცდილობდნენ, შედეგი კი არ ჩანდა. მანქანების გამტაცებლების კვალს ვერ მიაგნეს.

ავტოინსპექტორების მეშვეობით აფიქსირებდენ ყველა შორეულ რეისს, „ვოლგის“ მარკის ავტომანქანებისას რომლებსაც ჰქონდათ ლენინგრადული სახელმწიფო ნომრის ნიშნები. სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოები მოაწყვეს ნოვგოროდისა და პსკოვის ოლქების საზღვრებზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომგადახდილი

თავის ბავშვობას ასე იგონებს ლევანი: „10 წლისა ვიყავი, შრომითს საქმიანობაში რომ ჩავები. მშობლებს ოჯახშიც ვეხმარებოდი და კოლმეურნეობაშიც. არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეს უკვე შრომის წიგნაკი მქონდა, სრულად ერიცხებოდა კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეები.

მამაჩემთან ერთად გავაშენე მოზრდილ ნაკვეთზე ჩაის ახალი პლანტაცია, რომელსაც გულმოდგინედ ვუვლიდი.

ბავშვობიდანვე შრომას მიჩვეულს უქმად ყოფნა მიჭირდა. უკვე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი არდადეგებს კოლმეურნეობაში ფიზიკურ შრომას ვახმარდი“.

17 წლის ლ. ჯღარკავამ 1937 წელს დაამთავრა გეგეჭკორის რაიონის, სოფელ ბანძის საშუალო სკოლა. 1939 წლამდე მშობლებს ეხმარებოდა, კოლმეურნეობაში მუშაობდა, 1939 წელს კი აჭარაში, ქედის რაიონში დაიწყო მასწავლებლობა. 1940 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

სამამულო ომის დაწყებამ ძირფესვიანად შეცვალა საბჭოთა ხალხის ცხოვრება. 20 წლის ლევანი მობილიზებულ იქნა წითელი არმიის რიგებში და მონაწილეობდა სამამულო ომის ფრონტზე ქერჩის ნახევარკუნძულზე.

გუშინდელ დღესავით ახსოვს ლევანს ის ქარცეცხლიანი დღეები. „1941 წლის ნოემბრის ბოლოს, — იგონებს იგი, — ჩვენი ნაწილი გაიგზავნა კრასნოდარის ოლქის სადგურ უსტ-ლაბინსკში, საიდანაც საბრძოლოდ მზადმყოფნი გაგვგზავნეს ქერჩის სრუტის მიმართულებით. მივდოდით ფეხით, შეუჩერებლად, დღისით და ღამით, წვიმაში, თოვლსა და ყინვაში. მტერი გამუდმებით გვბომბავდა. ასე გავიარეთ ქ. ტამანი, თერმიუკი და სხვა დაახლოებული პუნქტები. შევჩერდით ჩვენი გემების ნავსაყუდელ კომსომოლსკაიასთან, რომელიც სრუტის მოპირდაპირე მხარეს დაბანაკებული მტრისაგან მხოლოდ ოთხი კილომეტრით იყო დაცილებული. ქ. ქერჩი ფაშისტებს ეკავათ. იმ მძიმე დღეებში დესანტებად გვამზადებდნენ. ჩვენი საზენიტო არტილერია დღისით და ღამით იგერიებდა მტრის ავიაციის შეტევებს.

1941 წლის დეკემბრის ბოლოს ყველაფერი მზად იყო. ოთხ საბჭოთა ხომალდს დესანტი უნდა გადაესხა სრუტის მეორე მხარეს. 1942 წლის 1 იანვარს არტილერიის ცეცხლქვეშ ჩვენმა პირველმა ხომალდმა მშვიდობიანად მიაღწია ნაპირს. გერმანელები გააფთრებით იცავდნენ თავს, მტრის ავიაცია სდევნიდა ყველა ჩვენს კატერს. ხომალდი, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, მხოლოდ მეოთხე დღეს მიადგა ნაპირს“...

გამუდმებით გაყინულ სანგრებში, ბლინდაჟებს და დანგრეულ შენობებში ყოფნამ შეარყია ახალგაზრდა მეომრის ჯანმრთელობა. მძიმედ დაავადებულს, მაღალი სიცხისაგან გრძნობადაკარგულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტის წინა ხაზი დაატოვებინეს და ქერჩის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოათავსეს. იგი მხოლოდ მესამე დღეს მოვიდა გრძნობაზე, მაგრამ სხეულის მარჯვენა მხარე პარალიზებული ჰქონდა, მოძრაობა არ შეეძლო. მკურნალობდნენ სხვადასხვა ჰოსპიტლებში, შემდეგ კი როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი, დემობილიზებულ იქნა. სამშობლოში დაბრუნებული, ნაწილობრივ გამოჯანმრთელდა თუ არა, მაშინვე დაუბრუნდა უნივერსიტეტს. მალე იგი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში, იყო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი.

1946 წელს ლევან ჯღარკავამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი. 1946 წლის ოქტომბრიდან 1947 წლის სექტემბრამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ პროკურატურაში უფროს გამომძიებლად. 1948 წლის ივლისიდან ახალციხის რაიონში მუშაობს სახალხო მოსამართლედ, 1956 წლიდან კი ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეა.

ლ. ჯღარკავა დიდ მუშაობას ეწევა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პროფილაქტიკურ საქმიანობას. მას ხშირად ნახავთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც რჩევა-დარიგებას აძლევს ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებს, გამოდის ლექციებით და საუბრებით სამართლებრივ თემებზე.

სასამართლოს თავმჯდომარე მესაზღვრეების ხშირი სტუმარია. საზღვრისპირა მცხოვრებლებს და მესაზღვრეებს ესაუბრება საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე. იგი სიამაყით ატარებს მედალს — „საბჭოთა კავშირის საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“.

მისი უანგარო შრომა დაფასდა. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, საპატიო სიგელები, გამოცხადებული აქვს მრავალი მადლობა. სასამართლო ორგანოებში მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 16 აგვისტოს ბრძანებულებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის ბიუროს დადგენილებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობისათვის მისი გვარი შეტანილია პარტიის რაიკომის საპატიო წიგნში.

ლ. ჯღარკავა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის წევრი და რაიონული საბჭოს დეპუტატია. მისი საქმიანობის შესახებ არაერთხელ გაშუქებულა რაიონულ, რესპუბლიკურ პრესაში, თვით საკავშირო ბეჭდვით ორგანოშიც კი!

აი რას წერდა სარედაქციო წერილში საბჭოთა კავშირის იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო ჟურნალი „სოციალისტიჩესკოე ზაკონნოსტ“-ი 1969 წლის მეექვსე ნომერში (ჟურნალის გარეკანზე მოთავსებული იყო ლ. ჯღარკავას ფოტოსურათი): „20 წელიწადზე მეტია მუშაობს პატარა რაიონის სახალხო სასამართლოში ლ. ჯღარკავა, სადაც ყოველ ადამიანს თვალით ხედავ, სადაც თვითეულმა იცის რით ცხოვრობს და რით სუნთქავს თავისი მეზობელი... და თუ შეეკითხებით ახალციხის რაიონის რომელიც გნებავთ მცხოვრებს, თუ რით დაიმსახურა მათი ნდობა და პატივისცემა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ, იგი გიპასუხებთ: სამართლიანობით და ადამიანებზე ზრუნვით, კანონის კარგი ცოდნით და ყოველი საკითხის გადაწყვეტაში ობიექტურობით“.

ლ. ჯღარკავა კვლავ აღსავსეა ძალითა და ენერგიით, უშრეტი ახალგაზრდული შემართებით.

თ. გუგუშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტი—იურისტი

იუსტიციის სამინისტროს უფროს კონსულტანტს ზაალ ილიას-ძე მესენგისერს დაბადების 50-ე წლისთავი შეუსრულდა. უკან დარჩა შრომისა და შემოქმედების 30 წელი. გასახსენებელი კი მას ბევრი აქვს...

18 წლისა იყო ზაალ მესენგისერი, როდესაც პირველი წერილი დაბეჭდა ცენტრალურ პრესაში. ამ დღიდან მოყოლებული იგი სისტემატურად თანამშრომლობს როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების — „ნორჩი ლენინელის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდინი სტალინეცის", „სახალხო განათლების", „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი, წლების მანძილზე მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე — იყო ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე, რამდენჯერმე აირჩიეს საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივნად.

1957 წელს ზაალ მესენგისერი სამუშაოდ გადაჰყავთ მრავალტირაჟიანი გაზეთის „გაზაფხულის" რედაქციაში, 1958 წლიდან 1962 წლამდე ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქციის ლიტერატურული თანამშრომელია. 1962 წლის აგვისტოდან მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივნად, სადაც გამოავლინა საქმის სიყვარული, სისპეტაკე, ღრმა განსწავლულობა. იუსტიციის სამინისტროს ჩამოყალიბების დღიდან ზ. მესენგისერი ამ სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი კონსულტანტია.

ზ. მესენგისერმა ჯერ ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი — იურიდიული ფაკულტეტი. დამთავრებული აქვს აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. თავის ცოდნასა და გამოცდილებას იგი კარგად უხამებს საზოგადოებრივ საქმიანობას. თითქმის 20 წელია მუდმივად არის ჟურნალ „სოციალისტიჩესკოე ზაკონნოსტის" შტატგარეშე კორესპონდენტი ჩვენს რესპუბლიკაში. მისი საქმიანობა ამ ჟურნალის მუშაობაში სარედაქციო კოლეგიის მიერ მრავალჯერ აღინიშნა ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით. ზ. მესენგისერი ქ. თბილისის ლენინის რაიონის სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი და „ზაზოგადოება „ცოდნის" ლექტორია.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი ზაალ მესენგისერი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ჟურნალისტიკის დარგში. მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით ეცნობა მის მხატვრულ და პოლემიკურ სტატიებს. მკითხველთა დიდი ინტერესი ხვდა წილად მის წიგნს „ჩანაწერები სასამართლო დარბაზიდან". ამჟამად დაამთავრა და დასაბეჭდად მზადა აქვს რომანი „ჭაობი", სადაც ასახულია იუსტიციის ორგანოების მუშაკთა ბრძოლა იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

გულისხმიერი, პრინციპული, თავისი საქმის კარგი მცოდნე, — ასე იცნობენ ზაალ მესენგისერს ამხანაგები და მეგობრები. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ალ. შუშანაშვილის ბრძანებით, იუსტიციის ორგანოების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 50-ე წლისთავის გამო ზაალ მესენგისერს მადლობა გამოეცხადა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამხ. აკ. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია გამოვიდა მოხსენებით — „სასამართლო პრაქტიკა ბუნების დაცვის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ".

ბუნების დაცვა თანამედროვე პირობებში,— ამბობს მომხსენებელი, — უდიდესი საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება, დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობა.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად ბუნებრივი სიმდიდრე საყოველთაო-სახალხო საკუთრებაა და ამიტომ ბუნებრივი რესურსების უკანონოდ განადგურება ან დაზიანება, მათი უკანონოდ მიტაცება არა მარტო არღვევს გარესამყაროს დაცვის წესებს, არამედ ობიექტურად ზიანს აყენებს სოციალისტურ საკუთრებას, რომელიც მატერიალიზებულია ბუნებრივი სიმდიდრის სახით.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპუბლიკაში უხეშად ირღვევა ბუნების დაცვის კანონმდებლობა, ნადგურდება რესპუბლიკის ფლორა და ფაუნა, ადგილი აქვს უკანონო თევზაობასა და ნადირობას, ტყეების და პარკების გაჩეხას. ამასთან, სასამართლო სტატისტიკა არ ასახავს ნამდვილ მდგომარეობას.

უკანონო თევზჭერისთვის, უკანონო ნადირობისათვის, ტყის უკანონო გაჩეხის ან დაზიანებისათვის მსჯავრდებულთა რიცხვი მეტად მცირეა, სოლო წყალსატევების გაბინძურებისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისათვის, ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანებისათვის, გემის ან სხვა მცურავი საშუალებების კაპიტნის მიერ მავნე ნივთიერებათა ზღვაში ჩაყრის შეუტყობინებლობისათვის და მცენარეთა ღაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევისათვის, ბოლო ხუთ წელიწადში არც ერთი პირი არ არის მსჯავრდებული.

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის 1974-75 წლებში არც ერთი პირის მიმართ არ განხილულა სისხლის სამართლის საქმე ლანჩხუთის, ლენტეხის, წალკის, ლაგოდეხის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, ახალქალაქის, მარნეულის, ვანის, საჩხერის, ქედის, მაიაკოვსკის, გუდაუთის, გალის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, წყალტუბოს, დუშეთის, სიღნაღის და რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ამრიგად, ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სათანადო მნიშვნელობას არ ენიჭება.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოები, ჩვენის აზრით, მეტად არასაკმაოდ არიან ჩაყენებული ბუნების დაცვის სამსახურში.

ამ კატეგორიის საქმეთა აღძვრა, მოკვლევა-გამოძიება და სამსჯავრო განხილვა ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით, შეცდომებით და დარღვევებით.

ბუნების დაცვის წესების უხეში დარღვევის გამოვლინების მიუხედავად, ზოგჯერ, საჭირო ზრუნვას არ იჩენენ საქმის დროული აღძვრისა და ხარისხიანი გამოძიების ჩასატარებლად.

ტყიბულის რაიონის სოფ. ხრესილის საკოლმეურნეო ტყეში 1974 წლის 29 ნოემბერს ამავე სოფლის მცხოვრებმა ლ. კუბლაშვილმა უნებართვოდ მოჭრა 32 ძირი რცხილა. ამ ფაქტზე 4 დეკემბერს შედგა სათანადო აქტი. რაიონის პროკურორს კი მასალები კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. კუბლაშვილმა მხოლოდ სამი თვის შემდეგ გაუგზავნა.

1974 წლის 30 აგვისტოს მოქ. ჰ. მაღრაძემ მდინარე ჩხერიმელაში თევზის დასაჭერად ელექტროდენი გამოიყენა. ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებისათვის ეს ფაქტი იმავე დღეს გახდა ცნობილი, მაგრამ საქმე აღიძრა სამი თვის შემდეგ. საგულისხმოა, რომ განყოფილების უფროსმა ქ. ლომიძემ უსაფუძვლოდ გამოიტანა საქმის არ აღძვრის დადგენილება, რაც მხოლოდ 26 ნოემბერს გააუქმა რაიონის პროკურორმა. საქმის მოკვლევა კვლავ ქ. ლომიძეს დაეკალა, რომელმაც არავითარი რეაგირება არ მოახდინა ამ დანაშაულებრივ მოქმედებაზე, რის გამო საქმე სასამართლოდან კვლავ დაბრუნდა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახალი გამოძიების ჩასატარებლად. ჰ. მალრაძის მიმართ განაჩენი დადგინდა დანაშაულის ჩადენიდან რვა თვის შემდეგ, 1975 წლის 8 აპრილს.

კანონის ამგვარი და სხვა ანალოგიური დარღვევები იმაზე მიუთითებს, რომ ბუნების დაცვის კანონმდებლობის დანაშაულებრივი დარღვევის ყოველი ფაქტი არ ხდება პრინციპული, დროული რეაგირების საგანი.

მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები ზოგჯერ სწორად არ აკვალიფიცირებენ ბრალდებას. ეს განსაკუთრებით ტყის დაცვის წესების დარღვევას შეეხება. დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებს ზოგჯერ ანგარიში არ ეწევა, სწორად არ ისაზღვრება ტყის გაჩეხით მიყენებული ზარალის ოდენობა. უკანონო ჭრით მიყენებული ზარალის გაანგარიშება უნდა ხდებოდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 395 დადგენილებით დამტკიცებული წესების მიხედვით, რაც ყოველთვის არ სრულდება.

სახალხო სასამართლოთა ერთი ნაწილი არა მარტო არ ზრუნავს ბრალდებულის მიერ ტყის გაჩანაგებით მიყენებული ზარალის დადგენა-ანაზღაურებისათვის, არამედ თვითონ, თვითნებურად, კანონის შესაბამის ნორმაზე მიუთითებლად ზარალის ანაზღაურებისაგან ათავისუფლებს მსჯავრდებულს.

ზარალის თანხის განსაზღვრა განსაკუთრებით მოუწესრიგებელია თევზჭერის წესების დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა მოკვლევა-გამოძიების შემთხვევებში.

საერთოდ, გამოძიებასა და სასამართლო პრაქტიკაში არ არის გადაწყვეტილი ზარალის განსაზღვრის საკითხი მომწამვლელი ნივთიერებით (ქლორიანი კირი, ციანწყალბადმჟავა და სხვ.) ან ელექტროდენის გამოყენებით თევზჭერისას.

ცნობილია, რომ მდინარეში მომწამვლელი ნივთიერების გამოყენების დროს ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ნადგურდება წყალში მყოფი ყველა ცოცხალი არსება. ამიტომ შეუძლებელი ხდება მიყენებული ზარალის ფულად გამოხატულებაში განსაზღვრა და მისი საკომპენსაციო თანხის მსჯავრდებულისთვის დაკისრება.

პრაქტიკულად 4-5 ცალი თევზის უკანონო დამჭერი ანაზღაურებს შესაბამისი ზარალის თანხას, ხოლო მდინარეში ცოცხალი სამყაროს ხელმყოფი კი ფაქტიურად თავს აღწევს მიყენებული უდიდესი ზარალის ანაზღაურებას.

თიანეთელებმა შ. ტუშურმა და გ. კახაშვილმა 1975 წლის 9 ივლისს მდინარე ივრის შენაკად ხატხეურაში, დაახლოებით 800 მეტრ სიგრძეზე ქლორიანი კირით მოწამლეს წყალი, ზარალის თანხად კი 190 მანეთი განისაზღვრა, რაც შეადგენდა 19 ცალი კალმახის დაჭერით გამოწვეული ზარალის ოდენობას. ცხადია, რომ 800 მეტრი სიგრძის მდინარეში 19 ცალ თევზზე ბევრად მეტი განადგურდებოდა!

ზოგჯერ ყურადღება არ ექცევა მდინარეთა მოწამვლის გზით თევზჭერისათვის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენას. კერძოდ, თითქმის არცერთ სისხლის სამართლის საქმეზე არ არის დადგენილი პირი ან ორგანიზაცია, რომლისგანაც დამნაშავემ შეიძინა ან იშოვა მომწამვლელი ნივთიერება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასამართლოებში საქმეთა ერთი ნაწილი კანონით დადგენილი ვადის დარღვევითაა განხილული. შესწავლილი საქმეებიდან პროკურორის მონაწილეობით განხილულია 51,4 პროცენტი, გამსვლელ სესიაზე განხილულია 23 პროცენტი.

სახალხო სასამართლოებს ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებები დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად. ზოგიერთი კერძო განჩინება დადგენილია ფორმალურად, რადგან ის ფაქტიურად განაჩენის განმეორებას წარმოადგენს.

მეტად მცირეა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის მაჩვენებლებიც. დმანისის რაიონის სახალხო სასამართლოში (მოსამართლე დ. ციხელაშვილი) 1975 წლის 19 სექტემბერს ა. ტანხიერდიევისა და სხვათა ბრალდების საქმის სამსჯავრო განხილვაში ეგრისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ერთპიროვნული მიმართვით საზოგადოებრივ ბრალმდებლად ჩაბმული იქნა გ. ალიზანოვი და საქმის განხილვაში მთელი მისი მონაწილეობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ სასამართლო კამათის დროს „მხარი დაუჭირა პროკურორის სიტყვას“.

სასჯელის ღონისძიებათა განსაზღვრის დროს სახალხო სასამართლოებს დაშვებული აქვთ მნიშვნელოვანი დარღვევები. შედარებით მკაცრი სასჯელებია გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც თევზჭერას ეწეოდნენ სარეწი იარაღის, ფეთქებადი ან მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა 84 პროცენტს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რომელთაგან ბევრ მსჯავრდებულს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსკ 25-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ხოლო საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის საფუძველზე პირობითი მსჯავრი რამდენიმეს შეეფარდა. გაცილებით უფრო ლმობიერი სასჯელებია გამოყენებული ბუნების დაცვის წესების სხვა დამრღვევთა მიმართ. მაგალითად, ტყის დაცვის დამრღვევი პირებიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მსჯავრდებულთა 2,8 პროცენტს.

რა თქმა უნდა, — ამბობს დ. ლორია, — ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევა მარტოოდენ უკანონო თევზჭერით, ნადირობით და ტყის გაჩეხით არ ამოიწურება. სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი მიწათსარგებლობის სფეროში, წყალსაცავებისა და ატმოსფეროს გაბინძურებაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ბ. ბიბაური: მართალია, ტყის წესების დარღვევათა შესახებ აღძრულ საქმეებს სასამართლოები ძირითადად დროულად და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად იხილავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის საქმეების ძლიერ გაჭიანურებისა და არაკვალიფიციურად განხილვის შემთხვევები. მაგალითად, 1975 წელს საგამოძიებო-სასამართლო ორგანოებს გადაეცათ საკმაო რაოდენობის ასეთი კატეგორიის საქმე, აქედან დღემდე განხილული არ არის ბევრი საქმე. ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დამნაშავეებისადმი მისჯილი ზარალის ასანაზღაურებელი თანხების ამოღების საქმეში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია დადგენილებაში შევიტანოთ მუხლი ასეთი რედაქციით: „სასამართლოებმა უზრუნველყონ ტყის უკანონო ჭრასა და ტყის დაცვის წესების სხვა დარღვევებზე აღძრული საქმეების დროულად განხილვა და დამნაშავეებისათვის ზარალის ასანაზღაურებელი თანხების აღმასრულებლის მეშვეობით დადგენილ ვადებში ამოღება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ად. ხონიბაკინა: ყველა ამხანაგის აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ უმაღლეს სასამართლოს ბუნების დაცვის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა არა აქვს. ეს საქმეები კასაციაში თითქმის არ შემოდის და არც საჩივრდება ზედწესით. ამით არის გამოწვეული ის, რომ კვალიფიკაციის ნაწილში ძალიან ხშირად არის შეცდომები. სახალხო სასამართლოები არ არკვევენ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს და ამ მუხლების პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს არასაპატიმრო ღონისძიებებს უფარდებენ.

მოხსენებიდან გაირკვა, რომ სახალხო სასამართლოებში ძალიან ცოტა საქმეა განხილული ამ მიმართებით. აქ სასამართლოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია, განიხილავს მხოლოდ შემოსულ საქმეებს და კერძო განჩინებებით რეაგირებას მოახდენს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებზე. მე ვფიქრობ, რომ პლენუმი წარდგინებებით უნდა შევიდეს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე პროკურატურასა და შესაბამის სამინისტროებში, რომელთაც ინსპექტორები და თავისი უწყებრივი სამსახური აქვთ, რათა მათ უფრო მეტად შეუწყონ ხელი ამ დანაშაულის გამოვლენას.

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. რთველიაშვილი: ჩვენ დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამთ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ამ საკითხს რომ იხილავს. საკითხის განხილვა, დადგენილების მიღება და მისი ცხოვრებაში განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს ბუნების დაცვის საკითხების სწორად განხილვა-გადაწყვეტას.

მთავარი გარემოს დაცვის საქმეში ის არის, რომ თითოეულ ადამიანს შევაგნებინოთ გარემოს დაცვის დიდი სახელმწიფოებრივი, სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა, პირველ რიგში კი იმ ადამიანებს, რომელთაც მინდობილი აქვთ ბუნებრივი რესურსების ათვისება და გამოყენება. სწორად არის ნათქვამი, რომ სანამ ადამიანი ბუნებას დაიმორჩილებს, მანამდე თავი უნდა დაიმორჩილოს.

ბუნების დაცვის პროპაგანდა ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო დონეზე არ დგას. ამას ადასტურებს ბრაკონიერობის უამრავი შემთხვევა, წყლის, მიწის გაბინძურების ფაქტები.

საქართველოს „მონკავშირის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. მგელიაშვილი: უკანასკნელ პერიოდში ფაუნის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, ჯეირანი, მთლიანად გაქრა საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო ზოგიერთები: ნიამორი, დურაჯი გადაშენების საფრთხის წინაშე დგანან. მცირეა ირემი და სხვა ცხოველები. მათ შენარჩუნებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ ბუნებისთვის, ისე სამონადირეო მეურნეობისათვის. ამიტომ საჭიროა გაიზარდოს პასუხისმგებლობა მათზე ნადირობისა და განადგურებისათვის. მიყენებული ზარალის ანაზღაურება არსებულთან შედარებით მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნად უნდა გადიდდეს. მოლდავეთში ირმის მოკვლისათვის 1200 მან. აჯარიმებენ, გარეული ღორისა და შველის მოკვლისთვის— 400-400 მანეთად, ხოხბისთვის — 50 მანეთად. კარგი იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები ჩვენს რესპუბლიკაშიც გატარდება.

ორგანიზებულ მეურნეობებში თევზჭერისა და ნადირობის გამო მატერიალური ზარალის ასანაზღაურებელი თანხები მსჯავრდებულთ უნდა დაეკისროთ თევზჭერის დაცვისა და სამონადირეო მეურნეობის სასარგებლოდ, ამასთან იგი მთლიანად უნდა მოხმარდეს მეურნეობის აღდგენის ღონისძიებებს. რაც შეეხება დანარჩენ სამონადირეო სავარგულებზე მიყენებულ ზარალს, სადაც მეურნეობა დანახარჯებს არ ეწევა, თანხები უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მ. პაპისოვი: პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაში, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და განსაკუთრებით მისი სახელმწიფო-სანიტარული ზედამხედველობის ორგანოები ახორციელებენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარემოს დაცვის საკითხებს. ეს ყველასათვის გასაგებია, ვინაიდან სუფთა გარემოს, ბუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მისი სიცოცხლისათვის. ეს ისეთივე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც საერთოდ კაცობრიობის არსებობა. ბუნებრივია, სუფთა გარემოს გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. ჩვენ მრავალი ფაქტი მოგვეპოვება იმისა თუ რა გავლენას ახდენს გაჭუჭყიანებული გარემო ადამიანის ჯანმრთელობაზე. ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს საკითხები უკანასკნელ ხანამდე არ აშფოთებდა კაცობრიობას, რადგან კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე გარემო ფითქმის არ იცვლებოდა და არც მისი კვლევის მეთოდები იყო თანამედროვე დონეზე, მაგრამ ახლა დაგროვდა ისეთი დიდი მასალა, რომელიც მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს ბუნებრივ გარემოს და რატომ? მარტო ჩვენი რესპუბლიკა რომ ავიღოთ, გვაქვს ისეთი ფაქტები, რომლის მოთმენაც არ შეიძლება. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ტონა მყარ მავნე ნივთიერებას ყრის გარემოში. ასეთივე მდგომარეობაა რუსთავის ქიმიურ კომბინატისა და მეტალურგიულ ქარხნის, ცემენტის ქარხნის მხრივაც. მარტო ამ ორი ქალაქის მაგალითზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს მარტო სასამართლო ორგანოებისა კი არა, პარტიული ორგანოების, პროკურატურის ყველა ორგანოს ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს. გარემოს გაჭუჭყიანების ღონისძიებებს რაც შეიძლება უფრო მალე და მეტად პრინციპულ დონეზე გადაწყვეტა სჭირდება.

ჩვენ, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები მივესალმებით ყოველი დოკუმენტის, აქტის მიღებას, რომელიც შეეხება ბუნების დაცვისა და გარემოს გაჭუჭყიანებისაგან თავიდან აცილების საკითხებს. დღეს პლენუმზე ამ საკითხის განხილვა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ ლაპარაკია პასუხისმგებლობაზე სისხლის სამართლის წესით. მე ვიტყოდი, მაგალითად, რომ რუსთავის, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის დირექციები უფრო დიდ ზიანს აყენებენ რესპუბლიკის გარემოს, ვიდრე ერთად აღებული ყველა ბრაკონიერი, რომელზეც აქ იყო ლაპარაკი. აქ უკვე ადამიანების მთელი კოლექტივების ჯანმრთელობაზეა ლაპარაკი.

წარმოდგენილ პროექტში ყველაფერი კარგად არის განსაზღვრული, მაგრამ კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხებზე არაფერია ნათქვამი. როგორ მოვექცეთ, მაგალითად, იმ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებიც კოლექტიურად პასუხისმგებელნი არიან ამისათვის. ჩვენ ბევრი ფაქტი გვაქვს იმისა, როდესაც პროკურატურას გადავეცით მასალები ამა თუ იმ საწარმო-ორგანიზაციის დირექციაზე, კერძოდ დირექტორებზე, მაგრამ ისინი სათანადოდ არ დასჯილან, ზოგჯერ კი დასჯის ზომები აბსოლუტურად არ შეესაბამება მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ჩვენ შეგვიძლია დავაჯარიმოთ წარმოებადაწესებულების ხელმძღვანელები, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენოთ სათანადო ორგანოებში, შევაჩეროთ ამა თუ იმ ქარხნის ექსპლუატაცია, მაგრამ აბა როგორ შეიძლება შეჩერდეს ისეთი უნიკალური ქარხნის ექსპლუატაცია, მაგალითად ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნისა? და მაინც ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეგზავნა შავი მეტალურგიის მინისტრისთვის წერილი სანქციით, რომ თუ ის არ დაამყარებდა სახელმწიფო წესრიგს ზესტაფონში, ჩვენ მაშინ იძულებული გავხდებოდით დაგვეკეტა ამ ქარხნის პირველი საამქრო, რომელიც საშინლად აჭუჭყიანებს გარემოს. მივეცით 6 თვის ვადა, ასეთივე წერილი, გავუგზავნეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. სხვათაშორის, პირველად ჯანმრთელობის დაცვის ისტორიაში, მივიღეთ პასუხი, რომ მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრმა გამოყო რამდენიმე მილიონი მანეთი ამ ქარხნისათვის, გამოიგზავნა დანადგარები, მტვერ-და მჭვარტლდამჭერები, გამოიყო სათანადო თანხები, რომ სანიტარული ზონიდან გასახლებულიყო მოსახლეობა, მაგრამ ეს ზომები მაინც საკმარისი არ იქნება, თუ არ განისაზღვრა ამ მხრივ პასუხისმგებლობის საკითხი.

ამას წინათ რესპუბლიკის პროკურატურა გვამოწმებდა სანქციების გამოყენების შესახებ. მე სავსებით ვეთანხმები პროკურატურის წარმომადგენლებს, რომლებმაც გვითხრეს: მაგალითად, გამწმენდ ნაგებობეს რომ არ აშენებენ ქრონიკულად ჩვენი სამინისტროები და უწყებები, რატომ არცერთ შემთხვევაში, არ გადავეცით პროკურატურას საქმე მათი პასუხისმგებლობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ საკითხს ვაყენებდით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, კერძოდ მინისტრთა საბჭოში და ცენტრალურ კომიტეტში. ისმება კითხვა, განა არ ზიანდება ბუნება, როდესაც გაუწმენდავი წყლები ჩადის ჩვენს მდინარეებში, მერე ეს ყველაფერი ჩადის ზღვაში, რაც უდიდეს ზიანს აყენებს არა მარტო თევზჭერის საქმეს, არამედ საერთოდ ყოველგვარ ცოცხალს, მათ შორის ადამიანებს. საქართველოში თითქმის აღარ დარჩა მდინარე, რომლის სასმელად გამოყენება შეიძლებოდეს. ერთადერთი მდინარე გვქონდა არაგვი, მაგრამ იქაც კი მოახერხეს ჩვენი სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების უნებართვოდ ყინვალაპესის დასახლების მოწყობა გამწმენდი ნაგებობის გარეშე. იქნებ ყველაფერმა ამან რაღაც გამოხმაურება ჰპოვოს ჩვენს კანონმდებლობაში. ჩვენი თხოვნა იქნება, რომ დადგენილებაში აისახოს ეს საკითხი და ამავე დროს ცოტა უნდა გაძლიერდეს შესავალი ნაწილი, რაღაცა შეშფოთება უნდა იგრძნობოდეს, რომ ყველაფერ ამის მოთმენა აღარ შეიძლება. პირდაპირ გაკვირვებას იწვევს ის, რომ მილიციის ორგანოები დასდევენ და აჯარიმებენ მათ, ვინც ე. წ. „ხალტურაზე" ჩააჯენს პირებს, იმას კი არ უყურებენ, რომ ტექნიკურად გაუმართავი მანქანა დადის ქალაქში. განსაკუთრებით ეს ეხება „იკარუსებს", რომლებიც წამლავენ ატმოსფეროს ჰაერს, ადამიანს აღარ აქვს ჟანგბადი რომ ისუნთქოს!

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ო. ჯიბლაძე: აქ ამხანაგები შეეხენ პროექტს, სადაც მითითებულია, რომ სასამართლოებმა გარდა კანონით გათვალისწინებული სასჯელებისა, ბრაკონიერების მიმართ იმსჯელონ აგრეთვე იმაზე, ჩამოერთვას თუ არა მათ გარკვეული საქმიანობის თუ თანამდებობის დაკავების უფლება. ამ საკითხზე პირდაპირ არის მითითებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში, მაგრამ არა იმ ჭრილში და იმ ფორმით, როგორც ჩვენთან არის. ჩვენთან უფრო კატეგორიული ფორმით არის ეს. იქ წერია, რომ საჭიროების შემთხვევაში სასამართლოებმა იმსჯელონო, რომ აეკრძალოთ ამ დამნაშავეებს გარკვეული საქმიანობა ან გარკვეული თანამდებობაო. ახლა, სხვა რომ არ იყოს ეს სადავო არ უნდა გახდეს, იმიტომ რომ საკავშირო პლენუმის დადგენილება ჩვენთვის სავალდებულოა, ეს სახელმძღვანელო მითითებაა ჩვენთვის.

მე ვფიქრობდი, რომ მოწვეული ამხანაგები ამ საკითხს განმარტავდნენ, ჩაითვალოს თუ არა დამთავრებულად დანაშაული იმ შემთხვევაში, როდესაც პირი შედის ტყეში იმ მიზნით, რომ დახოცოს ნადირ-ფრინველი. იმავე პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ასეთ შემთხვევაში ნადირობის ცნებაში არ იგულისხმება აუცილებლად ნადირის ან ფრინველის განადგურება. თვით პროცესი, რომ კაცმა განიზრახა ნადირობა და შევიდა აკრძალულ ადგილზე, ეს უკვე ნადირობის ცნებაა. ინსტრუქციაშიც ასეა ჩაწერილი. ამიტომ ეს არ უნდა იწვევდეს დავას.

კარგი იქნება დადგენილებაში აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის საქმეები განხილული იქნეს გამსვლელ სესიებზე და ყველა შემთხვევაში ამ საქმეთა განხილვა გაშუქდეს პრესაში.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი უ. კოგიბაშვილი: როგორც პლენუმის მიმდინარეობიდან და აქ გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ირკვევა ფაქტი ერთია, რომ რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონიერების დარღვევის გაცილებით მეტი ფაქტებია, ვიდრე რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ალბათ ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ბუნების დაცვის წესებზე, სათანადო ზედამხედველობას ბუნების დაცვის წესებზე არ ახორციელებენ, არ გადასცემენ მასალებს ადმინისტრაციულ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი წესით მათ დასასჯელად და მეორე მხრივ, რასაკვირველია, თვითონ ადმინისტრაციული ორგანოებისა და უპირველესად პროკურატურის ზედამხედველობა არ არის საკმარისი ადგილებზე ბუნების დაცვის წესების დარღვევებისადმი. აქ სწორად ითქვა, რომ ეს ისეთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებია, რომლებიც ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან იშვიათად გვხვდება საკასაციო ინსტანციაში და თვითონ მომხსენებელმაც მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ სულ რამდენინე საქმე თუ იყო ისეთი, რომ პროკურორმა დაწერა პროტესტი ანდა გასაჩივრდა თვით მსჯავრდებულის მიერ, ამიტომ რასაკვირველია სასამართლო პრაქტიკაზე ზეგავლენის მოხდენა უმაღლეს სასამართლოს თავისი საკასაციო ინსტანციის მეშვეობით არ შეუძლია. აქ პირველ რიგში უნდა ჩანდეს ადგილებზე პროკურორების როლი, მით უმეტეს, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა საკმაო დიდი დარღვევები ხდება ამ საქმეზე, როგორც წინასწარი გამოძიების დროს ისე, საქმის სასამართლოში განხილვისას. სწორად არ კვალიფიცირდება დანაშაული პირველი ნაწილით, მაშინ როდესაც ფაქტიურად სახეზე გვაქვს კვალიფიციური შემადგენლობა ე. ი. დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებებში. ადგილი აქვს იმ კანონის გამოყენებას, რომელიც უკვე გაუქმებულია და შეცვლილია ახალი კანონით, ასეთი შემთხვევების შესახებაც ითქვა. შემდეგ, ადგილი აქვს ზარალის ანაზღაურებისაგან მსჯავრდებულთა უსაფუძვლოდ განთავისუფლებას. მე ძალიან მნიშვნელოვან დარღვევად მიმაჩნია ის გარემოება, როდესაც ფეთქებადი ნივთიერებებით ხდება უკანონო თევზჭერა და ამ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობით არ აკვალიფიცირებენ ამ შემთხვევას, არ უყენებენ ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შენახვის მუხლს. ეს არის კანონის ძალიან დიდი დარღვევა. რაიონის პროკურორმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. როგორც აქ იუსტიციის მინისტრის რეპლიკით გავიგე, იუსტიციის სამინისტრომ სათანადო წარდგინება გაუგზავნა ამ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს. ალბათ, პროკურატურას მოუხდება დაფიქრება ამის თაობაზე. ნახევარი წლის შედეგების შეჯამებისას შეიძლება სპეციალური წერილითაც მივმართოთ რაიონის პროკურორებს ამ კატეგორიის საქმეზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა დ. მახარაძემ, ივ. გოგილაშვილმა, „საქშავზღვათევზმშენის“ სამართველოს სახელმწიფო ინსპექტორმა სამართლებრივ საკითხებზე ა. ჭანტურიამ და სხვ.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე საკითხი „სასამართლო პრაქტიკა მუშა-მოსამსახურეების სამუშაოზე აღდგენის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 18 აპრილის № 3 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი რ. წერეთელი.

სასამართლო ორგანოები, — ამბობს მომხსენებელი, — ძირითადად სწორად, შრომის კანონმდებლობის ზუსტი დაცვით და დაწესებულებებში განიხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს. სასამართლოებმა გაუმჯობესეს მუშაობა შრომის კანონმდებლობის ზუსტად გატარებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის საქმეში. მუშა-მოსამსახურეთა დარღვეული შრომითი უფლებების დაცვის დროს სასამართლოები აქტიურად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. კერძოდ, უარს ეუბნებიან სარჩელებზე იმ მოსარჩელეებს, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს შრომის დისციპლინა, კონკრეტულ საქმეებზე გამოაქვთ კერძო განჩინებები, რომლებიც სათანადო რეაგირებისათვის ეგზავნებათ შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ამავე დროს, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის დროს კვლავ შეინიშნება სხვადასხვა ხასიათის სერიოზული ნაკლოვანებები. სასამართლოები ზოგჯერ არასრულყოფილად, ზერელედ, საქმის ფაქტიურ გარემოებათა გამოუკვლევლად იხილავენ საქმეებს, რაც იწვევს ზემდგომი ინსტანციის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. მახარაძემ თქვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. საქმის საკასაციო კოლეგიაში გაგზავნამდე სახალხო სასამართლომ საჭიროა გასცეს აღმასრულებელი ფურცელი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში საქმის საკასაციო კოლეგიაში გაგზავნამდე აცნობოს ამის თაობაზე პროკურორს საქართველოს სსრ სსკ 144-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ალ. ღულუნიშვილი: ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებათა გაუქმების პროცენტი მაღალია, თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლოებიც უშვებენ შეცდომებს. ისინი არ აღადგნენ იმ მუშაკებს, რომლებიც კანონის დარღვევით არიან გათავისუფლებულნი სამსახურიდან; პრეზიდიუმიც არც თუ ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათად აუქმებს განჩინებებს. ყურადსაღებია, რომ უქმდება ის გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებითაც სარჩელს სამუშაოზე აღდგენის შესახებ უარი ეთქვათ, პირველ რიგში ის გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლითაც დარღვეულია მუშაკის უფლებები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. კურასკაშა: განსახილველი საკითხის მნიშვნელობა სრულიად ნათელია. ბუნებრივია, რომ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება სახალხო სასამართლოებს, რომლებიც არა მარტო აღადგენენ მოქალაქეთა დარღვეულ შრომის უფლებებს, არამედ ყველაფერს აკეთებენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისად გვხვდება უკანონო გათავისუფლების შემთხვევები. მუშაკთა ნახევარზე მეტი აღდგენილია სამუშაოზე წარმოების ხელმძღვანელთა მიერ შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევის შედეგად, ეს კი კანონის მეტად უხეში დარღვევაა.

აფხაზეთის ასსრ-ში მუშაკის უკანონოდ გათავისუფლებისათვის წელიწადში სახელმწიფო საკმაო ზარალს განიცდის. ეს ან იმის მიზეზია, რომ სამართლებრივი პროპაგანდა მოისუსტებს, ანდა სახეზეა კანონისადმი უდიერი დამოკიდებულება. აუცილებელია მეტი მომთხოვნელობით მოვეკიდოთ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არღვევენ კანონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. დევდარიანი: დღის წესრიგში უნდა დადგეს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ასე თუ ისე ჩვენს რესპუბლიკას გამოიყვანდა დღევანდელი ვითარებიდან, როდესაც ჩვენ პირველ თუ არა მეორე რიგში მაინც გვასახელებენ შრომის კანონის დარღვევათა შორის საკავშირო თათბირებზე.

როგორც ჩანს, ადგილკომი თავისი ფუნქციებში საკმაოდ ვერ ერკვევა. საჭიროა შეიქმნას განსაკუთრებული დოკუმენტი, სადაც კონკრეტული ფაქტების მოტანით აღინიშნება ადგილკომების პასუხისმგებლობა, რაც გაზრდის თვით ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას ადგილკომების წინაშე. საჭიროა ხელი შეეუწყოთ ადგილკომების ავტორიტეტის განმტკიცებას როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, რომ არ დაირღვეს შრომის კანონმდებლობა და დაცული იქნეს მუშაკის ინტერესი.

საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე ბ. ბაბტაძე: შრომის კანონმდებლობის დარღვევებს პირველ რიგში სასამართლო ორგანოთა შეცდომები აპირობებდნენ. მთავარ მიზეზთა რიგში უნდა დავასახელოთ კანონის უცოდინარობა, კანონისადმი უპატივცემულობა, ადგილკომების პასიურობა და სხვ.

შრომის კანონმდებლობის დაცვის სადარაჯოზე პროფკავშირის ორგანოები დგანან. პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების და პირველ რიგში მათი თავმჯდომარეების პრინციპულობაზე, ნაკლოვანებებთან, კანონის დარღვევებთან შეურიგებლობაზე დიდად არის დამოკიდებული ამ მიმართებით ბრძოლის ეფექტურობა. რესპუბლიკის პროფორგანიზაციის ხელმძღვანელობა მომავალში კიდევ უფრო მეტად იზრუნებს იმისათვის, რომ კანონი ადგილკომის უფლებების შესახებ ცხოვრებაში რეალურად გატარდეს.

კარგი იქნება თუ დადგენილებას დაემატება ასეთი პუნქტი: „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უარი მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის თანხმობის შესახებ სასამართლოს განხილვას არ ექვემდებარება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ნ. ხუციშვილი: შრომის შინაგანაწესის ძირითადი წესების 31-ე მუხლით თუ მუშაკს დაედება დისციპლინური სასჯელი ეს აუცილებლად უნდა გამოეცხადოს მას წერილობითი ფორმით. ამასთან ერთად ადმინისტრაცია ვალდებულია ამ ბრძანების ასლი გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას, რათა ეს გამაფრთხილებელ ღონისძიებად იქცეს სხვა მუშაკებისათვის. ძალიან ხშირად სასამართლო ორგანოები ამ მოთხოვნას უგულვებელყოფენ. ჯერ ერთი პირველ რიგში ეს დარღვევა იწყება ადმინისტრაციიდან, რომელიც ამ მოთხოვნას არ იცავს და შემდეგ სასამართლო ორგანოებიც ხუჯავენ თვალს ამ სავალდებულო ნორმაზე და დადგენილად მიიჩნევენ, რომ ეს ბრძანება, რომლის ჩაბარების მტკიცების საბუთი საქმეში არ მოიპოვება, თითქოს დაუვანილია მუშაკამდე. ხშირად სარჩელი უარყოფილია და კოლეგიაც მიუვეია ასეთ თვითდინებას და ასეთ გადაწყვეტილებას ტოვებს ძალაში, ვუჯერებთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. საბოლოოდ თუ ეს მუშაკი ძალიან ენერგიული და მომთხოვნია, ეს ჩვენი განჩინებები და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებები უქმდება. მართალია, ზოგჯერ ეს პირი არ იმსახურებს სამუშაოზე აღდგენას, მაგრამ კანონის მოთხოვნა დარღვეულია და იგი უნდა აღდგეს. სამართლის არც ერთ სფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში ისეთი ფორმალური მიდგომა არ არის კანონისადმი და თანაც სავალდებულო, როგორც შრომის კანონმდებლობაში.

საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბარაბაძე:

1975 წელს ჩვენს რესპუბლიკაში განხილულ იქნა სამუშაოზე აღდგენის 1540 საქმე. კანონით დადგენილ ათ დღიან ვადაში განხილულია 1339 საქმე, ერთ თვემდე 150-ი, ერთ თვეზე მეტი — 31 საქმე.

როგორც ხედავთ ჯერ კიდევ ბევრ საქმეებს სასამართლო ორგანოები განიხილავენ კანონით დადგენილი ვადების დარღვევით.

ჩვენ ვედავებით წარმოების ხელმძღვანელებს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისთანავე რატომ არ აღადგინეს სამუშაოზე მუშაკი, მაგრამ არ ვედავებით მოსამართლეს, რომელიც დროზე არ იხილავს საქმეებს. ვფიქრობ, უნდა დადგეს იმ მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სისტემატურად უშვებენ დარღვევებს სამუშაოზე აღდგენის საქმეებზე, არღვევენ საქმეთა განხილვის ვადებს.

მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ პროკურორები არ წერენ პროტესტებს სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ უკანონო გადაწყვეტილებებზე. მე მგონი, რომ ასეთი კატეგორიული დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. შეიძლება ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ არასკამირის რეაგირებას ახდენენ პროკურორები ამ მიმართებით, მაგრამ ის, რომ პროკურორები არ წერენ პროტესტებს, არასწორია. ჩვენი პროტესტების შედეგად უმაღლესი სასამართლოს კოლეგიები, პრეზიდიუმი იხილავს საქმეებს. ეს მაგალითები მოყვანილია დღევანდელ მოხსენებაშიც, ამიტომ ასეთი დასკვნის გაკეთება არაობიექტურია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. იოსავა: ძირითადი ის არის, რომ მოსამართლეები კანონს არღვევენ. ძნელი მოსაძებნია რესპუბლიკაში მოსამართლე, რომ მუშაკი აღსადგენი არ იყოს და აღადგინოს, მაგრამ მრავალია ისეთი შემთხვევა, რომ მუშაკი აღსადგენია და მოსამართლე ვერ დადგა თავის მოწოდების სიმაღლეზე და მუშაკი ვერ აღადგინა. ჩვენი მუშაობის ძირითადი ნაკლი აგრეთვე ის არის, რომ პრინციპულები არ ვართ ბოლომდე. როდესაც ვხედავთ, რომ კანონის დარღვევით არის მუშაკი გათავისუფლებული, როდესაც ვხედავთ რომ გათელილია პარტიისა და მთავრობის დადგენილება, საბჭოთა კანონი, რეაგირებას არ ვახდენთ. სანამ არ გვქონდა საქართველოს სსრ სსკ 144-ე მუხლი, ვიძახდით არ გვაქვს კანონი. როდესაც ეს კანონი მივიღეთ, მას შემდეგ რესპუბლიკაში ათეული წლების მანძილზე ორი კაცი მივეცით მხოლოდ პასუხისგებაში — ერთი ზუგდიდის სასტუმროს დირექტორი და მეორე ზესტაფონის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატის დირექტორი. საჭიროა დადგენილებაში ჩაიწეროს ამ მუხლის გამოყენების შესახებ. მე არ ვამბობ იმას, რომ სასამართლომ გადაწყვიტოს საკითხი პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ისე გაუგზავნოს მასალები. არა, აცნობოს პროკურორს, რომ ესა თუ ის პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. პროცესუალური ამბავია. როდესაც სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა გარდაბნის ბანკის თანამშრომელის საქმე სამუშაოზე აღდგენის შესახებ შეაჩერა, მან ბოდიში მოუხადა პლენუმს, რომ დაარღვია კანონი. პლენუმმა მიიღო საკავშირო მნიშვნელობის სპეციალური ზოგადი სახელმძღვანელო დადგენილება ამ საქმეზე, რომ არავის არა აქვს უფლება, არც გენერალურ პროკურორს, არც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეაჩეროს სამუშაოზე აღდგენის საქმე. არავის არა აქვს უფლება არ აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის შესახებ.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ შემოტანილი პროტესტები კონკრეტულ საქმეთა გამო.

ლ. ისაკაძე

მოკლე ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის რაიკომის პლენუმი იხილავს მართლწესრიგის განმტკიცების საკითხს

წლეულს 11 ივნისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის მესამე პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის რაიკომის მდივნის **მერი მაჭარაშვილის** მოხსენება — „რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები დამნაშავეობის, მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ბიუროკრატიზმისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში“.

განხილული საკითხის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კორბოულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. კაპანაძემ**, საირხის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ს. შუკაკიძემ**, საირხის საშუალო სკოლის დირექტორმა **შ. ჭიხორიამ**, სარეკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ **ი. ხვედელიძემ**, არგვეთის კოლმეურნეობის კოლმეურნემ **გ. ძინძიბაძემ**, რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსმა **მ. დადიანმა**, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ **ც. ლაშხმა**, ჭალის საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ვ. ლომიძემ**, რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ **ა. იაკობაშვილმა**, რაიონის სამხედრო კომისარმა **ნ. ივანეიშვილმა**, საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ღამბაშიძემ**, ლიჩის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ **შ. ლომიძემ**, რაიონის პროკურორმა **მ. მჭედლიშვილმა**, განათლების განყოფილების გამგემ **კ. ნადირაძემ**, გაზეთ „ახალი ცხოვრების“ რედაქტორმა **ო. ცარციძემ**.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველმა მდივანმა **რ. ღლონტმა**.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ა. ანასაშვილი

რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე

10 ივლისს, პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები, წარმოებადაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, სახალხო რაზმელები.

კრება გახსნა პარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანმა *მ. ძაძამიამ*.

მოხსენებით „საზოგადოებრივი წესრიგის და სასაზღვრო რეჟიმის დაცვა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა შუქზე და სახალხო რაზმელთა ამოცანები“, — გამოვიდა რაიონული შტაბის უფროსი, მშრომელთა დეპუტატების ადიგენის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე *მ. ჩერქეზიშვილი*.

აქტივის კრებაზე ილაპარაკეს იმ დიდი ამოცანების შესრულების შესახებ, რაც სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა დაუსახეს ადმინისტრაციულ ორგანოებს.

გადავაქციოთ ადიგენის რაიონი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის და მაღალი კულტურის რაიონად. — ამ დევიზით ჩატარდა აქტივის კრება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: *ი. თათენაშვილმა* — უდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, *ა. ჯინჭველაძემ* — სახელმწიფო უშიშროების რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ, *ც. პეტაშვილმა* — კომკავშირის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანმა, *ე. ფარცახაშვილმა* —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორმა, *შ. რეხვიაშვილმა* — მოხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, *ვ. ბერიშვილმა* — ადიგენის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ და სხვ.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა პარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი *მ. მ. ქაჯაია.*

შ. აბულაძე

იურისტი, ადიგენის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.

კითხვა-პასუხის საღამოები

საჩხერის რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს და რაიონის კულტურის სახლს შედგენილი აქვთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი გეგმა.

1976 წლისათვის გათვალისწინებულია საჩხერის რაიონის სასოფლო საბჭოებში მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამოები. წლეულს 22 ივნისს ასეთი კითხვა-პასუხის საღამო გაიმართა ჭალის სასოფლო საბჭოში. სოფლის კლუბში მოწყობილი საღამო გახსნა საჩხერის რაიონული კულტურის სახლის დირექტორმა **დ. შეყილაძემ.** დამსწრეთა შეკითხვებს პასუხები გასცეს: რაიონის პროკურორმა, პირველი კლასის იურისტმა **გ. მჭედლიშვილმა,** რაიონის სახალხო მოსამართლემ **ო. მიროტაძემ,** შსს საჩხერის რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა **დ. ფატარიძემ,** საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მიწათმომწყობმა **ე. მოსიაშვილმა** და საჩხერის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა **ვ. კაპანაძემ.**

ასეთივე კითხვა-პასუხის საღამოები მოეწყობა: კორბოულის, ქორეთის, სარეკის, არგვეთისა და გორისის სასოფლო საბჭოებში.

თათბირი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდა სიღნაღის რაიონის პროკურორი *ა. ვაიტაძე,* რომელმაც ილაპარა დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეულ მუშაობაზე.

კამათში მონაწილეობდნენ: მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი *ჯ. ბურდული,* საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი *ვ. ბაიდოშვილი,* სასამართლო-პროკურატურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი *ნ. ქურდაშვილი,* სახალხო კონტროლის სიღნაღის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე *რ. ფირაშვილი,* წნორის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე *ი. კუტიბაშვილი,* შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების მტაცებლობის და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის ინსპექტორი *ქ. ქუფარაშვილი,* გაზეთ „კოლმეურნეს“ რედაქტორი *ლ. ბეგიაშვილი.*

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა *ვ. ქარუმიძემ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურორის მოხსენება სკოლის მეცადინეობაზე და თეორიულ კონფერენციაზე

წლეულს 3 და 6 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პოლიტიკური განათლების სხდომათა დარბაზში გაიმართა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სკოლის მორიგი მეცადინეობა და იდეოლოგიური მუშაკების თეორიული კონფერენცია, რომელზეც მოისმინეს რაიონის პროკურორის გ. მჭედლიშვილის მოხსენებები თემებზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ", „შრომის დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში", „სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით".

ა. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეკროლოგი

ა. ე. ტაკიძე

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 68 წლისა გარდაიცვალა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი არონ ერმილეს-ძე ტაკიძე.

ა. ტაკიძე დაიბადა 1907 წელს მახარაძის რაიონის (ყოფილი ოზურგეთის მაზრა) სოფელ ჯუმათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი სწავლის პარალელურად, 13-14 წლისა ჩაება ფიზიკურ შრომაში; 1924 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ბათუმის ნავსადგურში მუშად. შრომისმოყვარე და ნიჭიერი ახალგაზრდა 1928 წელს საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის შუამდგომლობით აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოში გაგზავნეს საქმის მწარმოებლად. 1929 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასმართლოს მდივნად, 1931 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა, რომლის კურსიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ა. ტაკიძე სამუშაოდ გაგზავნეს ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოში, სადაც. იგი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1938 წელს ა. ტაკიძე აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად აირჩიეს, 1941 წელს კი ქ. ბათუმის პროკურორად დანიშნეს. შემდეგ იგი აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრია, ხოლო 1951 წლიდან აჭარის ასსრ პროკურორი.

1959 წლიდან ა. ტაკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და მისი პრეზიდიუმის წევრია, 1961 წლიდან — ქ. თბილისის პროკურორი, ხოლო 1970 წლიდან — საქართველოს სსრ პროკურორი, სადაც მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იმუშავა.

ა. ტაკიძე 1939 წლიდან სკკპ წევრია, იგი ვეტერან კომკავშირელთა პლეადის წარმომადგენელი იყო.

ა. ტაკიძე, რიგითს თუ ხელმძღვანელ სამუშაოზე მტკიცედ და ენერგიულად ასრულებდა კომუნისტური პარტიის ყველა დავალებას, დაუღალავად ემსახურებოდა რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს. მისი, როგორც კომუნისტის, პროკურორის და თანამედროვე ხელმძღვანელის სამაგალითო თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა რესპუბლიკის პროკურორის პოსტზე მუშაობის პერიოდში. მისი უშუალო მონაწილეობით ბევრი ღონისძიება შემუშავდა და განხორციელდა რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

სახალხო სასამართლოს საქმის მწარმოებლიდან — რესპუბლიკის პროკურორობამდე განვლილი შეგნებული ცხოვრება, მთელი თავისი ენერგია და სიცოცხლე ა. ტაკიძემ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს მოახმარა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ცხოვრება, ეს განვლილი გზა ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის შრომისა და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების სანიმუშო მაგალითია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს ა. ტაკიძის დამსახურება სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით. 1941-1959 წლებში მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კპ აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების წევრად, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1961-1970 წლებში არჩეული იყო საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრად და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1971 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება.

სოციალისტური კანონიერებისათვის მედგარი მებრძოლის, კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებული ხელმძღვანელის, უმწიკვლო კომუნისტის არონ ერმილეს ძე ტაკიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს საზოგადოებაში.

პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლგინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ზ. გ. ახვლედიანი, გ. ი. გვეტაძე, ლ. გ. თალაკვაძე, კ. ე. კეთილაძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, გ. თ. ლოგჟანიძე, თ. გ. შავგულიძე, ა. ა. შუშანაშვილი.

б 15/215

ფასი 50 კაპ. ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 4

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР